619
1957/2

36

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დროშა

№ 10 ოქტომბერი 1957

36

* * *

მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა:
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს დასათრგუნვლად მონობისა.
აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში!

29 ივლისი, 1860 წ.

პავლოვსკი.

მესმის, მესმის...

მუს. ი. ტუსკიასი. ტექსტი ი. ჰავშავაძისა



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 10 (75) ოქტომბერი 1957 წელი

გამოცემის VII წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ილია ჭავჭავაძე

მოქანდაკე ვ. თოფურიძე

საძირკვლად აზრი ჩააგდე.
ზედ დასდგი გრძნობის ტაძარი,
მან გააბრწყინა სხივებით
ჩვენის სამშობლოს მთა-ბარი...

ვაჟა-ფშაველა

ბარქსის სახ. საქ. სახელმწ. საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ილია ჭავჭავაძე

სერგი ჭილაია

ილია ჭავჭავაძე მე-19 საუკუნის საქართველოს, მისი მოწინავე სულიერი ზრახვებისა და სოციალური იდეალების გამომხატველი და მეთაურია. მან, ჩვენი ქვეყნის ამ ჭეშმარიტად სულიერმა მამამ ქართველი კაცის გონებას, მის პატრიოტულ გრძნობებს, მის სანუკვარ იდეალებს წარუხოცელი კვალი დაჩნია. ილია ჭავჭავაძე განუყრელად ჩვენს ხალხთან ერთად არის, მის გასაჭირსა თუ დიდ ისტორიულ სასიხარულო დღეებში.

ილიამ შეითვისა და უაღრესად შემოქმედებითად განავითარა ის ლიტერატურული, საზოგადოებრივი და რევოლუციური ტრადიციები, რომლებსაც იგი ეზიარა: მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა, რუსთაველისა, გურამიშვილისა და ბარათაშვილის პოეზია იყო ის დედა დვრიტა, რაც საფუძვლად დაედო ილიას შეხედულებებს, მრწამსსა და რწმენას. ეს იყო ილიას გონებრივი ცხოვრების დიდი ფუძე, ხოლო მე-19 საუკუნის რუსული მწერლობა და მოწინავე რევოლუციური აზროვნება იყო ის მეორე არსებანი, რომელიც წინ უძღოდა ილია ჭავჭავაძის ბრძოლას ყოველგვარი დრომოჭმულისა და რუტინის წინააღმდეგ.

რუსეთის მისამართით ჩერნიშევსკი ამბობდა: „ჯერჯერობით თითქმის ყველა გონებრივ მოღვაწეობას ხალხისას ლიტერატურა აერთიანებსო". იგივე სიტყვები შეიძლება გავიმეოროთ ქართული ლიტერატურის შესახებ. მე-19 საუკუნის ქართული მწერლობა იყო ჩვენი ხალხის სოციალური და ეროვნული იდეალების ერთადერთი სრულყოფილი გამომხატველი, ილია კი ამ ახალი ქართული ლიტერატურის მეთაური და ხელმძღვანელი.

ილია ჭავჭავაძე მაშინ მოვიდა ქართულ მწერლობაში, როცა ჩვენს ხალხს ორპირადდაგრეხილი მარყუჟი ჰქონდა მოჭერილი. ამ მარყუჟის ერთ გრეხილს ბატონყმობა წარმოადგენდა, მეორეს კი რუსეთის ცარიზმი, ილია და მისი თაობა ქართველი ერის ამ ორ დიდ ბოროტებას შეებრძოლა, ამ ახალ დასის მქუხარე ხმამ ერთბაშად ააფორიაქა დამყაყებული საზოგადოებრივი ჭაობი, უდარდელი, მამაპაპური მშვიდობიანი ძილი დაუფრთხო ქართველთა იმ ნაწილს, რომელიც შერიგებოდა ამგვარ მდგომარეობას. ამ თაობამ უკეთესს ახლისათვის ბრძოლაში გამოაღვიძა, გამოაფხიზლა, ფეხზე დააყენა და მოძრაობაში მოიყვანა საქართველოს მთელი პროგრესული ძალები. ილიამ მიზანში ამოიღო ყველაფერი ის, რაც ადუნებდა ერის საბრძოლო განწყობილებას. ამ მხრივ იგი არ მოერიდა არც დიდსა და არც პატარას. ერთი იმდროინდელი მწერლის შესახებ ილია გაბრაზებით წერდა: „ყველაზე უმდარესი მწერალია უფალი ბერიევი, რომელიც გუთნის დედას აძინებს ხოლმე და ანუგეშებს, რომ ძილზე უკეთესი არა არისო ქვეყანაზე რა, ის კი არ აგონდება უფალ ბერიევს, რომ სწორედ მაგ ტკბილმა, მამაპაპურმა ძილმა დაგვლუპა ჩვენ".

ილიას „განუზომელად უყვარდა საქართველო, მაგრამ არა განურჩევლად. ილიას უყვარდა და იბრძოდა ახალი საქართველოსათვის, რომლის ბატონ-პატრონი ხალხი იქნებოდა. და ამ ახალ გზაზე იგი დაუნდობლად ამხელდა ჯერ კიდევ „ცისკრის" ფურცლებზე ყველას, ვინც ძველებურ უდარდებლობას და მცონარებას ქადაგებდა. ხალხი, ხალხის ინტერესების დაცვა, მისი უკეთესი იდეალებისათვის ბრძოლა იყო ილიას „საქართველოს მოამბის" საბრძოლო პროგრამა. მისი რედაქტორი გულწრფელად აცხადებდა: „ჩვენი საქმეა საქართველოს ხალხის ცხოვრება, მისი გამომჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილიაო". ჟურნალის გარშემო თავმოყრილმა ახალმა დასმა დემოკრატიზმის, ხალხურობის პრინციპს დაუმორჩილა ყველაფერი, რაც მოწინავე და პროგრესული იყო მწერლობაში. ილიას მიაჩნდა, რომ ჟურნალი „ცისკარი" და მის გარშემო თავმოყრილი მწერლობის ძველი თაობა ვიწრო კარჩაკეტილი ინტერესებით ცხოვრობდნენ, ხალხისაგან შორს იდგნენ, იდილიური ილუზიებით თავს ირთობდნენ. ამის საწინააღმდეგო მან პირველად ქართულ მწერლობაში გაბედულად მოითხოვა, რომ მწერლობა ერის უმრავლესობის, მშრომელი ხალხის ინტერესების გამომხატველი გამხდარიყო. საქართველოს „მოამბე" მისი რედაქტორის პირით აცხადებდა: „ჟურნალის ამოცანა იქნება ყველგან მისწვდეს, გამოფინოს საქვეყნოდ კაცის ჭკუის ძვირფასი მარგალიტები საყოველთაოდ მოსახმარებლად, რომ მრავალთათვის მისაწვდომი გახდეს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტას". ილიას აზრით ეს მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი როდესაც ცოდნა მასებს დაეუფლებოდა, მწერლობა ხალხის კუთვნილებად გახდებოდა.

„მეცნიერებისა და ხელოვნების ამოცანაა გზა გაუნათოს ადამიანის აბობოქრებულ ცხოვრებას, ცოდნა, რომელიც ცხოვრების გზაზე აღმოცენდება არის გზის მაჩვენებელი ჩირაღდანი იმავე ცხოვრებისა... ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზე აღმოცენებული შტოები არიან". რა თანამედროვედ ჟღერს ილიას ეს ესთეტიკური კონცეფცია! დიდმა ხელოვანმა სამართლიანად შენიშნა, რომ მწერლობა აქტიური იდეოლოგიური კატეგორიაა, რომელიც ცხოვრებას ეფუძნება და შემდეგ თვით ახდენს ცხოვრების განვითარებაზე გავლენას. მწერლობა ადამიანების აღზრდის. ცხოვრების გაუმჯობესების მძლავრი ფაქტორია. ილია კატეგორიულად აცხადებდა: „დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვას", ვარსკვლავების ცაში ბოლთას ცემას, მთვარის ხვეწნას, რომ ჩემ საყვარელს უთხარი ცხრა მთას იქით ერთი უბედური პოეტია, რომელსაც შენს გამო „ოხვრის კვამლი" თვალებსა სწვავს და ცრემლს ადენსო. დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღრეჩას, თვალების სრესას, ეგებ ცრემლი მომივდესო, დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირში, იქ მონახოს შინ მდებარე აზრი თავისი ცხოველი სურათებისათვის". ეს იყო დიდი რეალისტის მგზნებარე სიტყვები მიმართული სანტიმენტალისტური წუწუნის წინააღმდეგ. რა თანადროულად ჟღერს ეს სიტყვები! რამდენი ჭკუის სასწავლია მასში ყველა იმათთათვის, ვინც დღესაც მთვარის მიჯნურობას ანაცვალებს ჩვენს ბობოქარ ცხოვრების ცენტრში ყოფნას, რა მოსწრებულად აბათილებს ილიას ეს სიტყვები იმათ „ღვაწლს", ვინც სუბიექტური ლირიკით ირთობს თავს და ვისაც გონია საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა და ავადმყოფური გრძნობების ჩიჩქნა მაღალი პოეზიაა.

ილია ჭავჭავაძე არა მარტო სიტყვით, არა მარტო ჟურნალებითა და გაზეთით იბრძოდა მგზნებარე რეალისტური პოეზიისათვის, არამედ თავის საკუთარი შემოქმედებითაც უჩვენებდა ცხოველმყოფლობას და სიკეთიდეს—რეალიზმისას.

ილიას ბრწყინვალე ლირიკა და პროზა, მისი მგზნებარე პუბლიცისტური წერილები იყო ბრძოლა ერის წყლულის განკურნებისათვის, მისი განახლებული უკეთესი მერმისისათვის. ილიამ „მგზავრის წერილებში" ნათქვამი სიტყვები: — „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი" — თავისი ესთეტიკური შეხედულების ქვაკუთხედად გაიხადა. ილია იცავდა ისეთ მწერლობას, რომელიც ხალხს დაეხმარებოდა, პროექტორის შუქით ცხოვრების გზას გაუნათებდა, მის ჭირსა და მწუხარებას, მის სიხარულსა და აღტაცებას გაიზიარებდა. მებრძოლი იდეალების პოეტი გულწრფელად წერდა: „არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებით და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავისი ტანჯვით, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახით".

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების უძლიერესი მხარე იყო მისი ჭეშმარიტი ხალხურობა, ილიას პატრიოტული ლირიკა, ილიას მებრძოლი სოციალური მოთხრობები და პოემები, ილიას მგზნებარე პუბლიცისტიკა ზრდიდა ქართველ ხალხს სამშობლოს მხურვალე სიყვარულისა და მისი უკეთესი მერმისისათვის დაუცხრომელი ბრძოლის შეგნებით. ილიამ თავის შემოქმედების უპირველეს მოწოდებად დაისახა გამოეღვიძებია ქართველ ხალხში მიძინებული ეროვნული თვითშეგნება.

ილიას მებრძოლი ნაწარმოებები ეს იქნება „მგზავრის წერილები", „დიმიტრი თავდადებული", „ქართლის დედა" თუ ლირიკული ლექსები, აფხიზლებდა, აღვიძებდა ხალხს. მაშინაც, როცა იგი გატაცებული იყო გარიბალდის მეთაურობით იტალიაში გაჩაღებული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობით და მას მხურვალე ლექსით მიესალმებოდა, პოეტს თავის ქვეყნის მომავალი ედგა თვალწინ. გულით ეწადა თავის მამულშიაც გაეგონა „ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა". და მაშინაც, როცა პოეტი პარიზის კომუნარების თავდადებულ ბრძოლას შეჰხაროდა, მათი საქმე მიაჩნდა „ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელად". ხალხების მომავალს და მათ შორის საქართველოს მომავალსაც ილია კომუნარების დიად იდეალებს უკავშირებდა.

ილია ჭავჭავაძემ საჯაროდ შეაჩვენა კაცთა ღირსების დამამდაბლებელი დიდი სოციალური ბოროტება — ბატონყმობა, მზის სინათლეზე გამოიტანა მთელი ის სისაძაგლე, რაც თან ახლდა ამ სოციალურ ინსტიტუტს. ილიას „აჩრდილი", „რამდენიმე სურათი ან ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან", „გლახის ნაამბობი", „კაცია ადამიანი?!" ბატონყმობის წინააღმდეგ ამხედრებდა მშრომელ ხალხს. კაკოს, ზაქროს და გაბრის მებრძოლ სიტყვებს იმეორებდა ხალხი: „ბატონსა და ყმას შორის სიყვარულის ხიდი არ გაიდება", „თავადიშვილი კარგი რა არის, ავი რა იყოს". ილიამ დიდი რეალისტი მწერლის მებრძოლი შეუპოვრობით გამოსახა მე-19 საუკუნის საქართველოს სოციალური და ეროვნული ცხოვრება და ამ ნიადაგზე შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ყოველგვარ ჩაგვრას, უსამართლობასა და მონობას. ეს მებრძოლი იდეალები გზას უნათებდა მშობლიურ ქართველ ხალხს დიადი მომავლისაკენ, ნიადაგს ამზადებდა საქართველოში იმ დიდი რევოლუციური ქარიშხლისათვის, რაც მე-20 საუკუნემ მოიტანა. ილია ამ მხრივ უთუოდ იყო დიდი წინამორბედი ამ დიდი მოძრაობისა.

ილია ჭავჭავაძე პატარა ერის შვილი იყო და ამიტომ მან შესანიშნავად იცოდა თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის ხალხთა ძმობასა და მეგობრობას. ილიამ პირველმა მისცა მაღალი შეფასება საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულ მნიშვნელობას: „ღონემიხდილმა და დაქანცულმა საქართველომ, — წერდა ილია — აიღო თავი და შეაფარა დიდი რუსეთის იმპერიას. მტერს არ დანებდა და მეგობრისაკენ პირი ქნა, გული მოიბრუნა". ასეთსავე მაღალ შეფასებას აძლევდა ილია ჩვენი კარის მეზობლებთან სომხეთთან და აზერბაიჯანთან ისტორიულ მეგობრობას.

ილია ჭავჭავაძემ დიდის მგზნებარებით უმღერა კავკასიის ხალხთა ძმობასა და მეგობრობას, მათ მომავალს:

„ჩემო მამულო, საქართველო დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედებს.
კასპიის ზღვიდან, შავ ზღვამდინა ერთის ფიქრსა ფიქრობს
და ეს ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება.
დიდია ხალხი, როს ეგ გრძნობა წინ წარუძღვება".

ასე ამაღლებულად და განზოგადოებულად გამოხატა ილიამ კავკასიის ხალხთა ერთობისა, ძმობისა და მეგობრობის მაღალი იდეალი. ილია იყო არა მარტო გამომხატველი ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური მდგომარეობისა, არამედ მისი შეგნების, მისწრაფებებისა და იდეალების აღმზრდელიც. ამაშია ილიას დიდი დამსახურება.

პეტერბურგიდან სამშობლოში რომ ბრუნდებოდა ილია მღელვარებით ფიქრობდა საქართველოზე, და ასე მღელვარებით წერდა: „შევძლებ კი რომ მას ლვიძლი სიტყვა ვუთხრა და ამ სიტყვით გულის ტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოთ ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვსწმინდო, მუშას შრომა გავუადვილო". ამ სტრიქონების ავტორი მთელი ნახევარი საუკუნე ემსახურა თავის საყვარელ საქართველოს უმწიკვლო ცხოვრებითა და მგზნებარე შემოქმედებით. მთელი თავის სიცოცხლის მანძილზე იგი მღელვარედ განიცდიდა თავისი ხალხის ეროვნულ და სოციალურ ბედს და დაუცხრომელი ენერგიით, მგზნებარე შემოქმედებით ზრდიდა თავის ხალხს მომავლის იმედით. ილიას კარგად ესმოდა რომ თავისუფლების მოპოვება არ მოხდება უმსხვერპლოდ. თავის მხრივ კი არავითარ მსხვერპლს არ მოერიდა და ეს მაგალითი ანდერძად გადასცა თავის ხალხს. დღეს, როდესაც საბჭოთა საქართველო, მადლიერი ქართველი ხალხი დიდი სიყვარულითა და მოწიწებით იგონებს თავის ღირსეულ მამულიშვილს, მისი დაბადების 120 წლისა და გარდაცვალების 50 წლისთავზე, ჩვენ სიამაყით შეგვიძლია გავიმეოროთ ილიას უკვდავი სიტყვები თვით ილიას მისამართით:

„არ არის მკვდარი ვინც მოკვდეს,
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია".

და ილიაც არ მოკვდარა...
მამულისთვის რჩება ლამპრად.

აკაკი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯყლიოტისაიან ერთ

ტყეარი

კონსტანტინე ჯავრიშვილი

ფოტო ი. ივანოვისა

— აქ ილიას მარანი ჰქონდა... ის მარანი დაინგრა, მის ადგილას ეს კლუბი გაშენდა, მაგრამ ყველა ახალმოსულს უსათუოდ აუხსნიან, რომ ამ ადგილას ჭავჭავაძიანთან მარანი იდგა და პატარა ილიას აქ ხშირად გაურბენია...

ამავე ქუჩას ვრცელი ბაღი საზღვრავს, რომელსაც ახლად აგებული მაღალი, ლამაზი რკინის მოაჯირი აქვს შემოვლებული. ეს ბაღი ილიას სახელობისაა... მოუხვევთ მხარმარჯვნივ და ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუჩაზე გახვალთ. ყვავილნარითა და ხეებით საზეიმოდ მორთულ ეზოს გადაღმა ორსართულიანი სახლი მოჩანს, ორი თაღიანი ფანჯრითა და შუშაბანდით სახლი განახლებულია, მაგრამ მაინც ვცნობთ იმ კოშკიან სახლს, რომლის ფოტოსურათი, კარგად გვახსოვს მ. გედევანიშვილის მიერ გამოცემული ილიას თხზულებათა პირველი ტომის ფურცლებიდან. აქ ახლა ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმია მოთავსებული. მისი თანამშრომლები საიუბილეო დღეებისათვის ემზადებიან, ხელახლა აწყობენ, მუზეუმის გამგე მწერალ პლატონ კეშელავას ათასი საზრუნავი აქვს: აი, მოიტანეს ძველებური თოფი და ამტკიცებენ, რომ ილიას მამის ნაქონიაო, ამბავი მოვიდა: სოფელ ვაზისუბანში, ერთი კოლმეურნის ოჯახში ჭავჭავაძიანთ საწერი მაგიდაა დაცული, ამასაც ილიას მამისას ამბობენ. პლატონი დადის, ეძებს, იკვლევს, არკვევს, ხნიერ ხალხს ეთათბირება... ის მაგიდა თურმე ილიას მამას კი არ ეკუთვნოდა. არამედ სახელგანთქმულ მხედრს გენერალ ნიკო ჭავჭავაძეს, ილიას ახლობელს, რომლის სახლში ხშირად ყოფილა ილია, ამიტომ ეს მაგიდაც გამოდგება, მაგრამ ახლა ესაა — შეელება თუ არა მას პატრონი?

აქვე, ამავე ქუჩაზე, თვით ამ დაღესტნის ბრძოლების გმირი-გენერლის სახლიცაა, სადაც ახლა ილიას სახელობის სრული საშუალო სკოლაა მოთავსებული.

ამ სკოლა-საკენ გავემართეთ და უკვე მის ეზოში უნდა შევსულიყავით, როდესაც ჩვენი ყურადღება მიიქცია აგურის სვეტებზე დაყრდნობილმა ფართო ავენიანმა ძველებურმა ორსართულიანმა შენობამ, რომლის ეზოში გახურებული სარემონტო სამუშაოებია გაშლილი.

ჩემმა თანამგზავრმა, სარაიონო გაზეთის თანამშრომელმა ტრ. ჩახნაშვილმა კითხვა არ დამაცალა — კოტე მარჯანიშვილის სახელმწიფო სახლ-მუზეუმია, აქაც გახსნისათვის ემზადებიან... აქ, აჰ სახლში, 1872 წელს დაიბადა კოტე მარჯანიშვილი. ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლაში ჩვენ იმ დროს მივედით, როდესაც საცდელი ნაკვეთის ბაღში მეთერთმეტე კლასელთა კომისიას ცხარე კამათი ჰქონდა საიუბილეო საღამოს პროგრამის გამო — ყველას თავისი, საინტერესო და ფრიად მნიშვნელოვანი წინადადება აქვს, მაგრამ ერთი საღამო ამდენს ვერ დაიტევს, ამიტომ ცხარობენ ასე თამარ ბაცაცაშვილი და ნოდარ ფირანიშვილი, როდესაც თავის განზრახვებს ასაბუთებენ.. დღესასწაული პატარებმა უკვე დაიწყეს, ისინი ატარებენ „ილიას დილებს". ეს დილები უკვე ტრადიციული გახდა სკოლაში და მათ ყოველწლიურად ატარებენ ილიას სახლ-მუზეუმის ეზოში, მაგრამ წელს მაინც სხვაა — წელს ყველას უნდა მიიღოს მონაწილეობა დღესასწაულის სამზადისში; არადაგვიანებ დროს მოწაფეები მუზეუმის მშენებლობას ეხმარებოდნენ, ახლა გამოფენას მართავენ, მკითხველთა კონფერენციისა და დიდი საიუბილეო საღამოს ჩასატარებლად ემზადებიან. იქვე, სკოლის მახლობლად, ნათლისმცემლის ეკლესიასთან ყოფილა სახლი მთავრისა, რომლის შინაურ სკოლაში ილიამ პირველდაწყებითი სწავლა მიიღო. ილია იგონებდა — „მთავართან ვსწავლობდი. ამავე ჩემ სამშობლო სოფლის გლეხ-კაცების შვილებთან. ხუთნი თუ ექვსნი ვიყავით, რამდენადაც მახსოვს... წერა-კითხვას, როგორც მახსოვს, სულ საათს არ ვანდომებდით ხოლმე, დანარჩენი დრო იმაში მიდიოდა, რომ ვისხედით და ვისმენდით იმის გასატაცებელ ნაამბობს".

ჭავჭავაძის სახელობის სკოლაში — შვიდასი მოწაფეა, მაგრამ ყვარელში კიდევ ერთი საშუალო სკოლაა, ერთიც სოფლის ახალგაზრდობისა.

ამ სკოლაში ბევრი სახელოვანი ადამიანი გაზრდილა, რომლებიც დღეს არა მარტო რაიონში, არამედ მთელი ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და განათლების დარგში მუშაობენ.

პირველ ცვლას გაკვეთილები დაემთავრებინა, და მოწაფეები გარეთ გამოიშალნენ.

სკოლის დერეფანში, ილიას ბიუსტთან ორი ბიჭუნა ჩუმად საუბრობდა. სახელები ვკითხე და II კლასელი ზაქრო ხუტილაშვილი და IV კლასელი კაკო ჯოხაძე ყოფილან.

67 წლის მევენახემ სვიმონ მირზიკაშვილმა (მარჯვნივ) ორმოცი წელიწადი ვენახის მოვლაში გაატარა, ახე, რომ ბრიგადირი ტიტიკო ტუხაშვილი მხოლოდ ხანდახან თუ მოინახულებს მის ნაკვეთს.

თელავიდან შარაგზა დაბლა ეშვება და განდაგან ჰკვეთს ალაზნის ველს, მერე კი შაქრიანის ხიდით გადაიცლის ალაზანს და მთის ძირებს მიჰყვება ქვემოთკენ. განზე მიეატოვეთ სახელგანთქმული ნაფარეული, მხარმარცხნივ გვრჩება ლოფოთის ხეობა, რომლის სათავეში მარმარილოს მოიპოვებენ და გრემის ნაქალაქარს გავუსწორდით.

რა გინდ გამოცდილი გამყოლიც არ უნდა ჰყავდეს ამ მხარეში პირველად მოგზაურს, ძნელია რაიმე არ გამორჩეს, იმდენი შესანიშნავი ისტორიული ძეგლი და ჩვენ დროში სახელგანთქმული ადგილია აქ თავმოყრილი.

მარცხნივ, მდინარე ინწობას მარჯვენა ნაპირზე მე-16-ე საუკუნის კახეთის სამეფოს დედაქალაქის გრემის ნანგრევებია, ხოლო მდინარის სათავეში, საბუეში — ფიქლის საწარმოოა, რომელიც მთელ რესპუბლიკას იაფი და გამძლე სახურავი მასალით ამარაგებს. იქვე, მდინარის გაღმა—ენისელს გაუვლით, რომელმაც თავისი შესანიშნავი კონიაკით გაითქვა სახელი, ხოლო შილდის თავზე ნეკრესის მონასტრის მთელი კომპლექსია შერჩენილი, ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ტაძრით.

გზის ორივე მხარეს გადაშლილია საგულდაგულოდ მოვლილი მინდვრები, ვენახები, უკვე საშემოდგომოდ მოხნული, გადაშავებული სახნავები. მანქანა ლარიგით გაჭიმულ ასფალტირებულ გზაზე მისრიალებს, გზაზე, რომლის ორივე მხარეს ჩაყოლებული აქვს ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ დარგული კაკლის ხეები. ხეებს კარგად უხეირნიათ, გაუხარებიათ, მაგრად გასდგომიათ ფესვი. მართალია, ისინი ჯერ არ არიან ის „თავ-კარავიანი" ბუმბერაზები, რომლებიც ასე უყვარდა ილიას, მაგრამ უწყვეტ რიგად მიჰყვებიან გზის კიდეებს, ჩრდილავენ მას და მოგვაგონებენ, რომ აქ ცხოვრობენ არა მარტო გამრჯე და შრომისმოყვარე მევენახეები, დოვლათიანი მოსავლის ოსტატები, არამედ ადამიანები, რომლებიც თავის დღევანდელ შრომაში მომავალ თაობებზე ზრუნვას აქსოვენ.

კაკლის ხეების ხეივანი დურუჯის ხევთან წყდება. ხევ გაღმა უკვე ყვარელია.

ილიას სახელობის ქუჩაზე

ეს დიდი და ვრცლად გაშლილი, ღონიერი და ბარაქიანი სოფელი ერთიანად ბაღ-ვენახების სალტეშია მოქცეული.

ყვარლის წარსულს აი, ეს ვრცელი ციხე-გალავანი მოგვაგონებს, სადაც მოსახლეობა „წალეკვისგან" თავს იფარავდა, ახლა კი მხოლოდ საკოლმეურნეო სპორტული საზოგადოების გუნდები „ებრძვიან" ერთმანეთს...

დღეს ყვარელი დიდი, მოწინავე სასოფლო-სამეურნეო რაიონის ცენტრია, რაიონისა, რომელიც თავისი ხვავითა და ბარაქით არის ცნობილი, სადაც მოჰყავთ ყურძენი და აყენებენ სახელგანთქმულ ღვინოებს, რაიონი, რომელიც დაფარულია საშუალო სკოლების ქსელით და განთქმულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის ოსტატებით, რაიონი, რომელშიაც პირსავსე სოციალისტური ცხოვრება სჩქეფს... აქ ყველაფერი ილიას სახელთან არის დაკავშირებული. მკვიდრებმა კარგად იციან ყველა ის ადგილი, რომელსაც რაიმე კავშირი აქვს ილიასთან. მთავარი ქუჩის კიდეზე დიდი ორსართულიანი შენობაა სარაიონო კლუბისა...

კაკოსა და ზაქროს მსგავსად ისინი ძროხასა და ღორში კი არ ატარებენ ბავშვობას, არამედ ბეჯითად სწავლობენ და მადლიერად იგონებენ თავის შორეულ წინაპრებს, რომელთაც თავი დასდეს ხალხის კეთილდღეობისათვის.

„კუდიგორასთან ერთი ტყე არის"

როდესაც ლაპარაკი ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის შესახებ ჩამოვარდა და მისი ნახვის სურვილი გამოვთქვი, ყვარლის რაიკომის მდივანმა ამბ. ალ. ფეზაშვილმა (რომელიც თვითონაც ლიტერატორი და ილიას შემოქმედების კარგი მცოდნეა) ტელეფონის მილი აიღო:

— მომეცით კუდიგორა! ერთი, ანდროს დამალაპარაკეთ...

ამის გაგონებაზე სმენად ვიქეცი.

— როგორ, კუდიგორაო?!

— დიახ, სწორედ იმ კუდიგორის მიდამოები უჭირავს კოლმეურნეობის მიწებს! ხომ გახსოვთ —

„კუდიგორასთან ერთი ტყე არი, —
უწინ ყაჩაღის იყო საფარი, —
საშიში, ბნელი, გულდახურული
შეუვალი და წამობურული.
იქა ცხოვრობდა ბღაჭაშვილი
კაკო, ყაჩაღად გამოვარდნილი".

და, აი, ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ანდრო ჩხიკვაძე მიგვიღვის კუდიგორისკენ.

მართალია, კუდიგორის გზის მისწავლება არ დაგვჭირდა, მაგრამ გზა ზუსტად ისე მიიმართებოდა, როგორც ოდესღაც მეურმემ აუხსნა ზაქროს.

„...აგერ ა იმ მთას
მარჯვნივ აუხვევ და გახვალ ხევსა,
ერთი საურმე გზა დაგიხვდება;
იმ გზას დაადეგ, წადი, — და როცა
ცხვირწამოწვდილი მთა შეგეყრება,
ის მთა იქნება კუდიგორაცა".

ჩვენც ასე მოვიქეცით, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საურმე გზის ნაცვლად მოასფალტებულ გზატკეცილს გავყვეთ, თანაც ეს გზა ახლა კუდიგორის ფერდობს კი აღარ მიჰყვება, არამედ კარგა მისგან მოშორებით.

— ესეც ჩვენი კუდიგორა. — მაჩვენებს ანდრო, კავკასიონის ქედის ერთ ტოტზე, მართლაც კუდივით გამობმულ ტყიან სერს, რომლის კალთაზე აქა-იქ ჩამონგრეული კლდეებია გაშიშვლებული.

„საშიში, ბნელი, გულდახურული შეუვალი და წამობურული" ტყე მოვიკითხე, მაგრამ ანდრომ ხელი გაიშვირა ვენახებისაკენ და ამიხსნა, რომ ტყე კარგა ხანია გაეჩეხათ. ამ სამი წლის წინათ კი იმ უშველებელი მუხების და რცხილების კუნძებიც ტრაქტორებით ამოეყარათ, მიწა გადაებრუნებინათ და მთელი ეს ნაკვეთი ვენახის მოსაშენებლად გამზადებინათ. ოთხმოცდაათზე მეტი ჰექტარია და ამ ყამრის ათვისებით კოლმეურნეობა ორჯერ გაზრდის თავისი ზვრების ფართობს. ათიოდე ჰექტარზე უკვე ორწლინახევრიანი ვენახი ბიბინებს. საფერავსა და რქაწითელს უკვე კარგა დაუსხამთ.

ზაქრო ხუტილაშვილი და კაკო ჯოხაძე ილიას კაკოსა და ზაქროს მსგავსად ძროხასა და ღორში კი არ ატარებენ ბავშვობას, არამედ ბეჯითად სწავლობენ და მადლიერად იგონებენ თავის შორეულ წინაპრებს.



ოც ჰექტარსაც წელს გააშენებენ. ნიადაგი გამზადებულია და საკუთარ სანერგეში 70 ათასი ძირი ნერგია გამოყვანილი. ამ ახალნაკეთებ ვენახიდან ახალგაზრდა კაცი გამოგვეგება — კოლმეურნეობის მევენახეობის აგრონომი სოლიკო მათიკაშვილი.

— როგორ მოგწონთ ჩვენი ქინძმარაული?

— ქინძმარაულიაო!

— მთელ ამ უბანს — დურუჯსა და კუის-წყაროს შუა რომ არის გაშლილი, ქინძმარაულის მიწები ჰქვია და მხოლოდ აქ მოდის ის სახელგანთქმული „ქინძმარაული". აქაც ოდესღაც ტყე იყო და მხოლოდ გარეული ქინძი იყო მოდებული აქაურობას, ამიტომაც „ქინძმორეულს" ეძახდნენ, მერე ტყე გაკაფეს, რამდენიმეჯერ ადიდებულმა დურუჯმაც გადაუარა იქაურობას, დალამა, გააპოხიერა და ახლა ამ ქვიან, მაგრამ ნოყიერ მიწაზე რომელიც ასე უყვარს რქაწითელსა და საფერავს, ეს შესანიშნავი ღვინო მოდის. ახლად გაშენებული ვენახები საგულდაგულოდ არის მოვლილი; მაგრამ როდესაც ძველნაშენ სრულმსხმოიარე ვენახებში გადავედით, თვალი ვერ მოვაშორე მტევნებით უხვად დატვირთული ვაზების მწკრივებს. ყურძენი უკვე შემოსულია. კარგი დარებია და შაქრიანობა ყოველდღე მატულობს. რქაწითელის შაქრიანობა უკვე 22%-ია!.

— კიდევ რამდენიმე დღეს ვაცლით, ბარემ 24 პროცენტამდე ავიდეს და მაშინ დავიწყებთ რთველს — ამბობს აგრონომი.

ახლა ვენახში ხალხი თითქმის არა ჩანს, აქა-იქ ბალახს თუ სცელავენ ანდა მერგოლური თუ ათვალიერებს თავის ნაკვეთებს, მაგრამ, ალბათ, მხოლოდ მევენახეებმა იციან, რამდენი შრომა დასჭირდათ, რომ ვენახები ამ საზეიმო რთველის დღემდე მოეყვანათ!

ამ ნაკვეთებზე გამოცდილი და მცოდნე კოლმეურნეები მუშაობენ. ოთხმოცდაშვიდი წლის მევენახე ზაქრო ვარამიშვილს 0,9 ჰექტარიდან შარშან 172 ცენტნერი საფერავი მიუღია. მის ნაკვეთში ახლაც „ღვთის თვალი ტრიალებს" და ზაქრო არც წელს აპირებს ნაკლები მოსავლის აღებას.

გიორგი ბეჟანიშვილს 1,2 ჰექტარი აქვს გაპიროვნებული. შარშან 170 ცენტნერი რქაწითელი აიღო, წელს კი ამასაც არ სჯერდება; მაგრამ არც სხვა მევენახეები — არც 67 წლის სვიმონ მირზიკაშვილი, არც ტიტიკო ტუხაშვილი და ივანე მირზიკაშვილი, არც ადამ მახაროblიძე და იასე ბურკიაშვილი აპირებენ შარშანდელზე ნაკლები მოსავლის აღებას.

სამაგალითოდ მოვლილ ნაკვეთთან შევჩერდით.

— ეს ვარამიშვილისეული ნაკვეთია... — გვითხრა ანდრომ და სახეზე ღრუბელმა გადაურა.

...ფიდო ვარამიშვილი, მაღალი მოსავლის ოსტატი და მთელ რესპუბლიკაში ცნობილი მევენახე იყო. ამ ორი თვის წინათ გარდაიცვალა. ახლა მისი შვილები: — საშუალო სკოლა ახლად დამთავრებული გიორგი და რვაწლედ დამთავრებული ზურაბი უფლიან, მათ მტკიცედ გადაწყვიტეს განაგრძონ მამის საქმე.

„ვარამიშვილის ნაკვეთი", ეს სახელი სამუდამოდ დარჩება ამ ვენახს — მისი შემქმნელის შრომითი გმირობის სასახელებლად.

საოამოსპირია და კოლმეურნეები სახლებისკენ დაიძრნენ.

— აი, იმ კლდის ძირას კაკოს ნაბინავარია...— ამბობს ზალიკო კუპრაშვილი.— მინდა ვთქვა, რომ უკვე დადგენილია კაკოს რეალური პროტოტიპი, რომ ცნობილი გახდა სახელი ადამიანისა, რომელიც ილიამ კაკოს სახელითი გამოიყვანა, რომ იგი სულ სხვა მიდამოში მოქმედებდა, მაგრამ თავი შევიკავე, რადგან ვიცოდი, რომ ილია ჭავჭავაძის პოემიდან კაკო ყაჩაღის სახე დიდ ხანია ისევ ხალხში გადმოვიდა, ამ მიდამოებს შეესისხლხორცა და აქაური მკვიდრი გახდა.

— ჰოდა, კოლმეურნეთა საერთო სურვილია კაკოს ნაბინავარზე, კაკოსა და ზაქროს ძეგლი დაუდგათ. შენ რას იტყვი, ანდრო? — ეკითხებიან კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

— შესანიშნავი აზრია! მე მხარს დაგიჭერთ და ფულიც მოგვეძებნება, რამდენიც დაგვჭირდება!

...როგორ არ მოეძებნებათ, როდესაც მარტო ჭევნახეობისგან კოლმეურნეობამ შარშან — ორ მილიონამდე შემოსავალი ნახა! წელსაც მარცვლეულის მოსავალი კარგი აიღეს და ვენახსაც ხომ კარგი პირი უჩანს. ილიას საიუბილეო დღეებს მისი სახელობის კოლმეურნეობა კარგი მაჩვენებლებით ხვდება. მთელი მათი მრავალდარგიანი მეურნეობა დღეს აღმავლობის გზაზეა. მთავარ დარგებს რომ თავი დავანებოთ, ისეთმა დამხმარე დარგებმაც, როგორც მეაბრეშუმეობაა, თავი ისახელეს.

30 ჰექტარზე „ქართული" ჯიშის თუთის პლანტაცია მოაშენეს და ახლა აბრეშუმის ჭიის საკვები აღარ ედარდებათ. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილემ მარო ლოლიაშვილმა 1 კოლოფ გრენაზე 40-ს ნაცვლად 80 კილოგრამი ილია რომ ამბობდა, ისეთი „მშვენიერი, სახელგანთქმული კახური აბრეშუმი" მოიყვანა, — ახლა, ილია ჭავჭავაძის სახელობის კუდიგორას კოლმეურნეობა რთველისათვის ემზადება, რთველისათვის და რთველის შემდეგ იმ დღეებისათვის, როდესაც მთელ რესპუბლიკასთან ერთად ყვარლელები ზეიმით აღნიშნავენ თავიანთი სასიქადულო თანასოფლელის იუბილეს.

კიდევ „ილიას სახელობისა"

ილია ჭავჭავაძის სახელობის სარაიონო ბიბლიოთეკის გამგეს მარიამ მამულაშვილს ნაანგარიშევი აქვს ყველა ის „მონაცემები", რომლებიც ბიბლიოთეკის მუშაობას ასახავენ: წიგნების ფონდი (13 ათასი წიგნია), მკითხველთა რაოდენობა (1000-ზე მეტია), წიგნების ბრუნვა (24.000) და სხვ... მაგრამ მთავარი მაინც სხვა არის.

მკითხველთა ბარათები რომ გადაათვალიეროთ, დაინახავთ, თუ როგორი გაზრდილია თანამედროვე სოფლის მკითხველი. სოფლის ინტელიგენციას — მასწავლებლებს, აგრონომებს, საბჭოთა მოსამსახურეებს რომ თავი დავანებოთ და რიგით კოლმეურნეთა ბარათებში ჩავიხედოთ, დავინახავთ, როგორ ეწაფება მკითხველი თანამედროვე და კლასიკურ, მშობლიურსა და თარგმნილ ლიტერატურას... მარო ხარებაშვილის ბარათში ათეულობით წიგნია: — შექსპირი და ჰაინე, დიკენსი და ჰიუგო, ჩანდრი და „რუმინული ზღაპრები", ანა ზაუტაშვილი და ერმილე ზაუტაშვილი უფრო თანამედროვე ქართული ლიტერატურით არიან გატაცებულნი. — ბიბლიოთეკას გამოწერილი აქვს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ხუთი ეგზემპლარი. ახლახან გამოსული მე-7-ე და მ-ე ტომები მოვიკითხეთ, არც ერთი ცალი თაროზე არ დაგვხვდა — ხუთივე ეგზემპლარი წაღებული იყო...

ყვარლის თავზე ერთი გორაა... ჯერ კიდევ მაისსა და ივნისში რაიონის მუშა-მოსამსახურეებმა საკუთარი ხელით გასწმინდეს იგი ჯაგებისაგან, დეკორაციული მცენარეები დარგეს, საავტომობილო გზა გაიყვანეს — აქ კულტურისა და დასვენების პარკი იქნება და ერთსულოვნად გადასწყვიტეს, რომ მას ილიას სახელი უნდა ეწოდოს. კიდევ ერთ დიდ საქმესაც გამოაპეს თავი — ამ გორაზე დიდი აუზი მოეწყო, რომელშიც ფატმასურის საბჭოთა მეურნეობიდან გამოყვანილი წყალი მოიყრის თავს და აქედან ყვარლის წყალსადენს შეემატება... — ყვარლის ახალ ხიდს ილიას სახელი დაერქმევა... რაიონის საიუბილეო კომიტეტში სულ ახალი და ახალი წინადადებანი შემოდის. ყვარლის მოსახლეობა დიდი თანამეგობრობით, ყველა ერთ ოჯახად ეგულებოდა ილიას, ამ ოჯახის ერთ-

მარჯორი უორდროპი

ნინო ჩიხლაძე

ილია ჭავჭავაძეს მრავალ ღირსშესანიშნავ თვისებებთან ერთად ჰქონდა იშვიათი უნარი ადამიანთა შეცნობის და დაახლოებისა.

ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ ძალი იზიდავდა იგი საქართველოში უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმრებს, რომლებიც გაცნობის პირველივე დღიდან, რაღაც განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით უკავშირდებოდნენ მას და წლების მანძილზე არ სწყვეტდნენ მასთან მიწერ-მოწერასა და ურთიერთობას.

უცხოელთა ამ წრეს ეკუთვნის ჩვენი ქვეყნის გულწრფელი მოტრფიალე, ინგლისელი მწერალი ქალი — მარჯორი უორდროპი.

ამ შესანიშნავმა ქალმა საკუთარ სამშობლოსავით შეიყვარა ჩვენი ქვეყანა. ათი წლის დაძაბული მუშაობის შედეგად ინგლისურ ენაზე თარგმნა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული მწერლობის სხვა ძეგლები.

ლონდონში გამოცემულ „ქართული ხალხური ზღაპრების“ წინასიტყვაობაში, მარჯორი უორდროპი სწერდა: „რამდენიმე წლის წინეთ, ჩემი ძმის მიერ დაწერილმა წიგნმა პირველად გააღვივა ჩემი ინტერესი კავკასიისადმი და მის მამაც მშვენიერ მკვიდრებისადმი“. მარჯორი უორდროპის ამ გულთბილ დამოკიდებულებას ჩვენდამი, თავის დროზე გამოეხმაურა გაზეთი „ივერია“:

„Miss Morgory Wordrop. ქვეკეთ ჩვენ გბეჭდავთ ქალბატონი მარჯორი უორდროპის წერილს, რომელიც ამ საპატიო ინგლისელმა ახალგაზრდა ბანდილოსანმა გამოუგზავნა „განდეგილის“ — ავტორს.

ჩვენ ვერ ვნახეთ შესაძლებლობა, რომ ეს მშვენიერი წერილი ინგლისელი ქალისა, რომელსაც ქართული წერა-კითხვა შეუსწავლია ძველი წიგნების საშუალებით, თავის კაბინეთში დაგვემალა და არ გაგვეზიარებია საზოგადოებისთვის ის ჭეშმარიტი სიამოვნება, რომელიც ჩვენ იმისი წაკითხვისა გამო ვიგრძენით. ქალბატონი უორდროპი კარგა ხანია ვიცოდით, რომ მოყვარე იყო ჩვენი ქვეყნისა, მაგრამ ეს საპატიო ქალი ახლა თავის პირით აღიარებს ამ ძვირფას გრძნობას, რომელსაც, უეჭველია, ყველა კარგი ქართველი ჩინებულად დააფასებს.

როგორც წერილიდან სჩანს, ეს დიდად ჩვენთვის სიმპატიური ასული დიდებული ქვეყნისა, მალე გვესტუმრება და იმედია დარწმუნდება, რომ ქართველი ხალხი არ არის უმადური...

„ივერია“ — მკითხველი, რასაკვირველია საკმაოდ იცნობს ბ-ნი Variani-ს წერილებიდან ქ-ნი შარჯორი უორდროპს და მის საპატიო ოჯახს, მაგრამ შეცდომაა იმის ფიქრი, რომ კაცმა შესძლოს ღირსეულად დააფასოს და მისწვდეს ინგლისის ოჯახის სიკეთეს და იმ ტიპების გონებრივს და ზნეობრივ სიმხნევეს და სიმშვენიერეს, რომელთა რიცხვში უნდა ჩაითვალოს Miss Morgory Wordrop-ის დაწერის და მოთხრობის ამბავი. ამისათვის საჭიროა ამ ოჯახის ნახვა და ტიპების გაცნობა“. წერილს ხელს აწერს დ. მეველე.

მარჯორი უორდროპი პირველად საქართველოს ესტუმრა 1894 წელს, მეორედ კი, იგი საქართველოში თავის ოჯახით ჩამოვიდა 1896 წელს, საიდანაც დაიწყო კიდეც მისი მეგობრობა ილია ჭავჭავაძესთან და მის მეუღლე ოლღა გურამიშვილთან.



THE HERMIT

I

There, where Mount Kazbek rears his noble brow,
Where eagle cannot soar, nor vulture fly,
Where, never melted by the sun's warm rays,
The frozen rain and snow eternal lie;
Far from the world's wild uproar set apart,
There, in the awful solitude and calm,
Where thunder's mighty roar rules o'er these realms,
Where frost doth dwell and winds sing forth their psalm:
There stood, in former days, a house of God,
Built by devout and holy men, the fame
Of that old temple still the folk hold dear,
And Bethlehem is still, to-day, its name.
The ice-bound wall of that secluded shrine
Was hollowed out from craggy, massive block,
And, like an eagle's eyrie on the cliff,
The door stood carved in the solid rock.
Straight downward from this gate unto the path
There hung descending a rough iron chain,
And save by that strange ladder's aid alone
Man could in no wise thereto entrance gain.

II

მარჯორი უორდროპი თვეობით რჩებოდა ილია ჭავჭავაძესთან თბილისში და საგურამოში, მას თავის ფეხით შემოვლილი ჰქონდა საქართველოს ლამაზი კუთხეები.

მარჯორი უორდროპი მოხიბლული იყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი ღვაწლით, მისი მდიდარი ერუდიციით, ფართო განათლებით. იგი გახდა ილია ჭავჭავაძის ნიჭის პატივისმცემელი, მისი მეგობარი. 1908 წელს იგი ერთ თავის წერილში ოლღას სწერდა: „არასოდეს არ დამავიწყდება ილია და ილიას ცოლი და როდესაც პირველად გნახეთ მცხეთაში, თორმეტი წელიწადია, იმ წამში ყველა ჩამრჩა გულში და იქაც დარჩით, სანამდის ცოცხალი ვიქნებით“.

რამდენად უძნელდებოდა მარჯორის თავის გულწრფელი გრძნობების გამოხატვა ქართულ ენაზე ილიასა და მის მეუღლე ოლღა გურამიშვილისადმი, იმდენად ყოველ მის ნათქვამ სიტყვას უდიდეს ფასს და მნიშვნელობას აძლევდა ილია. მარჯორი არაჩვეულებრივი სიამაყის გრძნობით სწერდა ოლღას: „—ილიას სურათი მუდამ ჰდგას ჩვენს ოთახში, ერთი შინა ინგლისში და ერთიც აქ“. ეს წერილი კარგად გამოხატავს ილიასა და მარჯორი უორდროპის მეგობრულ ურთიერთობას.

„ღრმად პატივცემულო და უძვირფასესო კნეინა ოლგა,—სწერდა მარჯორი,—ბევრჯერ ეფიქრობ საქართველოზე, ახლა უფრო კარგად გავიცანი ქართული ხასიათი, მისი კეთილსულოვნობა და ავობაც და მომავალში იქნებ კიდევ მოვალთ და ვნახავთ. მივიღე „ცნობის ფურცელი“. როდის გამოვა „ივერია“. „ცნობის ფურცელი“, გვარიანია და იმედი მაქვს, რომ „ივერია“ მალე მივიღო კიდევ“.

როგორც ვხედავთ ილია ინგლისელ მწერალ ქალს უგზავნიდა ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს, აცნობდა მას ჩვენ ეროვნულ კულტურას. ეს სუსტი აგებულების, ფილტვების დაავადებით შეპყრობილი ქალი, რომლის სიცოცხლე ყოველთვის საფრთხის წინაშე იდგა, ახერხებდა, განსაკუთრებული ინტერესით დაწაფებოდა ჩვენი ქართული კულტურის შესწავლას.

ილიას ოჯახის კარები ყოველთვის ღია იყო მარჯორის და მისი ძმის ოლივერ უორდროპისათვის, რომელმაც 1883 წელს საქართველოში მოგზაურობის შედეგად გამოსცა უცხოელთათვის საინტერესო წიგნი „საქართველოს სამეფო“.

მარჯორი ყოველივე კარგს, ნახულსა და გაგონილს საქართველოს მშვენიერებას უკავშირებდა: „ნეტავი, თუ ერთხელ კიდევ მოვდიგარ საქართველოში, ვით სამშობლო საყვარელი არს... აქაური სოფელი ისეთი მშვენიერია, თითქოს საქართველოში ვიყო“, — სწერდა ბრიტანეთიდან ოლღა გურამიშვილს.

მარჯორი უორდროპი იმდენად დაახლოებული იყო ილიასთან და მის ოჯახთან, რომ მათთან ერთად განიცდიდა მათ საერთო სიხარულს, ბედნიერებასა, თუ მწუხარებას: „გულით ვწუხვარ, რომ ავადმყოფობ,— სწერს იგი ოლღა გურამიშვილს,— და თქვენ ძვირფას თვალებს სინათლე აკლიათ. თქვენ ჰსწერთ ამდენათ მშვენივრად, ძნელია დავიჯეროთ, რომ კარგათ ვერ ჰხედავთ. იმედი მაქვს, უძვირფასესო ოლგა, რომ ახლა თქვენი საყვარელი თვალები კარგათ არიან. ნეტა, თუ ძალაში იყოს თქვენი განკურნება!“

ასევე ააღელვა მარჯორი ილიას ავადმყოფობამ.

„საყვარელო ძვირფასო კნეინა ოლგა! მხოლოდ გუშინ ვკითხულობდი ქართულ გაზეთში, რომ ღრმად პატივცემული თავადი ილია ავათ ყოფილა... ამ სამწუხარო ამბავმა გულით შეგვაწუხა. დიდი სურვილი გვაქვს, რომ ეხლა ჯანმრთელად არის“.

ილიას სიხარულს და გამარჯვებასაც მარჯორი აღტაცებით ხვდებოდა. 1906 წელს, როცა ილია სახელმწიფო საბჭოში აირჩიეს, მარჯორი ამ დროს მოსკოვში იმყოფებოდა, სადაც ერთხელ კიდევ შეხვდა მის სათაყვანებელ ილიას.

„ღრმად პატივცემულო თავადო ილია!

თქვენ მობრძანებულხართ, მოგილოცავთ გულით თქვენი ამორჩევებზე, ფრიად მოხარული ვიქნებოდით თქვენი ნახვით, თუ შეიძლება, გთხოვთ მობრძანდეთ სადილათ პარასკევს საღამოს რვის ნახევარზე. ჩემმა ძმამ უგულითადესი მოკითხვა გიძღვნათ.

თქვენი ღრმა პატივცემელი მარჯორი უორდროპი“.

მარჯორი უორდროპი არაჩვეულებრივი სიფაქიზით მოეკიდა ილიას უკვდავი ქმნილების „განდეგილის“ — ინგლიაურ ენაზე თარგმნას.

1894 წელს მან ილიას მისწერა:

„მოწყალეო ხელმწიფევ!

ინგლისურად თარგმანი ვჰქმენ თქვენსა „განდეგილისა“, — რომელსა უკეთესის ლექსისა, თქვენი მშვენიერი ენაში, რომ მე ვკითხავ და რომელსა ქონება ყველას მწერლობაში დიდება უნდა იყოს.

მე დიდი სურვილი მაქვს ჩემს თანამემამულეთა სიამოვნება, რომელიც ეე ამ ლექსმა მაგრძნობინა.

ამისათვის ვჰკადრებ თხოვნა თქვენ ნება — ეს ჩემი თარგმანი გამოცემად ვსცადე სიტყვითა სიტყვითად მას გამოთქმა, მაგრამ ბევრზე მისი მშვენება უნდა იყოს საჭიროდ დაკარგული თარგმანი.

ჩემი ძმა დიდი პატივი ქონდა, რამდენიმე წელიწადი უკან ტფილისში თქვენი გაცნობა ქმნა. მე დიდი იმედი მაქვს, რომ მეც მაგასთან მალე მოვალ საქართველოში. ქვეყანა, რომლისკენ მე გულწრფელად სიყვარულს ვჰგრძნობ და სურვილი მაქვს, რომ მერმე მე შევჰსძლებ პირდაპირ გამოთქმა ულრმესი პატივისცემა თქვენი ნიჭისთვის და დიდებულის მსახურისათვის.

თქვენი პატივცემელი მარჯორი უორდროპი“.

მარჯორომ შეასრულა ილიასადმი მიცემული პირობა. 1895 წელს მის მიერ თარგმნილი პოემა „განდეგილი“, უკვე ცალკე წიგნად გამოვიდა ქ. ლონდონში.

პოემის წინასიტყვაობაში მარჯორი სწერდა:

„მაშინ, როცა სპარსეთის ლიტერატურას კარგად იცნობს ინგლისელი მკითხველი, იშვიათია მოიძებნოს ვინმე, რომ ქართულ ლიტერატურაზე იცოდეს რაიმე. საქართველო კი, ნამდვილად ღირსია ყურადღებისა. „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველისა ეს არის XII საუკ. უდიდესი პოემა. აი, თუნდ დღევანდელ დღეს, სპარსეთი ვის ამოუყენებს გვერდში ბარათაშვილს ან ჭავჭავაძეს“.

მარჯორი დაუსრულებლად ლაპარაკობს ილიას ცხოვრებასა და ბიოგრაფიაზე, მაგრამ წინასიტყვაობის ჩარჩოები ზღუდავს მას და მოკლედ „განდეგილის“ შესახებ დასაკნინს.

„მრავალი ამბავი დაიწერა წმიდანების შეცდენაზე, მაგრამ „განდეგილი“ ყველასგან განსხვავდება თავისი საოცარი უბრალოებით. ნაწარმოები არ არის თეატრალური აგებულებისა. იგი დაწერილია ჰარმონიული სტილით“.

ილიას ნიჭის ღრმა პატივცემელი მწერალი ქალი მაინც ახერხებს ამ პატარა მოცულობის წინასიტყვაობაში ილიას მოღვაწეობის ფაქტების აღნიშვნას.

„თავადი ილია არის ყოველდღიური გაზეთის „ივერიის“ გამომცემელი, საადგილ-მამულო ბანკის დირექტორი... დიდი მჭევრმეტყველი, ორატორი, თავის ერის სოციალური ცხოვრების ყველაზე ძლიერი ფიგურა“.

ასე აფასებდა მარჯორი ილიას შემოქმედებითს ნიჭს.

ვინ არის ეს კაცი?

გიორგი ნაბერეშვილი

მოთხრობა

მხატვარი ალ. ბანძელაძე

თორმეტი წლის ბიძინას ჯერ ისევ დილა-ბნელზე გამოეღვიძა, ერთი კი მოიფშვნიტა თვალი, მერე თავის უმცროს ძმას — ათი წლის ზურიკოს ლოგინში წინლი წაჰკრა, „ადექ, მძინარავ, ზარმაცები ღმერთს არ უყვარსო!“ ყურში ჩასძახა და ფეთიანივით გადმოხტა ტახტიდან სარდაფული ოთახის სოხანეზე. ზურიკო ოდნავ შეიშმუშნა და მხარი იცვალა; ფანჯარასთან მდგომმა შუახნის ქალმა კი წყრომით გადმოიხედა, სანეზე წამოსული ღიმილი ნაძალადევად ჩაიქრო და შვილს საყვედური უთხრა:

— ნელა, ბიჭო! რა მოგვიდა, რა გადარეულივით გადმოენთე მაგ ლოგინიდან! ეგ გაწყალებული საბანი სულ გინდა რომ ხელში შემოიდნო, შვილო?

ბიძინას შერცხვა და თავი ჩაღუნა. დახეთ, რა ადრე ამდგარა დედა, ბიძინასთვისაც აუსწრია... ნეტავ რას აკეთებს იმ ფანჯარასთან... ჰო, იმ შარვალს აკერებს. ესღა დარჩათ მამის ტანსაცმლისაგან — გუშინ მეძველეს გაუტანა დედამ, ობლებს თითო ლუკმა პურს ვუყიდიო, მაგრამ მეძველემაც კი იუკადრისა, უკანვე მიუგდო დედას და უკანასკნელი იმედი გაუცრუა. აბა, სადღა წავიდეს დედა, **რას** იშოვნის ამ გაცრეცილ ქალაქში, სადაც ყველაფერი არეულ-დარეულია: ქუჩებზე ვიღაც მოკლეკაბიანი ჯარისკაცები დაეხეტებიან, უცნაურად აცვიათ და უცნაურადაც იქცევიან. ვალიკო ჯუღელის თავზე ხელაღებულ გვარდიელებს ის მოკლეკაბიანები თავსაც არ უყადრებენ. ამბობენ ისინი შოტლანდიელები არიანო. ფურნეებში კი პური არ არის, და ამ სარდაფულ ოთახის ბინადართაც სცივათ და შიათ. ბიძინა კი მაინც მუდამ კარგ ხასიათზეა. ჯერ პატარაა, დარდი არ აწუხებსო. ასე ჰგონია დედას, ის კი არ იცის, როგორ ეცემ ჩაუქრება ხოლმე ბიჭს თვალებში სიხარული — თავიანთ უღიმღამო ბინას რომ გადახედავს, დაძველებულ კამოდს, ერთი უჯრა რომ აკლია, გაქონილ სპილენძის შანდალს. კუთხეში რომ გდია... აი ახლაც დედის ხელში ის შარვალი დაინახა და უცებ ყველაფერი გაახსენდა:

— დედი, — ჩუმად დაიწყო მან, — ძია ვანოსთან გადავალ...

— არა, ბიჭო! თვითონაც წვრილშვილი ახვევია, შვილო, თვითონაც ცოდოა!

— რას ამბობ, დედი! ძია ვანომ ეგ რომ გაიგოს, არ იცი, როგორ ეწყინება?

მართლაც რა ეშველებოდათ, რომ ძია ვანო არა ჰყოლოდათ... ისღაა ერთადერთი იმედი ამ უნდო და უსწორ-მასწორო ქვეყანაზე. რამდენჯერ გაუმართა ხელი რძალსა და ძმისწულებს... ბიძინასაც და ზურიკოსაც ახალი ფეხსაცმელებიც უყიდა და ხალათებიც. ის კარგი ძია რომ არა, ბიჭები ვერც სკოლაში შევიდოდნენ, დედას აბა სად შეეძლო მათთვის ესწავლებინა — ლუკმა პურის ფული ძლივს შემოჰქონდა ოჯახში. ვანო ძია კი მართლაც ვაჟკაცია, მაღალი, წარმოსადეგი, საამოდ შესახედავი, გრძელი ულვაშები აქვს, ძირს დაშვებული კი არა, მერცხლის ფრთებივით გაშლილი და გაწვდილი აქეთ-იქით. ცხვირზე ოქროს ჩარჩოებში ჩასმული პენსნე უკეთია, წინათ თურმე რედაქციებში უმუშავნია ძიას, ახლა კი, ახლა ვექილობა დაუწყია, ყოველ დილით ამოიჩრის იღლიაში კუთხეებშემოცვეთილ პორთფელს და სასამართლოში მიდის... ხანდახან ჩამოძონძილი დიღმელები და წყნეთელები მოუვლენ შინ, ჩამოუსხდებიან, თავიანთ გულისტკივილს შესჩივლებენ, ატირდებიან და თავიანთ ბედ-იღბალს ვანოს ისე ჩააბარებენ, თითქოს უფლის კარამდე მიაღწიეს, მის კალთას შეეფარნენ და ამ წუთისოფლის ყველა ჭირ-სახდელის წამალი იშოვნესო.

ამიტომ მიუხარიანთ ძია ვანოსაკენ ბეჩავებს, ტიალებს, ბედდამწვარ ადამიანებს.

მაგრამ არავის ისე არ უხარიან ძია ვანოს სახლში მისვლა, როგორც მის ობოლ ძმისწულებს. თვალები გაუბრწყინდებათ ხოლმე ბიძინასაც და ზურიკოსაც, ძია ვანოს კიბეზე რომ აირბენენ, გრძელ აივანს გაპყვებიან და ფართო, ნათელ ოთახში შეცვივიან. განა ის უხარიან ბიძინას, რომ ძია ვახშმად დატოვებს; ეჰ, აბა ეგ რა სახსენებელია, იმათი სარდაფის გვერდით რომ მეხაშის შვილები არიან, ან ქუჩის მეორე მხარეზე საბაყლო დუქნის ბიჭები—დღედაღამე სჭამენ, მაგრამ მათი ბედი ბიძინას თავის დღეში არ შეხარბებია...

არაა, იქ, ძია ვანოს სახლში, სულ სხვა ჯადოა!..

კარებს შეაღებ თუ არა, პირდაპირ, კედელზე, საოცარ სურათებს დაინახავ... თვალს ვეღარ მოსწყვეტ... ყველაზე მაღლა პირთხელი კაცის სურათი ჰკიდია, მას თავზე ბეწვეულის მაღალი, წოწოლა ქუდი ხურავს, ხელში ბატის ფრთა უჭირავს და გაშლილ წიგნში წერს — სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი. სულ წერს ის კაცი, რაც კი ბიძინას თავი ახსოვს, აღარ ეღლება ის დალოცვილი ხელი. მეორეს, მარჯვენა მხარეს რომ ჰკიდია კედელზე, საფეთქელთან ხელი მიუდვია და თავისი ლამაზი თავით იმ ხელზე დაყრდნობილა. ის კი ნამდვილად ღმერთსა ჰგავს, ნათელი სახე აქვს, გასხივოსნებული და ნეტარი! მესამეს ჩოხა აცვია, წელზე ხანჯალი შემოურტყამს და დაბღვერილი დაჰყურებს კედლიდან ყველას, ნაიალაღარ ხარსა ჰგავს და თვალებში ისეთი შუქი უდგას, თითქოს უთქმელად, ჩუმად დუდუნებს — ღმერთო, სამშობლო მიცოცხლეო. იმათ შუა კი ძია ვანოს ერთი ვეება პორტრეტი დაუკიდნია — იმ კაცს მაღალი შუბლი აქვს და ჭკვიანური თვალები. თურმე კაკოსა და ზაქროს ამბავიც, სასაცილო ლუარსაბის თაგვადასავლიც, ოთარაანთ გიორგის სიკვდილიც იმას აუწერია, ბეჩავი გაბროც იმასა სცნობებია და „მესმის, მესმის“, ისიც იმისი დაწერილი ყოფილა. ძია ვანოს კარგად სცნობია ეს კაცი, „ივერიაში“ უმუშავნია მასთან ერთად.

უკვირს ეს ბიძინას და უფრო მეტი სიყვარულით და სიამაყით შესცქერის ძია ვანოს... ნუთუ მართლა უნახავს ეს კაცი?!

— იმასაც იცნობდი, ძია? — ეკითხება ბიძინა და თმახუჭუჭა კაცზე უთითებს, ზოლივით რომ ჩამოუშვია წვერი ლოყებზე და გაკრული ხელით რუსულად რომ აწერია გვარი.

— არა, მაგას ვერ ვიცნობდი, შვილო! ეგ დიდი ხნის წინათ მოჰკლეს...

— მოჰკლეს? — უკვირს ბიჭს, — ვინ მოჰკლა? მერე სხვები სად იყვნენ, ძიავ, აი ისინი — და პორტრეტებზე უჩვენებს, — რათ დაანებეს?

აბა რა უპასუხოს ვექილმა თორმეტი წლის ბიჭს... ის კი აღარა ჩერდება, აღარ ისვენებს, შეკითხვას შეკითხვაზე აყრის:

— სად იყვნენ-მეთქი... — და მისი თვალი უეცრად ჩერდება პორტრეტზე, სადაც უცნობი ოფიცერია გამოხატული — პაგონებით, აქსელბანტებით, ხელით ხმლის ტემლაკს ათამაშებს და თითქოს დაცინვით გადმოსცქერის პატარა ბიჭს, რომელმაც არ იცის რისთვის ჰკლავენ ამ ქვეყნად პოეტებს. ძია თვალს ადევნებს ძმისწულს და თითქოს გულში ჩაჰხედაო, ეუბნება:

— ეგეც იმათ მოჰკლეს...

— ეგეც?...

— ჰოო! რათ გიკვირს? აი, ილიაც აგრე არ მოჰკლეს?

— ვინ მოჰკლა, ძიავ?

— ყველანი ხელმწიფემ დახოცა, შვილო... გაიზრდები, და ყველაფერს თვითონ წაიკითხავ!

მაგრამ ბიძინას განა მოცდის დრო და გული აქვს? მას უნდა ახლავე იცოდეს ყველაფერი — აი, იმათი წიგნები აწყვია დაბლა თაროზე, იქ იპოვნის პასუხს, რაკიღა ძიას თქმა ეძნელება.

წერა-კითხვა რომ ისწავლა ბიჭმა, იმ დღის მერე თვალები დაითხარა იმ წიგნების კითხვით. ჩამოღამდებოდა, სინათლე ჯერ არ აენთოთ და ასოებიც აღარ გაირჩეოდნენ, ბიძინა მაინც კითხულობდა, ხელიდან გამოჰგლეჯდა ხოლმე ძია, ბიჭი უაზროდ, უგონოდ შეჰხედავდა და თითქოს აღარ იცოდა სად იყო.

სინათლეს რომ აანთებდნენ, ბიძინა ჯერ იმ სურათებს გაჰხედავდა, დიდხანს უყურებდა და მერე ისევ წიგნს დაუბრუნდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხულობდა და ხან ტიროდა, ხან ეცინებოდა. ხანაც უცნობი, ჯერ განუცდელი სიხარული თბილად ეღვრებოდა გულზე და იმ წუთებში უნდოდა ყველაზე კარგი ბიჭი ყოფილიყო, ყველაზე კეთილი და მამაცი ყოფილიყო მთელი ქვეყნის ტოლ ბიჭებში.

* * *

— წაგაკალ თუ არ შენს უნამუსობას? — წამოიძახა უცებ ბიძინამ და მწარედ დაიგმინა. დედამ განცვიფრებით შეხედა მას და ვეღარ იცნო — ბიჭს წარბები შეემუხნოდა, ლურჯ თვალებში მრისხანება ჩაგუბებოდა. ან კი რას იცნობდა დედა, ის ბიჭი ბიძინა კი აღარ იყო, გაბრო იყო, საცოდავი გაბრიელი, მან სწორედ ამ წუთში აუკრა ხელი თოფზე დათიკოს და მარცხენა ძუძუში დასცა დამბაჩა. დათიკო ცხენიდან გადმოვარდა, ძირს დაეცა, ბიძინა თავზე წაადგა და დაინახა რომ ეს მშვენიერი ყმაწვილი კაცი ძლივსღა ფეთქავდა თავისი ყმის ფეხთა წინაშე. და, დახეთ, კაცის გულის ძუწუბას, ის მაინც არ შეეცოდა.

დედა განცვიფრებული შეჰყურებდა ბიძინას, მას კი აღარაფერი ახსოვდა, აღარც დედა, აღარც ზურიკო, მას ახლა მარტო მომაკვდავი დათიკოს ხრიალი ესმოდა:

— გახსოვს, მაშინ რომ გითხარი, სანთელ-საკმელი თავის გზას არ დაჰკარგავს-მეთქი — მომაკვდავის ნაცვლად თვითონვე ლაპარაკობს ბიძინა, დედა კი უცქერის და ფიქრობს — აბა რა იცის ამ თითისხელა ბიჭმა სანთელ-საკმლის მადლისაო... ვინ უთხრა ეს, სად ისწავლა... ალბათ, სკოლაში გაკვეთილად მისცესო, ფიქრობს დედა და გულსაც ამით იმშვიდებს.

ბიძინას კი იმავე წუთში გაბროც აეიწყდება და დათიკოც, ის ახლა კაკო-ყაჩაღია და ზაქროს უწყრება:

— მითხარ, დედალო რას აკეთებდი, რას გეუბნოდა გული იმ დროსა...

— კაკო, ნუ სწყრები... — ამშვიდებს ზაქრო, მაგრამ გაბრაზებულ ვაჟაცზე აღარაფერი სჭრის. ის ბორგავს, შფოთავს და ყველა მტარვალს ქვეყნად — გავსწორდეთო, ბრძოლის ველზე იწვევს.

* * *

ბიძინა დილიდანვე ემზადებოდა ძია ვანოსთან წასასვლელად. მაგრამ ამჯერად იმედი გაუცრუვდა. ათასი რამ დაავალა დედამ. ჯერ სარეცხი გაატანა სოლოლაკში, მერე შეშა დაჭრევინა, მერე ის იყო ნაძალადევში გაგზავნა საქმეზე და ამასობაში დღეც მიიწურა, საღამომ ისე მოატანა, რომ ბიჭმა ვერც კი გაიგო.

ახლა კი ის თავისუფალი იყო და ძმები მაშინვე ძიას სახლისკენ გაეშურნენ.

აივანზე რომ ავიდნენ, მათივე ბიძაშვილი, შვიდი წლის დათუნა გამოეგებათ. ენაბრგვილმა ბიჭმა ძლივს გააგებინა სტუმრებს, ჩვენ ახალი მეზობელი გვყავსო, ეს მეხუთე დღეა აქ ჩვენს გვერდით გადმოვიდა და ეს აივანიც ახლა საერთო გახდაო.

ბიჭებს ამ ამბისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. ისინი მაშინვე ოთახში შეცვივდნენ და ბიძინას ისევ ჩაჰხედეს თვალებში იმ კედლიდან მომზირალმა სახეებმა.

— მოხვედით, ბიჭებო! — შეეძახა მათ ძია ვანო, — ის პატარა მაიკოს ეთამაშებოდა, გამახარეო, ეძახდა, ეს გახარება კი იმას ნიშნავდა, რომ მაიკო უნდა მამისაკენ გაქცეულიყო და ჩაჰხუტებოდა. გოგომ ეს ზეპირად იცოდა და ახლაც პირდაპირ გაქანდა მამისაკენ, დანარჩენი ბავშვებიც მიაწყდნენ ნოთახში ზედახორა დადგა.

ვანომ ძლივს მოიშორა ბავშვები.

ბიჭებმა სწორედ ვახშამს მიუსწრეს. რა კარგ ფეხზე უვლიათ, როგორ შიოდათ. ისინი ახლა მადიანად ილუკმპოდნენ და ის იყო, კარი ახალმა მეზობელმა შემოაღო.

ხმელ-ხმელი კაცი იყო, ჩოფურა, ფოსოებში ღრმად ჩაცვენილი თვალებით; ძია ვანომ სტუმარ-მასპინძლობის წესს არ უღალატა:

— მობრძანდი, მეზობელო! აქამდე ვერ გავიცანით ერთმანეთი! მოდი, ძმობილო! არა გრცხვენიან, შენი გვარიც არ ვიცი აქამდე!

და მან ბუფეტის კარი გამოსწია, წითელი ღვინით სავსე ბოთლი გადმოიღო.

— ყვარლისაა, აბა გასინჯე?

სტუმარმა რაღაც გაურკვევლად ჩაიბუტბუტა.

ვანომ ჩაის ჭიქა დაუსხა და სტუმარმაც — ეს ჩვენი გაცნობის იყოსო, სულმოუთქმელად დალია.

ვანომ თითონაც ხელახლა დაისხა და სტუმარსაც დაუსხა.

მეორე ჭიქაც რომ დალია, სტუმარმა მაშინღა ამოიდგა ენა:

— ახალი მეზობელი ვარ, და, არ იქნება არა ვნახო-მეთქი... იმიტომ შემოვედი...

— ძალიანაც კარგად მოიქეცი... — უთხრა ვანომ. — მე ვაპირებდი შენთან შემოსვლას, შენ დამასწარი... აბა, ესეც აეწიოთ...

ბავშვები სულგანაბულნი უცქეროდნენ ახალ მეზობელთა გაცნობასა და დაახლოებას.

უეცრად სტუმარმა მაღლა აიხედა და მისი თვალი სურათებს რომ შესწვდა, რატომღაც შეცბა, წარბები მოეღუშა და ბავშვებმა ამკარად დაინახეს, რომ სტუმარი გაფითრდა, მერე ვანოს თვალებში ჩაჰხედა და წყნარად უთხრა:

— ოთახი კარგად მოგირთავს... სურათებიც... — და უცებ ხმა ჩაეხრინწა, — მაგრამ ის რათ გინდა?

მასპინძელმა ვერაფერი ვერ გაიგო.

— აი ის, რათ გიკიდია იქა?

— ვინ, კაცო?

— აი, ის, ხედავ... ჩამოხსენი...

ვანო სადღაც იმ სურათებს იქით იყურებოდა, მაგრამ შავი თითი, ნაოჭებში თოფის საწმენდი ზეთი რომ ჩაჰკვდომოდა, პირდაპირ ილიას პორტრეტისაკენ იყო გაწვდილი:

— ჩამოიღე-მეთქი...

ბიძინამ პირველად დაინახა, რომ მისი მუდამ ჭკვიანი, დინჯი ძია დაბნეული იყო.

— ჩამოიღე-მეთქი — ისევ ამოიხრიალა სტუმარმა.

— ვინა კაცო? — გაოგნებული იყო ვანო.

— ის, ის! — და თითით ისევ ილიაზე უჩვენა.

ახლა კი სტუმარს რაღაც უცნაურად ჩაშტერდა თვალებში ძია ვანო და ოთხი წყვილი თვალიც მას გაჰყვა, და მათ უეცრად დაინახეს, პირველად დაინახეს ეს ახალი, კარის მეზობელი, აფთრის თვალებივით აბზინებული თვალებით, ცოფით ამღვრეული სახით, ულმობილობის დაღით რომ აღბეჭდილიყო.

ვექილი ნელ-ნელა წამოდგა ფეხზე. მას ახლა კიდევ ერთხელ გაახსენდა, რომ ახალი მეზობლის არც სახელი და არც გვარი არ იცოდა, ისე გადაუშალა გული, ისე შემოიპატიჟა, როგორც ქართველი მასპინძელი ქართველ სტუმარს და ისიც შემოსწრებულს დაუხვდებოდა.

მაგრამ ეს სტუმარი არც შემოსწრებულსა ჰგავდა, არც კეთილ მეზობელს და გაოგნებულმა ძია ვანომ ენის ბორძიკით ჰკითხა:

— ვინა ხარ, კაცო?

— ვინა ვარ? მესამე ნომერი ვარ, — წამოიძახა მთვრალმა მეზობელმა, — პირველმა ნომერმა შეიძლება ტყვია გააცდინოს, მაშინ მეორე მოახვედრებს, თუ მეორესაც აუცდა — მაშინ მესანმე შუბლში უნდა მოარტყას, გაიგე?

ვანომაც, ბიძინამაც უნებურად კედლისაკენ გაიხედეს და ილიას შეჰხედეს.

წუთით დუმილი ჩამოვარდა. და იმ სიჩუმეში ბავშვის საშინელი წივილი გაისმა.

— ძიავ! ვინ არის ეს კაცი?!

და ოთხმა ბავშვმა ერთბაშად ატეხა ტირილი...

დახეთ, ეს რა დაემართა გამოცდილ ვექილს, აღარაფერი ესმის — ბავშვის იმ წივილის გარდა:

— ძიავ! ვინ არის ეს კაცი?!

— ეგ კაცი არ არის შვილო! ეგ, ეგ... ან სატანაა ან თვითონ ვიგლა ბერბიჭაშვილია...

და ვექილმა უცებ წაიწია, თავის სიცოცხლეში პირველად წაიწია კაცზე... მაგრამ ბერბიჭაშვილი იქ აღარ იყო. მართლაც სატანასავით, მართლაც მოჩვენებასავით გამქრალიყო.

* * *

ვანომ კარი ღონივრად მიაჯახუნა, მერე შემობრუნდა და უგონო თვალებით გადახედა ბავშვებს. ისინი ისევ ტიროდნენ და ვექილმა ცრემლი თვითონაც ვეღარ შეიკავა.

აფორიაქებული იყო კაცი. წუხდა, ადგილი ვეღარ ეპოვნა, აქეთ-იქით აწყდებოდა.

წუხდა პატარა ბიძინაც. ბიჭები შინ აღარ წასულან, გვიან იყო, აქ, ბიძის სახლში დაწვნენ დასაძინებლად და პატარებმა მალე ტკბილი ფშვინვა ამოუშვეს. არ ეძინათ მარტო ძია ვანოს და ბიძინას.

ბიჭი შამფურივით ტრიალებდა ლოგინში, ახლა ის ბიძინა აღარ იყო, ლოგინში ახლა გაბრიელი იწვა, კი არ იწვა, საქართველოს სამხედრო გზას

მიჰყვებოდა, სადღაც ზევით, მლეთთან თუ ფასანაურთან ჰეპია დაემარხნა და შურისსაძიებლად მოესწრაფებოდა.

მცხეთას რომ მიუახლოვდა, გაბრომ რატომღაც, გულმა თუ უგრძნო, პირდაპირ კი არ გამოსწია, წიწამურისაკენ გადაუხვია.

შორიდან ეტლის ბორბლების გრიალი ესმის, შრიალებენ ტყეები წიწამურზე. აბა, ყოჩაღად, გაბრიელ, გახსოვს რა მისწერა როსტევანს ავთანდილმა:

„მე იგი ვარ ვინც არასდროს,
არ ამოვკრებ კიტრსა ჴერად,
ვის სიკვდილი მოყვრისათვიცა
თამაშად და მიჩანს მღერად“.

იცის ბიძინამ, მღვდელმა გაახსენა ეს სიტყვები გაბროს და ისევ ვიღაც ჩასძახის რულმორეულ ბიჭს: გულხელდაკრეფილი რას უდგეხარ, რათ მოიკალი გული, რომელიც ხოძრის სიყვარულისათვის მომიცია შენთვის? როცა, ძმობილო, ადამიანს განსაცდელში პირს არიდებ, მითამ ქრისტე ღმერთისათვის მოგირიდებია პირიო.

ხოლო ეი ამ ეტლით, ბორბლების გრიალი რომ ისმის, ქრისტე-ღმერთზე უფრო დიდი კაცი მოდის.

გულმაც ამიტომ თუ გადმოახვევინა გაბროს.

არსენასაც გაჰღვიძებია მცხეთაში, იმ მხნე არსენას, თაფისი მოჭიდავის ხრეებით საფლავის მიწა ამოურღვევია და ცხენს აქეთ მოაჭენებს. ყველანი აქ არიან... ეტლიც ახლოვდება, მკვლელებიც ჩარაზმულან — პირველი, მეორე, მესამე ნომერი თოფებს საკეტებს ენინჯავენ, სასროლად ემზადებიან. და არ უნდა დაიცალონ მათ, არ უნდა დაანებონ და ამიტომაც კაკომ თვითონ ვადმოიღო თოფი და პირველ ნომერს ტყვია დაახალა, მეორე ნომერს ზაქრომ მოახვედრა, მესამე ნომერს კი, იმ მესამეს, აგერ წეღან აქ, ამ ოთახში რომ იჯდა, გაბრიელმა, თუ თვითონ ბიძინამ, ეს აღარ ახსოვს, აღარ ახსოვს რომელმა, თოფზე ხელი აუკრა, მერე გამოუმიზნა და თვითონ ესროლა. მოახვედრა, ნამდვილად მოახვედრა. მაგრამ დახეთ, ის წყეული მესამე ნომერი ისევ ფეხზე დგას და თოფიც ისევ შემართული უჭირავს, მეორეჯერ ესროლა გაბრიელმა, ისევ მოახვედრა, მაგრამ ხმელ-ხმელი ჩოფურა კაცი, ფოსოებში ღრმად ჩაცვენილი თვალებით — ისევ ფეხზე იდგა, ესროლა მესამე და როცა ის კაცი ისევ ფეხზე დაინახა, თოფი ბალახებში გადაადგო და ტირილი დაიწყო.

იმ ცრემლმა დასწვა და დაუბნელა თვალი, თუ თოფის წამლის კვამლმა, ბიჭს მერე აღარაფერი დაუნახავს.

...თბილისისაკენ რომ წამოვიდნენ, როდი მოასვენებდნენ ილიას, ცოცხალი მოჰყავდათ, მართალია, ჭრილობები ეწვოდა, მაგრამ განა ტკივილს არ იყო შეჩვეული, რომ ეს გაჰკვირვებოდა?

მთელი საქართველო შეყრილიყო თბილისის კარებთან და ილიას ეგებებოდნენ. ყვავილებს უბნევდნენ ქუჩებზე, ყვავილებს უყრიდნენ ფეხთა ქვეშ, სადაც ის გაივლიდა, ვარდებს ესროდნენ, იებს, ცისფერ ჭიკარტებს, თამარის თვალებს და პირიმზეს — ციცაბო კლდის პირებზე დაკრეფილს.

მაგრამ აი ვილაც გამოდის წინ, მგონი კაკო უნდა იყოს და ხალხს აფრთხილებს, ხმამაღლა ეხვეწება:

— ყვავილებს ნუ ესვრით... არ უნდა... ბევრი ჭრილობები აქვს და როცა ეგ ყვავილები ხვდებიან, სტკივათ...

ბიჭი ჩუმად ტირის... ბიძამ არ უნდა გაიგოს...

— არა გძინავს, ბიჭო? — ესმის ბიძინას ვანოს ხმა.

არა ხძინავს ბიჭს, მაგრამ ახლა საყვარელ ძიასაც არ გაეძრახება... ის ახლა ამქვეყნად აღარ არის, ის სხვა სანახაობას წაუღია, თან წაუყვანია.

ყოველი წინაპრის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ედიშერ ყიფიანი

ფოტო ო.თ. თურქიასი
და ი. ივანოვის



ყვარლის წყალთა სასისტემო სამმართველოს უფროსი, ინჟინერი იოსებ იმერლიშვილი დურუჯის ჯებირებთან.

ყვარლის მთეგი

...დილიჟანსი ბორანზე შედგა. ოფლსა და მტვერში ამოგანგლული ცხენები ხარბად ჩააშტერდნენ ბორანის ფიცრებზე შექაფებულ ალაზნის წყალს. მებორნემ თოკი ახსნა. შეტოკდა, დაიჭიმა ბაგირი, და თითქოს ერთბაშად მოდიდდაო, აშხუვლდა მდინარე, ააბაკუნეს ფლოქვები ცხენებმა, ფეხი მოინაცვლეს, რომ უფრო საიმედოდ დაყრდნობოდნენ ამ „მოქანავე“ მიწას.

დილიჟანსიდან ახალგაზრდა კაცი გადმოხტა, სქელ თმებზე ხელი გადაისვა, ღრმად ჩაისუნთქა გრილი ჰაერი, მერე ბორანის მოაჯირს მიუახლოვდა და იმ ნაპირს გაჰხედა, რომელიც თანდათან შორდებოდა, პატარავდებოდა და რომელზედაც ჯერ კიდევ გაირჩეოდა მდინარეს მომდგარი დილიჟანსის ბორბლების კვალი. ყმაწვილმა ახლა ამ კვალს გააყოლა თვალი, თითქოს უკანვე დატრიალდა დილიჟანსის ბორბლები, თითქოს ისევ აამტვერა გზა და თვალისდახამხამებაში ისევ ყვარელში შეგრიალდა, იმ სოფელში, საიდანაც ერთი საათის წინათ გამოვიდნენ.

„ჩემი მთები, — ჩაიჩურჩულა ყმაწვილმა და თვალი მიმოავლო ციხკიდურს — აი თივათქედი, ზემო ახო, ცერი, კუდიგორა, ციხისჯვარი“...

ასე არასოდეს დამართნია, ასე არასოდეს დასწყვეტია გული, მთელი გზის მანძილზე სულ ყვარელზე ფიქრობდა, თავის კოშკურა სახლზე, მშობლებზე და ტოლ-ამხანაგებზე, ალბათ, იმიტომ, რომ ახლა დიდი ხნით შორდება მშობლიურ ადგილებს, რუსეთს მიემგზავრება სასწავლებლად... მშვიდობით მთებო, მშობლიურო მთებო...

ბორანი მსუბუქად შეეხალა თავთხელ ნაპირს, ახალგაზრდა კაცი ისევ ისე გაჰყურებდა მთებს, ატეხილ ჭალებს...

— ილია ბატონო!— ხმადაბლა გასძახა მეეტლემ.

ცოტა ხანიც და ისევ მიუღარუნებდა დილიჟანსი, ისევ გაჰყურებდა გზას მეეტლე, ისევ მიისწრაფოდნენ წინ ცხენები, მხოლოდ მგზავრი იყურებოდა მალამალ უკან, არ სურდა გამორჩენოდა ის წუთი, როდესაც მთები საბოლოოდ თვალთ მიეფარებოდა. მაგრამ ის მთები — ციხისჯვარი და თივათქედი, ცერი და კუდიგორა არც პატარავდებოდნენ და არც შორდებოდნენ, თითქოს ფეხდაფეხ მოსდევდნენ მგზავრს...

ასე სდევდა ამ მთების ჩვენება ილიას მთელი სიცოცხლის მანძილზე, ყველგან, შორეულ რუსეთში, ჩეხეთში, თუ გერმანიაში. ასე სდევდა ილიას სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული.

კარდანახში შეიხვენეს. იმ ღამით ხელმა თავისთავად მოსძებნა კალამი და დაიწერა ლექსი, პირველი ლექსი. ამ ლექსში უფრო მაღალი მოჩანდა ყვარლის მთები, უფრო ამაღლებულიყო სიყვარული მამულისა და რწმენა მომავლისა.

განვლო დიდმა დრომ და იმ მებორნემ ახლა იქით გაიყვანა ალაზანს მომდგარი, ყვარელს დაბრუნებული მგზავრი. იქით გაიყვანა „კაცია ადამიანის?!“, „გლახის ნაამბობისა“ და „მგზავრის წერილების“ ავტორი, სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე და „ივერიის“ რედაქტორი, დუშეთის მომრიგებელი მოსამართლე და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დიდი მოამაგე.

რა იცოდა მაშინ მებორნემ, რომ 100 წლის შემდეგ იმ ბორანის ადგილზე 200 მეტრიანი ხიდის მშენებლობას დაიწყებდნენ კოლმეურნენი, რა იცოდა ილიამ, რომ ალაზნის ამ ნაპირიდან ყვარელამდე, ცხრა კილომეტრის მანძილზე, კაკლის ნერგებს ჩამოამწკრივებდნენ და მას „ილიას ხეივანს“ დაარქმევდნენ, რომ ყვარლის ერთ-ერთ მთას კოლმეურნენი დეკორაციული მცენარეებით შემოსავდნენ და მასაც ილიას სახელით მონათლავდნენ.

ის მთები, რომლებსაც 100 წლის წინათ ემშვიდობებოდა ილია, დღეს ესალმება „ილიას ხეივნით“ მომავალ სტუმრებს, ესალმება ახალ, აყვავებულ ცხოვრებას, ესალმება თვით ილიასაც, ხალხის სიყვარულის ძალით ხელმეორედ დაბადებულს.

* * *

დღეს ყვარელი მარტო იმით კი არ ამაყობს, რომ ილია ჭავჭავაძის დაბადების ადგილად იწოდება, არა, საამაყო დღესაც ბევრი აქვს ყვარელს, ბევრი, და მათ შორის ისიც, რომ იქაური მკვიდრნი — მონობის დამთრგუნველი ქვეყნის შვილები— ღირსეულად აგრძელებენ დიდი წინაპრის, ილია ჭავჭავაძის დაწყებულ საქმეს, სამშობლოს აყვავების საქმეს, ხალხთა კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლას.

თითქოს ყვარელელთაგან ყველას გამოჰყოლია დიდი მამულიშვილის მრავალმხრივი ნიჭის ერთი ნაპერწკალი მაინც.

მომრიგებელი მოსამართლე

„მართლიერება, სამართალი, მთელის ერის განწმენდილი სინდისია, მთელის ერის განწმენდილი ნამუსია, და როგორ უნდა იკადროს ამ საყოველთაო სინდისმა, ამ საყოველთაო ნამუსმა, ჯიბრში ჩაუდგეს უბედურს შემცოდველსა და „კბილი კბილის წილ და თვალი თვალის წილ“ მოსთხოვოს. აქ საჭიროა მორჯულება შემცოდველისა და არა ჯვართცმა და შანთით გლეჯა ხორცისა“ (ილია ჭავჭავაძე. „სამართალი და ზღვევა“).

მემკვიდრენი

გივი გელაშვილი ტყის ნაპირას ჩამოჯდა, ეკლესაგან ჩახეული ხალათის ჯიბე ზევით აკეცა, ცოტა ხნით თითით ეჭირა და ზედ დაჰყურებდა, თითქოს ასე შეიძლებოდა მისი მიკერება. კიდევ კარგი სწრაფად იარა, თორემ სიბნელე მოუსწრებდა ტყეში, „ეკალზე თვალით წამოვეგებოდი და ეგ იქნებოდა“, გაიფიქრა გივიმ. რამდენი ხანია, რაც მეტყეველ მუშაობს, ზეპირად იცის ყვარლის ტყეების ასავალ-დასავალი, ყოველი წყარო და ბილიკი, ყოველი გადაჭრილი ხის ძირი, ყოველი ფუღურო ბებერ ხეებზე. წინათ ტყეში დაღამებას როგორ შეუშინდებოდა, პირიქით, ხანდახან განგებაც რჩებოდა, რადგან ქურდებს სწორედ სიბნელე უყვართ. ახლა უკვე მოხუცდა გივი, 70-ს გადასცილდა, თვალთ ისე აღარ უჭრის, და ამ უღრანში ღამით სიარულს ერიდება. ვინ იცის, სად რომელი ტოტი, რომელი ეკალი წამოიზარდა და ზედ არ შეასკდეს, არ წამოეგოს. ეჰ, რამდენი შრომა აქვს დახარჯული გივის ამ ტყეში, რამდენი ხე გადაურჩინა ტყეს და რამდენი ტიტველი ფერდობი აყვავა ხეხილით მისმა მარჯვენამ და გამჭრიახმა ხელმძღვანელობამ. მორჩა, ახლა ეს საქმე შვილს უნდა დაუთმოს, თვითონ პენსიაზე გადავა. რაო? უსაქმურობას მიჰყოფს ხელსო? რათა, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა, მოსამართლედ მუშაობს და სანამ არ მოკვდება, თავს არ დაანებებს ამ საქმეს. პირველად სახალხო სასამართლოში მუშაობდა მსაჯულად, უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში კი ზედიზედ ირჩევენ სოფლის საბჭოს საზოგადო სასამართლოს თავმჯდომარედ. რა ბრძანეთ? ხელფასს თუ იღებს? არა, ეს საზოგადოებრივი სამუშაოა.

გივი წამოდგა და ქვევით, მთებს შორის მომწყვდეულ სოფელს გადახედა. ჯერ კარგად არ დაბინდებულიყო, ყვარლის ქუჩები კი ელექტრო ლამპიონებით გაენათებინათ. გივიმ თვალდათვალ, ვარაუდით მოძებნა თავისი სახლი. უეცრად მოუნდა შინ ყოფნა, შვილიშვილებთან თამაში და... ძილი. „ტოჩილა-

ანთა რომ უნდა გავიარო?! კინაღამ დამავიწყდა", — გაიფიქრა გულში და მთის ფერდობს დაჰყვა, ქვეკითკენ დაეშვა.

რამდენი კარგი საქმე გაუკეთებია გივი გელაშვილს, სოფლის საბჭოს საზოგადო მოსამართლეს, რამდენი დანგრევაზე მიმდგარი ოჯახი გადაურჩენია, რამდენი ცოლ-ქმარი შეურიგებია ერთმანეთთან, რამდენისთვის აუხელია თვალები ტკბილი სიტყვით, ჭკვიანური რჩევა-დარიგებით, დალაგებული მსჯელობითა და დამჯერებელი საბუთების მოყვანით. ეს იორამ ტოჩილაშვილი კი რა გახდა ასეთი, ჯერ დედამისმა შემოიტანა განცხადება, ჩემს შვილთან უნდა გამყაროთო, ახლა კიდევ ცოლს უნდა მასთან გაყრა, რა ასეთი აუტანელია, რომ ვერვინ უძლებს?

არა, აქ სხვა რაღაც ამბავი იმალებაო, თავიდანვე ეს ეჭვი აღეძრა გივი გელაშვილს და აკი გამართლდა კიდევაც. კინაღამ შეცდა, კინაღამ გაჰყარა იორამი დედამისთან. მაგრამ შემთხვევით ყური მოჰკრა, იორამი ცოლთან გაყრასაც აპირებსო და მაშინვე თვალწინ წარმოუდგა სინამდვილის ნათელი სურათი, მაშინვე ხელთ ჩაუვარდა საიდუმლოს გასაღები; მიხვდა გამოცდილი მოსამართლე, რომ იორამის დედასთან გაყრა ყალბი იყო, ნამდვილად კი ტოჩილაშვილს ცოლის მოშორება განეზრახა და რადგან იცოდა, რომ ცოლს ნახევარ ქონებას მიაკუთვნებდა კანონი, ცდილობდა ეს ნახევარი კიდევ გაენახევრებინა, მეოთხედად ექცია.

მომრიგებელმა მოსამართლემ უარით გაისტუმრა იორამის დედა, თუმცა არ გაუმხილა, რაც იცოდა:

— რას ამბობ, გენაცვალე, — უთხრა მოხუც ქალს გივიმ, — ლოგინად წევხარ, შე დალოცვილო და ვისღა ეყრები, ვინ უნდა ჩაგაცვას, ვინ უნდა გაჭამოს. არა, ვერ გაგყრით, ამის უფლებას კანონიც რომ მაძლევდეს, სინდისი არ მომცემსო.

ამ უარს ის მოჰყვა, რომ იორამმა ცოლი გარეთ გამოაგდო და კარები გადაუკეტა, შეურაცხყოფილმა ქალმა განცხადება დასწერა გაყრის შესახებ.

აი, სწორედ ამ საქმეზე მიდის გელაშვილი ტოჩილაშვილებთან. ამაოა მათ შერიგებაზე ფიქრი, უნდა გაჰყაროს, არ ეცხოვრებათ მათ ერთმანეთის გვერდით... არ უყვარს გივის საქმის ასე ცუდად დამთავრება, არ არის ჩვეული, მაგრამ იქნებ სცდება? იქნებ კიდევ რაიმეს ეშმაკობს იორამი?

გივი გელაშვილმა ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს ჩაუარა გვერდით. ჭუჩაში ხაექსკურსიო ავტობუსი იცდიდა. მუზეუმის კიბეებზე კი ხალხი ადიჩამოდიოდა. ყვავილთა სურნელება გამოჰქონდა ნიავს ილიას ეზოდან და ყვარლის ქუჩებს უნაწილებდა.

„აი, ილიას დარი კაცი მყავდეს ახლა მრჩევლად, იცოცხლე, დამარიგებდა, როგორ მოვქცეულიყავ, ვისთვის რა მეთქვა, რა საქმე როგორ გამერჩია და რა გზით მიმეცა მდინარება ხალასი სიმართლის გამოსარკვევად... ნეტავ არის კი წიგნი ილიას დუშეთში მოღვაწეობის შესახებ, მომრიგებელ მოსამართლედ რომ მუშაობდა? აი, იმას კი წავიკითხავდი ამაღამ" — ფიქრობდა გივი გელაშვილი და თვრაღუნული მიჰყვებოდა გზას.

სულ ერთხელ ნახა ილია, მაშინ ახალწვერულვაშაყრილი იყო. ყვითაურებთან ვენახი ჰქონდათ ჭავჭავაძეებს. ვენახის ბოლოს პატარა სახლი იდგა, სახლთან — წყლით სავსე კასრი. გლეხები სათითაოდ აუშვებდნენ ხელს მუშაობას და წყლის დასალევად ამოდიოდნენ. როცა გივი გელაშვილი ავიდა, იქ ილია დახვედრია. მგოსანი ვენახში ჩაჰყვა გივის და ვლეხებს გაესაუბრა. უთხრა, ერთად წამოდით, ერთად დაისვენეთ და დალიეთო. მერე მოურავს გადასძახა, მალ-მალე გამოიყვანე ხოლმე ვენახიდანო... ეს არის და ეს, მხოლოდ ეს ახსოვს გივის, მაგრამ განა იმ უმნიშვნელო სიტყვებმა დაამახსოვრა ეს ამბავი, პირიქით, ილიასთან შეხვედრამ დაამახსოვრა ეს უმნიშვნელო სიტყვები. ახლაც თვალწინ უდგას მისი ბრძნული სახე და ახლაც ესმის ის მამაშვილური კილო ლაპარაკისა...

გივი გელაშვილმა სოფლის საბჭოს ორ დეპუტატს გაუარა, მოსძებნა ტოჩილაშვილების რძალი და ასე ერთად მიადგნენ იორამის სახლს. რისთვის გარჯილხართო, ჰკითხა იორამმა ოთახში შესულთ.

— რადგანაც ეყრებით, ქონება უნდა გაგინაწილოთ, — უპასუხა გივიმ.

ტახტქვეშ ცული ეგდო, იორამმა წამოავლო ხელი და ცოლისკენ გაიწია, თურმე არა იცოდა რა იმ განცხადების შესახებ.

— ეხლავე დაგაპატიმრებ! — შესძახა გივი გელაშვილმა და იორამს წინ გადაუდგა. მჭექარე ხმამ, თუ მოსამართლისადმი პატივისცემამ შემტევს ცული ძირს დაუშვებინა.

მომრიგებელმა მოსამართლემ ბავშვივით ხელი ხელში ჩასჭიდა იორამს და გარეთ გაიყვანა. დიდხანს ესაუბრა ტკბილად, მამაშვილურად — რად ეყრებიო, სულ მარტოკა უნდა დარჩეო, ქონება გაგინახევრდება, ფულის შემომტანი კი მოგაკლდებაო, შენს შვილებს დედას გაატანს სამართალი, შენ კი აღარავინ შეგირთავს, არც ერთი ქალი აღარ წამოგყვებაო. ჰაი აქეთ, ჰაი იქით, და დაიყოლია იორამი, დაითანხმა.

— გივიაზე ილოცე, მაგან შემარიგა შენთან! — უთხრა იორამმა ცოლს, როდესაც ოთახში შებრუნდა.

ეს მეთხუთმეტე ოჯახი იყო გივი გელაშვილის მიერ დანგრევას გადარჩენილი. ახლა ტკბილად ცხოვრობენ ტოჩილაშვილები, ორ შვილს ზრდიან და ეშვიდად და უშფოთველად ემსახურებიან თავიანთ სოფელს, თავიანთ ხალხს.

აი, როგორი ადამიანია გივი გელაშვილი, ყვარელის სოფლის საბჭოს საზოგადო სასამართლოს თავმჯდომარე, სოფლის ფხიზელი თვალი, სოფლის სინდისი და ნამუსი. ბევრი მოდის მასთან რჩევის საკითხავად. დამნაშავენი ერიდებიან მხოლოდ, რადგან გივი გელაშვილი საკუთარ შვილსაც გაამტყუნებს, თუ გასამტყუნარია.

ილიას სეხნია

„ღვინის გაბევრებისათვის დღეს-აქამომდე ევროპაში ცნობილია ერთადერთი ღონე, ერთადერთი სისტემა, რომელსაც პეტიოზაციას ეძახიან... ეს. საკვირველი აღმონაჩენი, რომლის გამო ბ-ნმა პეტიომ სახელი გაითქვა, მით უფროა საკვირველი, რომ ათადამ — ბაბადამვე თურმე აღმოჩენილი ყოფილა და არის. მერე სადა და ვისგან? თურმე ნუ იტყვით, საქართველოში და ქართველთაგან. მაგრამ რადგანაც ამას „ღონიაშვილიზაცია", ანუ „ქანდარაშვილიზაცია" არა ჰქვიან, ამიტომაც ყური არავის უთხოვებია" (ილია ჭავჭავაძე. „ღვინის ქართულად დაყენება").

თუ ყვარლელ კაცს საუბრისას „მიუსამძიმრებ" და ეტყვი, რომ ილია, მართალია, თქვენებურია, მაგრამ, ალბათ, ნანობთ, რადგან ყველაზე ნაკლები დრო აქ გაუტარებია, მისი მოღვაწეობა ყველაზე ნაკლებად ყვარელთან არის დაკავშირებულიო, დიდად შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს და ეცდება, როგორმე გადაგარწმუნოს, გეტყვის: ჯერ მარტო ის, რომ აქ აეხილა თვალი, აქ გაეცნო პირველად ქვეყანას, სამშობლოს ცასა და მთებს, ქართველ გლეხობას და ქართულ ენას, ცოტას როდი ნიშნავს. ეს ერთი, მეორე ის, რომ არა თუ ყველაზე ნაკლები დრო გაუტარებია ყვარელში, არამედ სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე ყვარელთან იყო დაკავშირებული. იქნებ — სიბოლოდ — აქ აპირებდა კიდევაც ცხოვრებას, რადგან თავისი სახლი შეაკეთებინა ოსტატებს. 1906 წელს ისევ თავისი მშობლიური სოფლის ჭირ-ყარამს შეუწუხებია; ადიდებულმა დურუჯმა ყვარელი წალეკა და ილიას ბევრი უცდია, რომ მთავრობისაგან სესხი მიეღო.

— რას ამბობ, შვილოსა, რით არ იყო ყვარელს დაკავშირებული, უიმისოდ რთველი იშვიათად ტარდებოდა აქა, საგანგებოდ იწერებოდა ხოლმე, უჩემოდ ყურძენი არ დაკრიფოთო. მართალია, სხვაგან და სხვაგან სწავლობდა — მსახურობდა, მაგრამ ყვარელის მცხოვრებად ითვლებოდა. დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, აქ იყო ჩაწერილი, აქაური პასპორტი ჰქონდა... სხვა რომ არა იყოს რა, სოფლის მეურნეობის გამაშუქებელ წერილებში ხომ სულ აქაური მაგალითებს იშველიებდა, ტყის მოვლა იყო ეს, უნაყოფო მიწების მორწყვა, თუ ღვინის დაყენების საქმე...

— ღვინის დაყენების საქმე?

— მაშ, შესანიშნავი მეღვინე გახლდათ ილია, ეგ საქმე რომ კარგად არა სცოდნოდა, მაშინ ხომ... — ჩემი თანამოსაუბრე, ძველი ყვარლელი აგრონომი ილია ზაუტაშვილი, ერთბაშად შეჩერდა, ჩემსკენ გადმოიხარა და მკითხა, მე-7 ტომი თუ გადაათვალიერეთო, პასუხს არ დაუცადა და ისევ ძველებური, აღელვებული ხმით განაგრძო—მეღვინეც რომ კარგი არ ყოფილიყო, მაშინ ხომ მე-7 ტომს ვერ დასწერდა. რა არ უსწავლებია გლეხისთვინა, ეს ფილოქსერასთან ბრძოლაო, ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაშიო, ბამბის მოყვანის საქმეო, მევენახეობის დარგში ხომ ნამდვილი მეცნიერი ყოფილა ილია, დღევანდელი აგრონომებიც შეჰნატრიან მის ცოდნასა.

„დღევანდელ აგრონომებში" ილია ზაუტაშვილმა, ალბათ, თავისი თავიც იგულისხმა. ანდა რატომ არ უნდა ეგულისხმა, ამის უფლებაცა აქვს და ნაბაბიც: 25 წელი შეალია ილია ზაუტაშვილმა ჩვენს რესპუბლიკაში მევენახეობის განვითარების საქმეს. ამ ადამიანმა, რომელიც დიდი მგოსნის დაღუპვის დღეს 10 წლისა ძლივს იქნებოდა, რომელსაც ახსოვს ის დიდი გლოვის დღეები, ახსოვს ყველა თქმულება, რაც კი ილია ჭავჭავაძეზე თქმულა, აი, ამ ადამიანმა ყველაზე მეტად ის დაიმახსოვრა, რომ მისი დიდი თანამემამულე შეშფოთებული იყო საქართველოში მეღვინეობის საქმის დაქვეითებით და მთელი თავისი შეუპოვარი ენერგიითა და ცოდნით იბრძოდა ამ დარგის კვლავ აღორძინებისათვის...

დიდი ილიას დაწყებული საქმე დღეს ბოლომდე მიიყვანეს ქართველმა აგრონომებმა — ჩვენებური ღვინო, ჩვენებური კონიაკი განთქმულია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. ამაზე ოცნებობდა ჩვენი მგოსანი, ამისთვის იღწვოდა და იბრძოდა, რომ ქართულ ღვინოს დიდი ბაზარი ეპოვნა. დღეს ილია ჭავჭავაძეს უამრავი კოლეგა ჰყავს არა მარტო მევენახეობის დარგში, და არა მარტო ყვარელში, არამედ ყოველ სოფელში. ამ ღირსეულმა მემკვიდრეებმა სინამდვილედ აქციეს დიდი მოღვაწის მრავალი ოცნება.

მაგრამ ჩემი თანამოსაუბრე, ილია ზაუტაშვილი, დაფიქრების საშუალებას არ მაძლევს და თავისას განაგრძობს, თავისას იმტკიცებს:

— ილია რომ ღვინის მცოდნე იყო, იქიდანაც ჩანს, რომ... ერთი სოლომონ სამიტაშვილი გახლდათ, მოლექსე და მოშაირე კაცი, ძველ ამბავს გიამბობ, ილიას მოურავს ღვინო მართებია მისი, აუღია და გაუსტუმრებია. მაგრამ იმ შეჩვენებულს ცოტა წყალიც გაურეცია ღვინოში, იმ რაოდენობით, რომ თუ არ სპეციალისტი, სხვა ვერავინ შეატყობდა. რა თქმა უნდა, ვერც სოლომონმა შეატყო, და ვერც გაიგებდა მოურავის ეშმაკობის ამბავს, რომ ერთ გლეხს არ დაებეზღებინა მოურავი. გაბრაზებულ სოლომონს დაუქადნია, კაცი არ ვიყო, თუ არ ვუჩივლო ილიასთანო. მალე ილიაც ჩამოსულა ყვარელში. სოლომონი იმასთან შეხუმრებული იყო და ამიტომ გაუბედნია, მისულა და უთქვამს:

— ბატონო ილია, თქვენი ღვინო წელს, როგორც გავიგე, კარგი არ დამდგარა და ჩემი უნდა დაგალეგინოთ.

— როგორ არა, კარგი დადგა! — წამოიძახა გაკვირვებულმა ილიამ.

— აბა, მაშ, მე ჩემსას მოვიტან, თქვენ თქვენი დამახვედრეთ და გავსინჯოთ.

სოლომონი ასეც მოიქცა, ის ღვინო მიიტანა და ილიას დაუსხა. ოდნავ მოსვა თუ არა ილიამ, პირში გაიგემოვნა თუ არა, გადაიხარხარა კიდეც:

— შენს ვენახს, ჩემო სოლომონ, როგორც ვატყობ, წყალმანკი დამართნია.

ყვარლის რაიონული გაზეთის რედაქტორი დავით ლაფაჩიშვილი კითხულობს რედაქციაში შემოსულ წერილს.



— მაგას რად ბრძანებთ? — თვალთმაქცურად გაიკვირვა სოლომონმა.

— ცოტა დურუჯი გაგრირევია შიგ, — უპასუხა ღიმილით ილიამ — მაგრამ ეგ ოხერი, ისეთი დაუდეგარი მდინარეა, რომ მის ერთ წვეთს ღვინოც თავის რჯულზე მოუქცევია.

ჰოდა, ეგ წყალგარეული ღვინო თქვენი მარნისა გახლავთ, ბატონო ილია, თქვენმა მოურავმა გამისტუმრა ვალშიო, ნიშნის მოგებით უპასუხნია სოლომონს. ილიას შერცხვა თურმე, მეტი რომ არაფერი დარჩენოდა, მოურავს უხმო და ისე დატუქსა, მიწასთან გაასწორა კაცი.

სოლომონსაც ეს უნდოდა.

ილია ზაუტაშვილი ისე ძუნწად და აჩქარებით პასუხობდა ჩემს „ანკეტურ“ შეკითხვებს, რომ აშკარა იყო, კიდევ რაღაც ჰქონდა სათქმელი. მეც ამაჩქარა ახალი ამბის მოლოდინმა და ამიტომ მისი ბიოგრაფია ძალიან მოკლედ ჩავწერე:

1917 წელს ილია ზაუტაშვილმა თბილისის სასულიერო სემინარია დაამთავრა. 1925 წლამდე მასწავლებლობდა საცხენისის ორკლასიან სასოფლო-სამეურნეო სკოლაში.

შემდეგ გადმოიყვანეს თელავში — განათლების განყოფილების გამგედ. შემდეგ თბილისში — განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად.

1932 წელს დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ამ წლიდან დაწყებული ილია ზაუტაშვილი აგრონომიულ მოღვაწეობას ეწევა:

წინანდლის საბჭოთა მეურნეობა, მანავი, ყვარელი, ფატმასურის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი.

ახლა პენსიონერია.

— ჩაიწერეთ? კეთილი და პატიოსანი, იმას მოგახსენებდით რომა, — თავისუფლად ამოისუნთქა ზაუტაშვილმა და გახარებულმა, რომ თავის თავზე აღარ მოუხდებოდა ლაპარაკი, გატაცებით განაგრძო დიდ თანამემამულეზე საუბარი.—ილიას დიდი ღვაწლი მიუძღვის დურუჯის ჯიბირების აშენებაში. მუზეუმშიც ნახავდით სურათს, ჯიბირთან რომ არის დახატული, ის ინჟინერი კი, გვერდით რომ ამოსდგომია, დამბების ამშენებელია, ახლაც ცოცხალია, თბილისის მელიორაციის საკავლევ ინსტიტუტში მუშაობს. გვარი? ზვორიკინია, მგონი, თუ მახსოვრობა არ მღალატობს.

— ეს მოხდა 1906 წელს. ადიდებული დურუჯის ღვარლაფმა წალეკა ყვარელი, ცოცხლად დამარხა ადამიანები, გაანადგურა ვენახები. არ გაგიგონიათ ხალხური ლექსი?

...დურუჯმა თქვა, შავ კლდეს მოვალ,
შავი კლდისა წვერებსა,
მოვვარდები ყვარელსა,
— დავუწყვიტავ წელებსა...

— დამაცადეთ, ჰო:

„ციდანაც გასკდა ავღვარი,
მთამაც შემოწყო ხელია,
წინ ლოდები გამომიძღვა,
როგორც ოიოლა ცხენია.
ზევიდან წამოვუარე,
სადაც რომ საძირკველია,
ისე დავრბოდი სახლებში,
როგორც ჭალაში მგელია.

. . . . . .

ისე ვაქუჩე ბალღები,
როგორც ფარეხში ბატკნები...“

— აღარ მახსოვს, მაგრამ რა ლექსი გინდათ, ისედაც კარგად გაგეგონებათ დურუჯის სიავის ამბავი. ჰოდა, გაუგია ილიას ყვარლის უბედურება, ამოვარდნილა ქალაქიდან და ჩემს მტერს, რაც აქ სურათი დახვდრია. მეორე დღესვე შეუკრებია დელეგაცია, უმეტესად, სიტყვის კარგად მთქმელი გლეხები, თბილისს ჩამოუყვანია და ახლა რომ ვოროშილოვის კლუბია, იქ გაუმართავს ბანკეტი. მოუწვევია ბანკის მუშაკები, ჩინოსანი ხალხი, გავლენიანი, მოწინავე ადამიანები.

ილიას მთავრობისაგან სესხის აღება უნდოდა, დურუჯზე ჯიბირების ასაშენებლად. როდესაც ყვარელელთა დელეგაციის წევრები, ტანისამოსჩამოხეული გლეხები, „ნამესტნიკისაკენ“ გაემართნენ, ქუჩაში ქალაქელები ასდევნებიან ერთი სიცილითა და ხარხარით. ხომ გაგიგონიათ ხალხური ნათქვამი: „ყვარელელი კაცი თბილისში რომ ქალამნების სასყიდლად წავიდეს, ილიასთან მივაო“, ჰოდა, თბილისელებსაც არ უკვირდათ ყვარელელთა ქალაქს სტუმრობა, მაგრამ „ნამესტნიკთან“ შესვლა უკვე მეტისმეტად ეჩვენებოდათ.

— ეე, გაგრიებო, რომ მიდიხართ, სად მიდიხართ, მანდ ვინ შეგიშვებთ?! — უყვიროდნენ გლეხებს.

— აბა, გაჰხედე, წინ ვინ მიგვიძღვის და მერე გველაპარაკე.

გაჰხედეს თურმე და ილია დაინახეს.

ამ „წინ გაძღოლას“ ის მოჰყვა, რომ 1907 წელს დურუჯზე ორი დამბა აშენდა. ილია ხელმძღვანელობდა, თვალყურს ადევნებდა მშენებლობას.

რა ბრძანეთ? დღეს რა კეთდება დურუჯზე? ილია ზაუტაშვილი ცოტა ხნით დადუმდა და განაგრძო:

— იოსებ იმერლიშვილი, ალბათ, გაგიგონიათ, ერთი დღეც რომ დაჰყოთ ყვარელში, არ შეიძლება მის სახელს არ მოჰკრათ ყური. აქ დაბადებულია, მერე ნასწავლი და ისევ აქ დაბრუნებული. დიდი, გამოცდილი ინჟინერი გახლავთ, სად არ უმუშავნია, უკანასკნელ ხანს კი ყვარელის წყალთა სასისტემო სამმართველოს უფროსად მუშაობს. იმიტომ მოგახსენეთ, რომ ახლა სწორედ ის განაგებს დურუჯის გამაგრების საქმეს. 1949-1951 წლებში ხუთი კილომეტრის სიგრძის ჯიბირი გააშენა, ძველ, ილიასეულ დამბებზე ახალი დააშენა, მალე მეორე რიგის სამუშაოებს დაიწყებს. ეგ რაა, თავისი საკუთარი პროექტიცა აქვს, მთა უნდა აიფეთქოს და მიწის უზარმაზარი კაშხალით ჩაჰკეტოს დურუჯის კალაპოტი, რომ მოდიდებული მდინარე შეგუბდეს, ქვაღორღი ფსკერზე დაილექოს და მხოლოდ წმინდა წყალმა განაგრძოს გზა. ამ უბრალო პროექტმა თბილისელი პროფესორის, მეცნიერებათა დოქტორის — გაგოშიძის პროექტსაც აჯობა, ეს თვითონაც აღიარა პროფესორმა, მაშ!

ილია ზაუტაშვილი დადუმდა, მაგიდას დასცქეროდა, ღიმილი ისევ შერჩენოდა სახეზე. ვისარგებლე მცირე პაუზით და ვცადე ჩემი „ანკეტის“ გამდიდრება.

ილია ზაუტაშვილს ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი ჰყავს. ვაჟი, მერაბი, მამის კვალს გაჰყოლია, მეღვინე ტექნოლოგია, ღვინის ქვის სიმუყვის ქარხანაში მუშაობს. ქალიშვილს, მაყვალა ზაუტაშვილსაც უმაღლესი დაუმთავრებია, ისიც თავის რაიონს დაბრუნებია და სოფელ შილდაში მუშაობს.

ილია ზაუტაშვილს კიდევ ერთი საყვარელი „შვილი“ ჰყავს, მისივე ყოფილი მოწაფე გიორგი ხარატიშვილი, ამჟამად მეცნიერი და პროფესორი.

— ხშირად ჩამოდის ხოლმე ჩემი მასწავლებელი. მოგონებებს სწერს ყვარელზე, ყეენობაზე, ამქრობაზე, ილიას თეატრალურ მოღვაწეობაზე.

— ვიზე ამბობთ? — ვეკითხები ილია ზაუტაშვილს.

— გიორგი ხარატიშვილზე, ჩემს მასწავლებელზე.

— აკი ჩემი ყოფილი მოწაფეაო.

ილია ზაუტაშვილს ეღიმება.

— ეგრეა, ჩემი მოწაფეც არის და მასწავლებელიც. აქ ვასწავლიდი, ყვარელში. შემდეგ წავიდა, მეცნიერი გახდა. ჩემს სტუდენტობისას კი სემინარს მიკითხავდა. ერთხელ გამოცდაზე შევედი გიორგისთან. შეწუხდა: აბა, მასწავლებელო, როგორ გამოგცადოთო, მატრიკული მიბოძეთ და ნიშნს ჩავწერო... არ მინდოდა ჰგონებოდა, რომ მე არაფერი ვიცოდი, ამიტომ დავუწყე საუბარი ბოტანიკაზე. ველაპარაკე მცენარეთა წარმოშობის საკითხზე — ეს ავტორები ესე და ესე სწერენ და ჩემის აზრით კი ესეა-მეთქი, სწორიაო, დამეთანხმა. მერე სულ სხვა საკითხს შევეხე, გავაბი და გავწელე მსჯელობა. დიდხანს ვილაპარაკე. უეცრად შემაჩერა გიორგიმ:

— აბა, მასწავლებელო, აი, ახლა კი მომატყუეთ!

— რათა?

— თქვენ უკვე საგანს მაბარებთ!

ყველაზე, ყველაზე გიამბობთ საინტერესო ამბებს ილია ზაუტაშვილი, წვრილმანსაც კი, თავის თავზე კი არ შეუძლია, არ ეხერხება. ამიტომ...

ყვარლის რაიკომის მდივანი ილია დიასამიძე: ზაუტაშვილზე ბრძანებთ? ოო, ეგ ჩვენი მარჯვენა ხელია, ფეხზე დააყენა ფატმასურის საბჭოთა მეურნეობა. ახლა პენსიაზეა, აღარ მუშაობს, მაგრამ გული არ უდგება შინ, გამოვა ყოველდღე, დაიკარგება ამ თვალუწვდენელ ზვრებში, საღამოს რაიკომში მოვა და გვეტყვის, აქ ეს არის საჭირო, და იქ ესაო, აქ ხარდანი უნდა გამოიცვალოსო, იქ ვენახი რიგიანად ვერ შეუწამლავთო, და ასე ყოველდღე.

რაიონის გაზეთის რედაქტორი დავით ლაფაჩიშვილი: ილია ზაუტაშვილის მსგავსი მევენახე ჯერ ყვარელს არა ჰყოლია. თავისი საქმე ხომ იცის და იცის, პატიოსნება კი აი მაგისგან უნდა ისწავლოს კაცმა. თუ თავის თავში დარწმუნებული არ არის, სიტყვას არ ამოიღებს, რა საქმეც არ უნდა იყოს, და პირიქით, თუ დარწმუნებულია და სჯერა, იბრძოლებს და გაიტანს.

ყვარლის სასტუმროს დიასახლისი: დილაადრიან სამსახურში მივდიოდი. ვენახის პირებს მივყვებოდი, უეცრად ილია ზაუტაშვილს მოვკარი თვალი, ვაზის ძირთან ჩაჩოქილიყო და ისეთი ნაღვლიანი, დამწუხრებული სახე ჰქონდა, რომ მეგონა, სადაცაა ატირდება-მეთქი: წინალამით სეტყვა მოვიდა და ვენახი გაეფუჭებინა.

აი, ასეთი მემკვიდრე ჰყავს ჩვენს დიდ ილიას, გულშემატკივარი სახალხო საქმისა, მოყვარული სამშობლო მიწა-წყლისა. ასეთი ადამიანების ხელში როდიღა დარჩება „ბაღში ვაზი ობოლი“.



ყვარლის სოფლის საბჭოს საზოგადო სასამართლოს თავმჯდომარე გიგი გელაშვილი.

გაზეთის რედაქტორი

„მას აქეთ, რაც „ივერია“ გაზეთად გადაიქცა, საუბარი არ გაუწვია მკითხველთან, ეგრეთწოდებულ „შინაურ საქმეთა“ გამო. ეს, რასაკვირველია, დიდ წუნად უნდა ჩაეთვალოს გაზეთსა. თუ გაზეთი... ჩვენს ცხოვრებას კვალში არ ჩაუდგება... იგი გაზეთი უფერულია და უგემური“.

(ილია ჭავჭავაძე. „შინაურ საქმეთა“ გამო“).

ყვარლის რაიონული გაზეთი — „ლენინური გზით“ და მისი ახალგაზრდა რედაქტორი დავით ლაფაჩიშვილი ასაკით თითქმის ტოლნი არიან.

ყვარელელებმა ამას წინათ იდღესასწაულეს თავიანთი გაზეთის 25 წლის იუბილე, გაზეთისა, რომელიც დაარსების დღიდანვე იბრძოდა საბჭოთა წყობილების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის, მეურნეობის ყველა უბანში ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის, მამაშვილურად ესაუბრებოდა მკითხველებს, ქადაგებდა პატიოსნებას, ამათრახებდა მცონარობასა და გულგრილობას.

ამ გაზეთს დავით ლაფაჩიშვილიც კითხულობდა მოწაფეობის დროს. განსაკუთრებით უყვარდა მამხილებელი ფელეტონები, გაზეთში დაბეჭდილი ლექსები, — წერილები საქართველოს ისტორიაზე.

როცა შილდის საშუალო სკოლა დაამთავრა, დავით ლაფაჩიშვილი თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შევიდა ისტორიულ ფაკულტეტზე. სტუდენტობის პერიოდშივე გამოიჩინა ჟურნალისტური ნიჭი — თანამშრომლობდა რადიო-ინფორმაციის კომიტეტში.

უმაღლესი წარჩინებით დაამთავრა. მისი სურვილი კმაროდა, რომ ასპირანტურაში დარჩენილიყო, მაგრამ დავითს სოფლისკენ უწევდა გული. ყვარელს დაბრუნდა თუ არა, მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. შემდეგ დანიშნეს საქ. ალკ ყვარელის რაიკომის განყოფილების გამგედ, შემდეგ — განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორად.

და ბოლოს ერთმანეთს შეხვდნენ რაიონული გაზეთი და მისი ძველი მკითხველი დავით ლაფაჩიშვილი.

უკვე ხუთი წელია, რაც გაზეთის რედაქტორად მუშაობს დავითი. ხანმოკლე ნაცნობობაც საკმარისია იმისათვის, რომ ყურადღება მიაქციო ამ ახალგაზრდა კაცის განსაკუთრებულ ხასიათს: გულთბილობას, პატიოსნებას, შეუპოვრობასა და პირშემთქმელობას. თაფლივით იღვრება დავით ლაფაჩიშვილის ქართული ენა, ხალხური გამოთქმებით აელვარებული და დამსუყებული.

და აღსანიშნავი ის არის, რომ თვით გაზეთი ყველაფერში ჰგავს თავის რედაქტორს.

თუ ილია ზაუტაშვილი ყველას იცნობს და ყველაზე შეუძლია გიამბოს რაიმე საინტერესო, დავით ლაფაჩიშვილი ყველაფერს იცნობს — რაიონის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია და მოხევე ლელთ ღუნია

ნახატი კ. მახარაძისა

ილიას ხატლავი
მთაწმინდაზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს. მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება, — ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევამოსილობით მოიქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უაღრესს და უდიდესს საგანს სხვას ვერას ალმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით.

ილია ჭავჭავაძე

თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზე და დიდი ზემოქმედება იქონია უველა მასზედ, რაც ჩვენ სულიერ ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავკარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზეგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ—მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მიაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ... თვითეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზე აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა და საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია.

ილია ჭავჭავაძე

ყოველ უბანსა და კუნჭულს, ყოველ დღეკანდელსა და მომავალ საქმეს, გაკეთებულსა და გასაკეთებელს. დავით ლაფაჩიშვილი იცნობს რაიონის თითქმის ყველა 15-ვე სოფლის ადამიანებს, და არა მარტო ადამიანებს, — მათ საქმეებსაც.

რედაქტორი თვალყურს ადევნებს მასწავლებელთა სახლის, ახალი საავადმყოფოსა და ახალი სასტუმროს მშენებლობას, ილიას კარ-მიდამოს გარშემო ქუჩების მოასფალტებას.

რედაქტორი იცნობს რაიონის წლიურ ბიუჯეტს, იცის რა ჯდება თვითეული წინ წადგმული ნაბიჯი: ილია ჭავჭავაძის სახელობის 4-სართულიანი სკოლა, თუ 8 ბინიანი შენობა მუშა-მოსამსახურეთათვის, ფატმასურიდან წყლის გამოყვანა, თუ ახალი, 200 მეტრიანი ხიდის მშენებლობა, დავით ლაფაჩიშვილს არც ის გამოეპარება, თუ სად ვინ უშლის ხელს რაიონის აყვავებას. ყველაფერი იცის რედაქტორმა და გაზეთის საშუალებით კი — მუშებმა და კოლმეურნეებმა, მოწაფეებმა და დიასახლისებმა, ყვარელმა და სოფლებმა, რესპუბლიკამ და მთელმა საბჭოთა კავშირმა.

რედაქტორის კაბინეტს ხშირად აღებს შორეულ სოფლიდან ჩამოსული გლეხი, ჭუდს იხდის და გულს უხსნის რედაქტორს: ზოგს თავისი სადარდებელი გასჩენია, ზოგს უსამართლოდ მოქცევიან, უმეტესობა კი გაზეთის „საკუთარი კორესპონდენტია“, ეხმარებიან რედაქტორს რაიონის წარმატებათა უკეთ გაშუქებისათვის.

გაზეთი იბრძვის:

სანავარდოს სასოფლო საბჭოს შენობა დანგრევაზე იყო მიმდგარი. დაიბეჭდა მკაცრი, კრიტიკული წერილი. ამას მოჰყვა „ფაქტები დადასტურებულია“, და სულ მალე — „როგორც იტყობინებიან, მდგომარეობა გამოსწორდა“.

ყვარლის სასადილოში და ფურნეში ანტისანიტარია იყო გამეფებული, გაზეთის აქტიური ჩარევის შემდეგ, „როგორც იტყობინებიან, მდგომარეობა გამოსწორებულია“.

გაზეთი თვალყურს ადევნებს სასამართლო საქმეებს, ებრძვის იურისპრუდენციის ოდნავი დარღვევის ფაქტებსაც კი:

ახალსოფლის კოლმეურნეობის გამგეობას ალექსი ფხოვლიშვილისათვის რამდენიმე წლის განმავლობაში უკანონოდ ჰქონდა ჩამორთმეული საკარმიდამო მიწის ნაკვეთი. ყვარლის რაიონის სასამართლოს დადგენილებაც კი არსებობდა ამის შესახებ. მაგრამ გაზეთმა დადგენილებაც უკანონოდ მიიჩნია, რადგან სასამართლოზე მსაჯულად მონაწილეობდა კარ-მიდამოს ჩამორთმევის აქტზე ხელმომწერი, კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, დავით დაუდაშვილი.

რედაქციის ჩარევის შემდეგ, ეს საქმე დაირღვა — დაუდაშვილს შეეძლო მოწმედ დასწრებოდა სასამართლოს, მსაჯულად კი — არავითარ შემთხვევაში.

გაზეთის ენერგიულ, თავგამოდებულ ბრძოლას დიდად უწყობს ხელს გამოქვეყნებულ წერილთა არა მარტო შინაარსი, არამედ ფორმაც—სიტყვიერი მასალა, სხარტი სათაურები, პოლემიკური ტონი, დამაჯერებელი არგუმენტაცია, ხალხური სიბრძნის მოშველიება. იგრძნობა, უთუოდ იგრძნობა, რომ გაზეთი ყვარელში გამოდის, დიდი ილიას სამშობლო სოფელში.

„... იმ დროს, როდესაც კოლმეურნეობაში სატრაქტორო სამუშაოები თავპირში გვცემს, ტრაქტორის ამდენ ხანს მოცდენა დანაშაულია“.

„... ინწობჰესის მუშაკები ელექტროსადგურის უნაყოფო მუშაობას შემდეგი გარემოებებით ხსნიან: ზამთარში ინწობჰესი ვერ მუშაობს, ვინაიდან წყალი გაყინულიაო; გაზაფხულზე — წყალდიდობაა და არხს ანგრევსო; ზაფხულში — წყალი პატარაა და არა ჰყოფნისო; შემოდგომაზე კი არხს ხეებიდან ჩამოცვენილი ფოთლები ავსებს და ძნელდება მისი ნორმალური მუშაობაო“.

„...კლუბის გაცნობამ თვალნათლივ დამანახვა, რომ უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში იქ არაფერი არ გაკეთებულა. არაფერიო! რა სათქმელია. კლუბში უცდიათ დაედგათ მათ მიერვე დაჯღლაბნილი აბდაუბდა შინაარსის მქონე პიესა „ექიმი“, რომლის დადგმის უფლება, თუ არა ვცდები, არ უნდა ჰქონდეთ.

როგორც სოფლის მშრომელებმა გადმომცეს, სასოფლო კლუბსა და მასთან არსებულ ბიბლიოთეკას არავინ არ ეკარება. არ ეკარება იმისათვისო, თქვეს მათ, რომ იქ გასართობ საშუალებათა ნიშანწყალიც არ მოიძებნებაო, ალბათ, ყოველივე ამისათვის არის, რომ კლუბში მარტოდ მჯდომ მოწყენილ კლუბის გამგეს ვალიკო ლეკიშვილს სოფლის ახალგაზრდები ხშირად აძლევენ წინადადებას — წამოდი, ჩვენ გაგართობთო“.

„...ზურაბმა, როგორც იქნა, ვაი-ვაგლახით დაამთავრა საშუალო სკოლა, მიიღო სიმწიფის ატესტატი, მას შემდეგ ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა — ქალამნად. ზურაბმა თავი დიდ განათლებულ კაცად წარმოიდგინა, 1952 წლიდან დღემდე მას ახლაც ეზმანება ის აზრი, რომ როგორმე გახდეს მოსამსახურე! ზაქარია კობიაშვილს სიბერე არ აძლევს უფლებას კოლმეურნეობაში მუშაობისას, ხოლო მის შვილს ზურაბს — განათლება“.

აი, კიდევ ერთი ამონაწერი ფელეტონიდან „კონცერტი ტელეფონით“:

„...სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს გ. კანანაძეს სულით და გულით სურდა დაკავშირებოდა ყვარელს... როგორც იქნა „ჩაიგდო ხელში“ ყვარლის ფოსტა. მაგრამ... თავმჯდომარეს ყურში წაუღიტინა ზაქარია ფალიაშვილის მუსიკის მომხიბვლელმა ჰანგებმა.

— ყვარელი! ყვარელი!... ფოსტა!... — ნერვიულობდა გ. კანანაძე.

— „მომიტანდე, შემასმევდე, ეგებ ცოტა მოვჯობინდე!“ — ისმის სიყვარულისგან გულდამწვარი აბესალომის მომხიბვლელი ხმა.

— ჰა, რა მითხარით? შილდიდან ვარ, შილდიდან! — კვლავ ჩასძახის ყურმილში თავმჯდომარე.

„ამაღამდელო ღამეო, ნუ გათენდები მალეო“, — გუგუნებს მურმანის ბარიტონი“. და ა. შ.

ახლა სათაურებიც ვნახოთ: „ლოგინის სითბო, თუ სამსახური?“, „როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხუმრობის ხასიათზეა“, „ქალალდების მიხედვით საქმე კარგად არის“, „სასოფლო კლუბი და არაფრის მაქნისი ხელმძღვანელი“, „როდისმე მაინც თუ დაინტერესდებიან?“ და სხვ. და სხვ.

მართლაცდა, არ უნდა გაუჭირდეს დავით ლაფაჩიშვილს კარგი მებრძოლი გაზეთის შექმნა, მოსწრებული ფელეტონების გამოქვეყნება — ის ხომ ბავშვობიდანვე ილიას წიგნებით საზრდოობდა, ილიას ჰაერით სუნთქავდა, ილიას ნაკვალევს ეხებოდა, და ილიას მაგალითზევე იცის, თუ რას ნიშნავს გაზეთი და მისი რედაქტორობა.

ისევ ყვარლის მთეგი

ყვარლის სასოფლო საბჭოს საზოგადო სასამართლოს თავმჯდომარე გივი გელაშვილი, ძველი დამსახურებული აგრონომი ილია ზაუტაშვილი და რაიონული გაზეთის რედაქტორი დავით ლაფაჩიშვილი ერთ დღეს გავიცანი, ერთ დღეს ვესაუბრე სამთავეს — ეს იყო 30 აგვისტო, ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულად დაღუპვის დღე.

31 აგვისტოს თბილისისკენ მოვემგზავრებოდი. აეროდრომი ყვარლელი ახალგაზრდებით იყო სავსე. ერთი ამბავი ჰქონდათ, თვითმფრინავის გუგუნსაც დაჰფარავდა მათი ურიამულის ხმა.

როცა თვითმფრინავში ჩავსხედით, არც მაშინ შეუწყვეტიათ სიცილ-კისკისი. მალე მფრინავი შემოვიდა და ღიმილით შეათვალიერა ახალგაზრდები.

— გეტყობათ, ახალგამოჩეკილი სტუდენტები ხართ!

— დიახ, ეგრეა, — უპასუხა თმაქოჩორა ყმაწვილმა.

— შენ სად მოეწყე? — დაინტერესდა მფრინავი.

— თბილისის უნივერსიტეტში.

— შენ? — ახლა გოგონას მიუბრუნდა.

— უცხო ენების ინსტიტუტში.

— შენ?

— მე მოსკოვის უნივერსიტეტში.

— აბა, თქვენ იცით! — თქვა მფრინავმა და კაბინისკენ გაემართა.

როცა თვითმფრინავი მიწას მოსწყდა და ყვარლის მთები უკან მოიტოვა, მხოლოდ მაშინ ჩაჩუმდნენ ახალგაზრდები, თვითმფრინავის სარკმლებს მიაწყდნენ და ცდილობდნენ არ გამორჩენოდათ ის წუთი, როცა მათი საყვარელი, მშობლიური მთები თვალს მიეფარებოდა.

გავა დრო და იქნებ იმ მფრინავმა ისევ უკან ჩამოიყვანოს ეს ახალგაზრდები, ნასწავლები, ცოდნით აღჭურვილები, სამშობლოს სამსახურისათვის მზადმყოფნი.

პენსიონერი აგრონომი ილია ზაუტაშვილი ილია ჭავჭავაძის კარ-მიდამოს ხშირი სტუმარია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

„წითელი ოქტომბრის“ სოფელი

ფოტონარკვევი ო.თ. თურქიასი

მწარე ბალი

რომელიმე გაზეთის კორესპონდენტმა რომ მოინდომოს სოფელ ბალღოჯიანის რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდგომი ცხოვრების შედარება, ვერ შესძლებს, სულ „უბრალო“ მიზეზის გამო; სოფელი ბალღოჯიანი დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე არ არსებობდა.

წითელი რუსეთის მეზობელ საქართველოში მაშინ მენშევიკები პარპაშობდნენ. ისინი ველური ინსტინქტით გრძნობდნენ ოქტომბრის ქარიშხლის მოახლოებას და გამალებით ძარცვავდნენ და ანიავებდნენ საქართველოს მიწა-წყლის სიმდიდრეს.

მენშევიკებმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს ქართველი ხალხი, ულუკმაპუროდ დარჩენილი გლეხები ეძებდნენ სარჩო-საბადებელს, ახალ მიწა-წყალს დასასახლებლად და საცხოვრებლად. ჭიათურელი გლეხებიც იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილები. აიყარა სოფელი რგანი, აიყარა სოფელი შუქრუთი, პერევისა. ზემო იმერელი გლეხები ჯგუფ-ჯგუფად გადადიოდნენ კახეთში და თავს აფარებდნენ ალაზნის პირებს — ახალსოფლისა და გავაზის ტყიან ადგილებს. მაგრამ ძვირად დაუჯდათ ეს „ნებაყოფლობითი“ გადასახლება, იქაც მტრულად დახვდნენ, იქაც წააწყდნენ სოფლის მამასახლისების, „სოფლის თავების“ წინააღმდეგობას, თუმცა მაინც მოახერხეს აქა-იქ პატარა ფიცრული ქოხმახების აშენება, ქოხმახებს სოფელი უწოდეს, სოფელს — ბალღოჯიანი.

მხოლოდ 1921 წლის თებერვალმა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ჩამოაშორა გლეხებს ყოველგვარი მტერი, ბორკილები მოიხსნა ხალხმა და კახეთში გადმოსახლებულ ჭიათურელ გლეხებსაც მიეცათ საშუალება მკვიდრად დასახლებულიყვნენ არჩეულ მიწაზე. მათ გაჰკაფეს ტყე, რომელშიც უმთავრესად მწარე ბალი — ბალღოჯი ჭარბობდა, მართლაც რომ აღგავეს პირისაგან მიწისა სიმწარე, და გააშენეს ახალი სოფელი.

1921 წლის თებერვლის სუსხიან დღეებში დიდმა ოქტომბერმა სათბურივით აღმოაცენა სიხარული და ბედნიერება საქართველოს მიწა-წყალზე.

„წითელი ოქტომბრის“ კოლმეურნეობის თავმჯდომარე — დიმიტრი მიხელიძემ (მარცხნივ) სოფლის რუკაზე გვიჩვენა სიმინდის ყანებისა და ვენახების განლაგება.

ჭკბილი ყურძენი

იყო ტყე... დღეს კი:

— ჩვენი სოფელი მთლიანად რადიოფიცირებულია, ავაშენეთ ორსართულიანი სკოლა, სამკითხველო, ქვიტკირის ლამაზად ნაგები კოლმეურნეობის კანტორა, საკოლმეურნეო კლუბი, კეთილმოწყობილი სადგომი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის, ხორბლის რამდენიმე ფარდული, — ამბობს სოფელ ბალღოჯიანის „წითელი ოქტომბრის“ კოლმეურნეობის თავმჯდომარე დიმიტრი მიხელიძე და თვალებში შემოგვცქერის, ჩვენს მორიგ შეკითხვას ელოდება.

— ამჟამად თუ აშენებთ რაიმეს?

— მეორე ფერმას ვაშენებთ 80 სული ძროხისთვის, იგი მთლიანად მექა-

ნიზებული იქნება, საბავშვო ბაგას ვაშენებთ, იმასაც მალე დავამთავრებთ, ამას გარდა...

— მაღალი მოსავლის ოსტატები თუ გყავთ?

დიმიტრი მიხელიძეს ეღიმება და კოლმეურნეობის მთავარ აგრონომს თვალს უკრავს.

— სოფელში 80 კაცზე მეტი დაჯილდოებულია ორდენებით და მედლებით, მათ შორის სამმა—არჩილ ხვედელიძემ, მარო იოსებიანმა და ალექსანდრე თაბაგარმა ლენინის ორდენები მიიღეს მაღალი

მებაღე ბრიგადირი, კომკავშირელი ვახტანგ თაბაგარი.

მოსავლის მოპოვებისათვის — ებმება საუბარში მთავარი აგრონომი.

— წავიდეთ, დავათვალიეროთ ჩვენი მეურნეობა, — ამბობს თავმჯდომარე და მაგიდაზე სოფლის რუკას შლის, — აი, ეს ჩვენი თუთის პლანტაციებია, — თითით მოხაზავს რუკაზე, — მოგეხსენებათ, აბრეშუმის ჭიის გამოყვანისათვისაა საჭირო. აქ გერანია, აქ — საზამთროს ბაღები, აქ სიმინდის ყანებია, ცხენოსან კაცს დაფარავს...

— ვენახი?

— დანარჩენი სულ ვენახი გახლავთ, — ამბობს თავმჯდომარე და დიდ წრეს ხაზავს რუკაზე.

— წელს როგორ მოსავალს ელით?

— მისდღემჩი რომ არ მოგვსწრებია, ისეთს, — იმერულად უქცევს დიმიტრი მიხელიძე, — წავიდეთ, ბატონო, თქვენი თვალით ნახავთ.

და ჩვენ მივდივართ კოლმეურნეობის თვალუწვდენ მინდვრებისკენ, სა-

„წითელი ოქტომბრის“ ხორბლის ფარდულში ამზადებენ თესლს მომავალი საგაზაფხულო თესვისათვის.



ვენახს კარგი მოსავლის პირი უჩანს.

კუთარ ბაღში ვნახულობთ კომკავშირელ მებაღეს ვახტანგ თაბაგარს, რომელმაც წელს, ზაფხულის მიწურულამდე, 400 შრომადღე გამოიმუშავა და 150%-ით გადაჭარბა ხუსმაროს ჩაბარების გეგმას. ვნახულობთ ტანაურელ, დატაროებულ სიმინდის ვანებს, რომელიც „ცხენისან კაცს ფარავს", — კომკავშირელ ანიკო ხვედელიძეს, რომელმაც შარშან დაამთავრა სუფალი სკოლა, გაიარა სამაგალო ბაგის გამგის კურსები, ზერჟინსკიანი კი ხორბლის ფარფლებში მუშაობს ტრიერთან, მომავალი გაზაფხულისთვის ამზადებს საოთესლეს. ანიკოს იმედი აქვს, რომ იმ დროისათვის „სტეიანი" სამაგალო ბაგის გამგე იქნება.

— დარდი ნუ გაქვს, მალე დავამთავრებთ ბაგის მშენებლობას, — ხელებზე ანიკოს ფარჩებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

კოლმეურნეობის ვენახის შეაგუფეს რომ მივალეიეთ, იქ, სადაც გივი მოდებაძის კომკავშირული რგოლი მუშაობდა, და ავტომობილიდან ჩამოვხტეთ.

— წამო, წამო, შე ვერანა!



F 2031

← — აბა, ჰე, თუ მოტეხავ, სულ შენი იყოს!

მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, რომ აქ ფეხით მოსვლას დიდხანს მოვუნდებოდით და დავიღლებოდით კიდევაც.

მართლაც თვალს ვერ გაუწვდენ სოფელ ბალლოჯიანის ზვრებს. ამ ტრიალ მინდორზე ისე ეჩანენენი, თითქოს სადღაც ცას უერთდებიდეს ვენახები. ყოველ შემოხვევაში, ჩვენ ბევრი ვიარეთ და მერე ბოლოში ვერ გავედით.., მტევნებით დახუნძლული ვაზები, ზოგზე ოცი კილოც ჩამოკა, ეფრძენი კი ტამილი, ტამილი, შაქარივით ტამილი... ლენინსაც ოვეითს აეენებენ ბალლოჯიანში, იქნებ ამერელ და კახელ მევენახეების ერთობლივი მუშაობის შედეგია ეს.

— მხოლოდ ერთ რამეში ვერ შევიწუეეთ კახელებს, ჩვენებური პრასი არ უყვარო, — ხუმრობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ანეგდოტად ქცეულ ამბავს იგონებს, — ერთხელ ბალლოჯიანელ ამერელ ქალს ერდანახში წყლული პრასი გასაყიდად. ისე დაუღამდა ბაზარში, რომ კაცი არ მიკარებ-

მორეული მოგზაურობაში.



ბია თურმე, ბოლოს ერთ ამერელს გამოუვლია და უკითხავს: „რა ღირს მაგ პრასი ბიცოლაო", ქალს თვალები გაბრწყინებია სიხარულისაგან და უთქვამს: „რაბან ამის სახელი გამგონე, ძაძია, სულ უფასოდ წელეო".

ყველა გაიცინა ამ ამბავზე. კოლმეურნეობის თავმჯდომარე კი ისევ სოფლისაკენ გვეპატიჟე-



შენობევეი ალოფლის გზაზე.

ბა: უნდა ვეტაკეთოთ ლენინის ორდენისან არჩილ ხვედელიძეს, სოფლის ჩოლის რეტულ ანის ეოფილ მიწეავლენელ, ბენსეფერ ერიდლინ ტაბატაძეს, უნდა მოინახულოთ მოწინავე ტრაქტორისტი, სამამულო ომის ინვალიდი ვიტორ ჩანანიე და სხვანი და სხვანი, რომელთა გამრჯე შრომამ, მუეეითობამ და სიყვარულმა მშობელი მიწისამ აიკვეა დიდი ოქტომბრის პირშო — სოფელი ბალლოჯიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე და რაფიელ ერისთავი

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით ეკიდებოდა მხცოვან პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს რაფიელ ერისთავს. გარდა ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ურთიერთობისა, ილიას რაფიელთან, ამ „ჩვენი მწერლობის პატრიარქთან“, როგორც მას ეძახდნენ, პირადი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა.

რაფიელ ერისთავმა მთელი თავისი სიცოცხლის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანი სამშობლოს კეთილდღეობისათვის შრომას შესწირა. მადლიერმა ქართველმა ხალხმა ღირსეულად დააფასა რაფიელის ღვაწლი. ილიასა და აკაკის ხელმძღვანელობით 1895 წლის 22 ოქტომბერს თბილისში ბრწყინვალედ აღინიშნა რ. ერისთავის სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე.

ილიას გულით უყვარდა რაფიელი, დიდად აფასებდა მის დამსახურებას ქართველი ხალხის წინაშე. ამას ნათელყოფს ილიას სადარბაზო ბარათები სხვადასხვა დროს რაფიელ ერისთავისადმი გაგზავნილი.

ილიამ, როცა ჟურნალი „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადააკეთა 1886 წლის იანვრიდან, გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლის აღსანიშნავად, რაფიელ ერისთავს სადარბაზო ბარათი გაუგზავნა, სადაც სწერდა: „გთხოვთ მეწვიოთ ხვალ საღამოს, სამშაბათს. ერთად მივეგებოთ ახალს წელიწადს და „ივერიის“ პირველ ნომერს“.

ილია ჭავჭავაძე ყველა მნიშვნელოვან შემთხვევაში თავაზითა და პატივისცემით იწვევდა რაფიელ ერისთავს.

„პარასკევს 1-ს ივნისს სადილად სამს საათზედ ჩემს სახლში მოწვეული მყავს თქვენი პატივისმცემელი გერმანელი მწერალი არტურ ლეისტი. გთხოვთ თქვენც მობრძანდეთ“, — სწერდა ილია რაფიელ ერისთავს.

რაფიელიც, მიუხედავად მოხუცებულობისა, ხალისით ესწრებოდა საზოგადო თავშეყრილობაზე თუ კერძო ოჯახებში გამართულ მეგობრულ სადილებზე, სადაც პირველ რიგში ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი საკითხები ირჩეოდა ხოლმე. ამ შემთხვევაში პირველობას ყოველთვის რაფიელს უთმობდნენ, არა მარტო, როგორც უხუცეს ქართველ მწერალს, არამედ, როგორც ნამდვილ ქართული შნოთი და ლაზათით აღჭურვილ თამადასაც. რადგან — „რაფიელი იყო ამასთანავე ენა-წყლიანი, ჭკუა-მახვილი, ოხუნჯი, ხოლო ამისი ოხუნჯობა იყო ნამდვილი ძველებური ქართული, დარბაისლური. ვის სადღეგრძელოსაც დაჰლევდა, უსათუოდ შეხაფერ სახუმარო სიტყვითაც მიჰმართავდა, ხან ექსპრომტით ლექსსაც ჩაკერებდა“ (ი. მანსვეტაშვილის მოგონებიდან).

აი, კიდევ დინჯი ტონით დაწერილი, სულ რამდენიმე სიტყვით მიმართული ილიას საქმიანი სადარბაზო ბარათი რაფიელ ერისთავისადმი... „კნიაზო რაფიელ! თუ შეიძლება გაისარჯეთ და პატარახანს მობრძანდით ჩემთან. ძლიერ საჭირო საქმე მაქვს“.

ან კიდევ:

„საყვარელო კნიაზო რაფიელ დავითისძე!

მე იმედი მქონდა ქართულთა წიგნთა მბეჭდავის საზოგადოების ფული მომეხმარა თქვენის იგავ-არაკთათვის, მაგრამ ამ საზოგადოებამ ამას წინათ გადაჰსწყვიტა რაც ფულია სულ ალექ. ჭავჭავაძის ლექსების ბეჭდვას მოახმაროს. თუ ამ გზით აღარ გახდა რა, მე ვეცდები სიით ფული მოვაგროვო და მაგით ხელი გაუმართო ჭიჭინაძეს [1].

[1] ზაქარია ჭიჭინაძე.

შალვა გოზალიშვილი

თქვენი მარად პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე“ [1].

რაფიელ ერისთავს „ბედმა არგუნა“ მოხუცებულობის უამს, 1889-96 წლებში სახელმწიფო სამსახურში ყოფილიყო კავკასიის საცენზურო კომიტეტის ადგილობრივ და აღმოსავლურ ენებზე გამოცემათა უმცროს ცენზორად. ამ პერიოდის განმავლობაში არა ერთი სიმწარე და დატუქსვა უგემნია მოხუც ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს კავკასიის საცენზურო კომიტეტის ბობოლებისაგან, რადგან იგი ცენზორის საჭირო ულმობელობას ვერ იჩენდა ხოლმე „ივერიისა“ და სხვა ქართული გამოცემების მიმართ. მშობლიური კულტურის პატრიოტ მოღვაწეს უძნელდებოდა ცენზორის მოვალეობა შეესრულებინა მთელი თავისი სიმკაცრით. ამის გამო იყო, რომ ხშირად მისი ნებართვით „ივერიაში“ გაშვებული ფელეტონებისა და სტატიების შემდეგ მთელი აურზაური დგებოდა მთავრობის ორგანოებში და საიდუმლო მიმოწერა იმართებოდა ხოლმე „ივერიისა“ და მისი რედაქტორის ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ამას შედეგად მოჰყვა მთავრობის მიერ 1896 წლის მაისში „ივერიის“ რვა თვით დახურვა, ხოლო მოხუც პოეტს რაფიელ ერისთავს, რომელსაც ბრალად დაედო „ივერიაში“ ასაკრძალავი ფელეტონების და სტატიების დაბეჭდვის ნებართვის მიცემა, სასტიკი საყვედური გამოუცხადეს და იძულებული გახადეს სამსახურისათვის თავი დაენებებინა.

ქვემოთ მოტანილი უთარიღო ბარათი ილიას მიერ გაგზავნილია 1889 წლის ოქტომბერში რაფიელ ერისთავის ცენზორად მუშაობის დროს. ბარათში ილია თხოვს, რომ მიხ. ნასიძის სახუმარო ლექსში — „ახალი იავ-ნანა“ რაფიელმა არ ამოშალოს სიტყვა „Многое лета“.

როგორც ჩანს, რაფიელს—ცენზორს სიფრთხილე გამოუჩენია, სახუმარო ლექსში არ შეეტანა „Многое лета“, რადგან ეს მეფის „სადიდებლის“ (მრავალჟამიერის) სიტყვებს წარმოადგენდა. ბოლოს რაფიელს ილიას თხოვნა მაინც შეუსრულებია, თავისივე ხელით, წითელი მელნით ლექსის ბოლოს მიუწერია „მნოღოე ლეტა“ და ასე დაბეჭდა „ივერიაში“ (№ 225, 24 ოქტომბერი, 1889 წ.).

ილია ჭავჭავაძის ბარათი რაფიელ ერისთავისადმი

თქვენი ჭირიმე, კნიაზო რაფიელ, ამ სტრიქონს ნუ ამოშლით. „Многое лета“ ნუ თუ აკრძალული სიტყვაა? გეფიცებით, ამ ლექსს წამოუშლელად თვითონ ლუკა სტეფანისძეც [2] კი დაუბრკოლებლივ გაუშვებდა. თქვენი ჭირიმე, ლექსს ნუ წაახდენთ, პასუხისგება ჩემი იყოს, თუ ვინმე რამ შეჰნიშნოს.

[1889 წ. ოქტომბერი] [1] თქვენი ილია ჭავჭავაძე“

შენიშვნა: აქვეა სტამბაში ამონაბეჭდი მ. ნასიძის ლექსი „ახალი იავ-ნანა“ (მიბაძვა), რომელსაც ბოლოში წითელი მელნით მიწერილი აქვს რაფ. ერისთავის ხელით: „მნოღოე ლეტა“.

ლექსის სრული ტექსტი:
გასართობი.

ახალი იავ-ნანა
(მიბაძვა)

იავ-ნანა, ვარდო ნანა,
იავ ნანინაო...
გაიხსე და გაიზარდე,
პატარა მთვარეო,
მთლად შენი წუთი-სოფელი
სმაში ატარეო;
იმღერე და იქეიფე
შენ ერთთავადაო,
გაიზრდები, შეიქმნები
ქვეყნის თამადაო.
შეიგნე და შეისწავლე
სამშობლო მხარეო,
რომ სადაც დიდი სმა არის,
იქ გაჩნდე მალეო;
მთლად შენი მამულ-დედული,
სმას შეალიეო,
შვილო მამულის გულისთვის
ღვინო დალიეო.
პაწაწინა ლოთი-ფოთო,
ყანწის ოდენაო,
იავ-ნანა, ვარდო ნანა,
იავ-ნანინაო!
ანუგეშე, სადაც ნახო,
მოძმე მწუხარეო,
ალბათ, რომ ღვინო სწყურიან, —
დაალევინეო.
ის ურჩევნია მამულსა,
მამასა სჯობდეო:
მე თუ თუნგ-ნახევარსა ვსვამ,
შენ ორს დალევდეო;
გენაცვალოს მამაშენი,
რა კარგი მყევხარო,
ფუნჩულა და გაბერილი
ტიკჭორას გევხარო.
შეჰხედეთ ალისფერ ლოყებს,
ყურძნის წვენიაო!
იავ-ნანა, ვარდო ნანა,
იავ-ნანინაო!
შვილო, ღვინის მონა იყავ,
უარი არ სთქვაო,
ლუარსაბმაცა სახელი
ასე გაითქვაო.
სამშობლო და დედა-ენა
რად გინდა ნეტაო,
გამოთვერ და შემოსძახე:
მნოღოე ლეტაო [2].

მ. ნასიძე

[1] ილიას სადარბაზო ბარათები რაფიელ ერისთავისადმი დაცულია საქ. სახ. მუზეუმის რ. ერისთავის ფონდში № 227.

[2] ლუკა სტეფანეს ძე ისარლოვი — ჟურნალისტი, რეაქციონერი. კავკასიის საცენზურო კომიტეტის უმცროსი ცენზორი და მდივანი 1881 წლიდან 1888 წლამდე. მას ქართული მწერლობის სულთამხუთავს, ჯალათს ეძახდნენ. ი. მანსვეტაშვილის დახასიათებით — „ლუკა ნამდვილი ძველი პოლიციელი იყო: გულით გაქვავებული, ჭკუით გამოფიტული, ვერც შენი წრფელი სიტყვა, ვერც შენი საღი სჯა, ვერც ხვეწნა და მუდარა ვერ მიაღწევდა იმის გულსა და ტვინსა“.

[1] ბარათი უთარიღოა. დაწერილია 1889 წლის 24 ოქტომბრამდე, რადგან მასში მოტანილი სიტყვა „Многое лета“ დაბეჭდილია მიხ. ნასიძის ლექსში — „ახალი იავ-ნანა“, „ივერიაში“ 1889 წლის 24 ოქტომბერს. (იხ. საქ. სახ. მუზეუმის რ. ერისთავის ფონდი № 227).

[2] „ივერიაში“ ეს სიტყვები დაუბეჭდიათ: „მნოღოია, ლეტაო!“ (№ 225, 1889 წ., 24 ოქტომბერი).

ვერა შუბლაძე

ილია ჭავჭავაძე

ეროვნული

დიდი სამშობლო ყველას გვახარებს,
ობლად არ სტირის შენს ბაღში ვაზი,
ნეტავ, განახა დღეს შენი მხარე
რა კარგია და რარიგ ლამაზი!..

ნეტავ, ხედავდე შენს ქვეყნის ცაზე
კრიალა სივრცეს, როგორ გავსცქერით;
ნეტავ, გესმოდეს საამო ხმაზე
რარიგ ჩქრიალებს კლდეზე ჩანჩქერი!

ნეტავ, გესმოდეს, დიდო ილია,
ინდუსტრიალურ სიმების ჟღერა,
ნეტავ, გესმოდეს ქართლის ძილშიაც
კოლმეურნეთა ტკბილი სიმღერა.

მუდამ გვიყვარდა შენი ნაღარა,
ჩვენ შენი სიბრძნე ჯავშნად გვარტყია
ო, შენს ნათელ შუბლს, სათნო, ჭალარას,
მუხანათურად ესროლეს ტყვია.

ჟანდარმთა ბანდამ შენ გაგიმეტა,
დადუმდა შენი მჭუხარე ენა.
მტრის შავი ბედი გენახა ნეტავ,
გენახა შენი ხალხის მოლხენა!

ჩვენ მხიარული ყოფა გვახარებს,
ობლად არ სტირის შენს ბაღში ვაზი.
ნეტავ, განახა სამშობლო მხარე,
რა ტურფაა და რარიგ ლამაზი!..

გიორგი ნაუჭვარიძე

გაფრენილი ღუარაჯი

განთიადისას, ჩაველ ალაზანს,
ლეკეთის ქედებს ნისლი არ ეკრა.
დურაჯს ფეძებდი შენისთანასა,
მინდოდა ერთხელ თვალი დამეკრა.
ყოველ ბუჩქის ძირს მელანდებოდი,
შენი ფრთებივით ენთო ცისკარი,
შენს მოლოდინში ცრემლად ვდნებოდი,
მძინარეს მაინც ვერ მოგისწარი.
რა გაჩქარებდა ან ეს ეკვანი
გულს რად შემაბი, რად ამატირე?
გაფრინდი, წახველ და კაეშანი
დაეც ალაზნის ველურ ნაპირებს.
გაფრინდი,
წახველ, შენი ფრთის ტაში
პურით მოფენილ ველებს გაშორდა.
ლამაზი იყავ, როგორც რიჟრაჟი
და საყვარელი როგორც ბავშვობა.

საფერფლე

გამოუხატავთ საფერფლედ გული
და ჩემს მაგიდას ამშვენებს, ხანაც,
როგორც ლეგენდა ოდესღაც თქმული,
ბოლავს, იწვება და ცოცხლობს თანაც...
ფერფლავ,
ღამეა, თუ გარიჟრაჟი,
დგება ფანჯრებთან, როგორც სტუმარი.
თამბაქოს კვამლი დგას ჩემს ბინაში
და ბოლში როგორც აჩრდილი ვდუმავარ!
საფერფლე მარად ნამწვავით სავსე
შუაგატეხილ ასანთის ღერით,
ჩემს საკუთარ გულს მაგონებს ასე,
და მიკანკალებს სტრიქონზე ხელი!
ჩემი საფერფლე ჩამქრალ პაპიროსს
ინახავს, როგორც ლექსებს დაწერილს.
გული ნელა ძგერს და კვლავ აპირებს,
იმღეროს რამე უკანასკნელი...
იწვება, ბოლავს, დასაწერ ლექსის
სითბოს ინახავს თბილად ღადარში
ხან დაიკუხტებს, ხან ჩუმად კვნესის
და ხან უცნაურ ფიქრებს გადაშლის.
დრო მიდის, მიდის, ბაღებში
ზეფირს
დაქვს მაისის ვარდის სურნელი,
გულს და საფერფლეს
აცვივა ფერფლი,
განუკურნელი, განუკურნელი!

ილიას თხზულებათა პირველი გამოცემელი

მიხეილ საპაკაშვილი

ილიას ვერაგული მკვლელობის შემდეგ დღის წესრიგში დადგა დიდი მწერლის ნაწარმოებთა ერთად თავისმოყრისა და გამოცემის ამოცანა. მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის მხარდაჭერით და ხელშეწყობით, ამ საქმის განხორციელება ითავა ექიმმა მიხეილ გედევანიშვილმა.

გადაწყდა ილიას თხზულებათა ორ ტომად გამოცემა: პირველი ტომი დაეთმო მწერლის მხატვრულ ქმნილებებს, ხოლო მეორე ტომი გათვალისწინებული იყო კრიტიკულ-პუბლიცისტური ნაწარმოებებისათვის.

1914 წელს გამოქვეყნდა პირველი ტომი. ხოლო პირველ იმპერიალისტურ ომის დაწყებასთან დაკავშირებით მეორე ტომის გამოცემა ვეღარ მოხერხდა.

მიხეილ გედევანიშვილის მიერ გამოცემულ ილიას თხზულებათა პირველ ტომს დართული აქვს გ. გაბაშვილის მიერ შესრულებული ილიას პორტრეტი. ტომში მოთავსებულია, აგრეთვე, ილიას, მისი მამიდის — მაკრინეს, მეუღლის—ოლღა თათიოზის ასულის, გამდელის — სალომეს, ილიას დების—ელისაბედ საგინაშვილის და ნინო აბხაზის ფოტოგრაფიები; ილიას სახელთან დაკავშირებული დოკუმენტალური ფოტოსურათები და სხვ.

ტომს წინ უძღვის ილიას საკმაოდ ვრცელი ბიოგრაფია გრიგოლ ყიფშიძისა და მის მხატვრულ თხზულებათა მიმოხილვა.

წიგნი ილუსტრირებულია. ილიას ნაწარმოებთა ილუსტრაცია შესრულებულია მხატვარ ჰენრიკ ჰრინევსკის მიერ.

ილიას თხზულებათა პირველი ტომის გამომცემელს მიხეილ გედევანიშვილს კარგად ჰქონია წარმოდგენილი ილიას ნაწარმოებების გამოცემის მნიშვნელობა და ის პასუხისმგებლობა, რასაც ავალებდა მას ეს საქმე.

ამ ტომისადმი დართულ მოკლე შესავალში იგი წერდა: „ეს წიგნი—ილია ჭავჭავაძის ნაწერების სრული კრებულის პირველი ტომი — არის ოცნება, საქმედ ქცეული, დიდიხნის ნაფიქრ-ნააზრი. ილიას ნაწერებში აღბეჭდილია ქართველის სახე, გამოთქმულია საზოგადოების აზრი და ფიქრი, ჩაქსოვილია ერის მწუხარება და სიხარული... მეტია ამიტომ გამეორება იმ აზრისა, თუ რა დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმგვარ მწერლის ნაწარმოებთა კრებულის გამოცემას, როგორიც არის ილია ჭავჭავაძე.

ეს მატიანე ჩვენი ცხოვრების ჭირისა და ლხინისა საერთო დახმარებით დღეს მოვრთეთ, მოვკაზმეთ და ისე მოუძღვენით მკითხველს.

რაკი ეს აღსრულდა და მოვალეობის ტვირთი ცოტა არ იყოს შემომსუბუქდა, არ შეშიძლია გულწრფელის მადლობით არ მივიხსენიო ყველა ისინი, ვინც სარედაქციო კომისიაში მონაწილეობით, რაიმე დახმარებით თუ თანაგრძნობის გამოთქმით ხელი შეუწყო ამ საქმის დაგვირგვინებას“.

აღსანიშნავია, რომ სარედაქციო კომისიაში განსაკუთრებით მხურვალე და საქმიანი მონაწილეობა მიუღია ივ. ჯავახიშვილს.

ილიას თხზულებათა პირველი ტომის გამოცემას დიდი ამაგი დასდო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, რომლის სულისჩამდგმელი და სხვა სახელოვან ქართველ მოღვაწეებთან ერთად ათეულ წლების მანძილზე მთელი მუშაობის წარმმართველი თვითონ ილია იყო.

რაც შეეხება პირველ ტომში მოთავსებულ ილიას ბიოგრაფიას, მის შესახებ მიხეილ გედევანიშვილი აღნიშნავდა: „გამომცემლობამ ყოველნაირი საშუალება მიიღო შეეგროვებინა ყველა მასალა, რომელიც ეხება დიდებული მგოსნის, მოაზრისა და ქართველი ერის მოჭირნახულის ილიას ცხოვრებას და ღვაწლს. ამ რიგათ შეგროვილი საინტერესო და დიდი ძალი მასალა დაედო საფუძვლად ილიას ბიოგრაფიასა, შედგენილს გრ. ყიფშიძის მიერ. ეს არ არის ილიას სრული, სამეცნიერო ბიოგრაფია — ასეთი დაიწერება შემდეგში, როცა შესწავლილი იქნება ყველა მისი ნაწარმოები, ყველა ის მასალა, რომელიც მის ცხოვრებას შეეხება; ეს-კი მხოლოდ პირველი ცდა არის დიდებული მოღვაწის ცხოვრების აღწერისა“ .

პირველი ტომის შესავალს მიხეილ გედევანიშვილი ასკვნის შემდეგი სიტყვებით: „დეე, თვით საზოგადოებამ დააფასოს ამ ნაბიჯის ღირსება-ნაკლულევანება, ჩვენ-კი კმაყოფილნი ვართ უკვე იმით, რომ შევაგროვეთ და სავშვილიშვილოდ შევინახეთ დაუფასებელი განძი ილია ჭავჭავაძის სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებისა“.

პირველ ტომში მოთავსებულია დიდებულ მგოსნის ავტოგრაფები.

ბიოგრაფიისა და ილიას თხზულებათა მიმოხილვის შემდეგ, ილიას მხატვრულ ქმნილებებს წინ წამძღვარებული აქვს მისი დიდებული ლექსის „ტყემ მოისხა ფოთოლი“-ს ავტოგრაფი.

გავიდა წლები. გაიმარჯვა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. საბჭოთა სინამდვილემ გააცოცხლა ილია. მისმა ნაწერებმა ჭეშმარიტი შეფასება მხოლოდ ჩვენს ხანაში ჰპოვა. ილიას ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა და გამოცემა სახელმწიფოებრივ საქმედ იქცა. უკვე განხორციელებულია ილიას თხზულებათა აკადემიური გამოცემა პავლე ინგოროყვას რედაქციით. ამჟამად იმავე რედაქციით იცემა ილიას თხზულებათა სრული კრებულის მეორე აკადემიური გამოცემა. დიდი ტირაჟებით გამოდის ილიას სხვადასხვა თხზულებები. ილიას ნაწარმოებები ქვეყნდება არა მხოლოდ ქართულ, არამედ რუსულ და საბჭოთა კავშირში გაერთიანებულ მომტე ხალხების სხვა ენებზე. ილიას ნაწარმოებები იცემა საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც. დღეს, ილიას დაბადების 120 წლის თავზე ინტერესსმოკლებული არ იქნება იმ ადამიანის გახსენება, რომელმაც ჩვენი ისტორიის სუსხიან პერიოდში არ დაზოგა არც შრომა, არც ენერგია, არც სახსრები, დაძლია დიდძალი დაბრკოლებები და ქართველი ხალხის ერთსულოვანი მხარის დაჭერით და დახმარებით პირველმა განახორციელა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულის პირველი ტომის გამოცემა.

მიხეილ გედევანიშვილი დაიბადა მანგლისში 1862 წელს. 1883 წელს თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი მოსკოვს გაემგზავრა, სადაც მოსკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ჯერ კიდევ მოწაფეობის პერიოდში მან ქართველ მოაზროვნეების და მწერლების, განსაკუთრებით კი, ილია ჭავჭავაძის გავლენა განიცადა. მოსკოვში იგი მოწინავე მოაზროვნეთა ნაწერებს დაეწაფა. რუსეთში გატარებული წლები ყოველმხრივ ნაყოფიერი იყო მომავალი საზოგადო მოღვაწისა და ქართული მედიცინის დაუღალავი მუშაკის ფორმირებისათვის. მეოთხე კურსზე იყო მიხეილი, როდესაც სტუდენტთა მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის უნივერსიტეტიდან გარიცხეს და გადაასახლეს კიდეც. ბევრი დავიდარაბის შემდეგ ძლივს მოხერხდა მისი მოსკოვში დაბრუნება და უნივერსიტეტის სტუდენტად აღდგენა. 1889 წელს მიხეილ გედევანიშვილი ამთავრებს მოსკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტს და იმავე წელს უმცროსი ორდინატორის თანამდებობაზე მუშაობას იწყებს თბილისის ყოფილი მიხეილის საავადმყოფოში (ამჟამად საქართველოს სსრ ცენტრალური რესპუბლიკური საავადმყოფო). მალე იგი გადაყავთ სოფლის ექიმად მაშინდელ ელისავეტოპოლის გუბერნიის ზანგეზურის მაზრაში.

რამდენიმე წლის შემდეგ გადმოჰყავთ მაშინდელი თელავის მაზრის ექიმად. ამ თანამდებობაზე რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ იგი მუშაობას იწყებს სპეციალურად ნევროპათოლოგიაში, ფსიქიატრიაში, ფიზიოთერაპიაში და რენტგენოლოგიაში. მიხეილ გედევანიშვილი იყო დიდად განვითარებული პირველი ქართველი ნევროპათოლოგი, ფსიქიატრი, ფიზიოთერაპევტი და რენტგენოლოგი. აღნიშნული დარგების საქართველოში განვითარების ისტორიაში მას ერთ-ერთი პიონერის ადგილი ეკუთვნის.

საექიმო საქმიანობის პროცესში ექიმი მიხეილ გედევანიშვილი უშუალოდ ხედავდა იმ სავალალო მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებოდნენ მშრომელები საექიმო დახმარების მხრივ. მან კარგად იცოდა, რომ მშრომელი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, მშრომელებისათვის სამედიცინო დახმარების საქმეზე სრულებით არ ზრუნავდა მეფის მთავრობა და გაბატონებული კლასები, ამიტომ ცდილობდა ამ საქმეში ჩაება მოწინავე საზოგადოებრიობა. ჯერ კიდევ ზანგეზურში მუშაობის დროს მან ითავა და საზოგადოებრიობის დახმარებით, შეგროვილი სახსრებით გახსნა აფთიაქი. მიხეილ გედევანიშვილი უსასყიდლოდ მკურნალობდა მუშებს და მშრომელ გლეხკაცობას. იგი უფასოდ და გულისხმიერებით სამედიცინო მომსახურებას უწევდა ჯარისკაცებს. ამასთან ერთად იგი ნაყოფიერად მუშაობდა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში. ასე, მაგალითად, იგი 1898 წელს მიიწვიეს სულით ავადმყოფთა თავშესაფარის ხელმძღვანელად. მიხეილი წლების მანძილზე განაგებდა მის მიერ თბილისში გახსნილ ექიმთა კოლექტივის საავადმყოფოს, თბილისში არსებულ რკინიგზის საავადმყოფოში მან ჩაუყარა საფუძველი ნერვულ სნეულებებით დაავადებულ ავადმყოფთა სპეციალიზირებულ მკურნალობას და სხვ. ამასთან ერთად მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა თბილისის საზოგადოების წევრებს უკითხავდა ფიზიოლოგიის კურსს.

ილუსტრირებული თავსართი პირველი გამოცემიდან.

მიხეილ გედევანიშვილი იყო თბილისში არსებულ ექიმთა საზოგადოების წევრი. ის ამ საზოგადოებაში ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა.

მიხეილ გედევანიშვილი მონაწილე იყო კავკასიის ექიმთა პირველი და მეორე ყრილობების და 1900 წელს შემდგარ ექიმთა მსოფლიო ყრილობისა (ფსიქიატ. სექცია).

ასეთი იყო, მოკლედ, სამედიცინო დარგში მოღვაწეობა იმ ადამიანისა, რომელმაც ილიას თხზულებათა კრებულის პირველი ტომი გამოსცა 1914 წელს. იგი ეკუთვნოდა ქართველ ექიმთა იმ შესანიშნავ პლეადას, რომელნიც თავის სპეციალობაში მოღვაწეობასთან ერთად, მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის, თავის ხალხის სასიკეთო საქმიანობაში, მას შემდეგ, რაც მიხეილ გედევანიშვილი თბილისში დამკვიდრდა სამუშაოდ მას ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ვაჟა-ფშაველასთან, იაკობ გოგებაშვილთან და სხვა მოწინავე მოღვაწეებთან. ცხადია, რომ ასეთ ადამიანებთან სიახლოვე და მათ წრეში ყოფნა უშედეგოდ არ დარჩებოდა და თავის მადლიან გავლენას მოახდენდა განათლებულ და მოწინავე იდეებზე აღზრდილ ექიმზე. ამ გარემოებამ თავისი გამოხატულება მიხეილ გედევანიშვილის მთელ საქმიანობაში ჰპოვა.

საინტერესოა, რომ მიხეილ გედევანიშვილის და მისი მეუღლის სახელი დაკავშირებული პირველ ქართულ საბავშვო ბაღის გახსნასთან რევოლუციამდელ საქართველოში; მათ იაკობ გოგებაშვილთან, ნინო ნაკაშიძესთან, ლ. ბოცვაძესთან და სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ამ საქმეში. ბაღს ეწოდა აკაკი წერეთლის სახელი. ღარიბ ბავშვებისათვის სტიპენდიები, საკუთარ სახსრებიდან, დანიშნული იყო იაკობ გოგებაშვილის მიერ. მეფის მთავრობამ, მისი განათლების მინისტრის სახით ქართული საბავშვო ბაღის არსებობა აკრძალა. აღსანიშნავია, რომ მოწინავე რუს საზოგადოებრიობასთან ერთად ქართული საბავშვო ბაღის დასაცავად უკრაინამაც ამოიღო ხმა. უკრაინაში სპეციალური წერილიც კი გამოქვეყნდა ამ საკითხზე. აკრძალვის მიუხედავად მისი დამაარსებლები არ შეშინდნენ და მეფის მთავრობის ნებართვის გარეშე ბაღი წლების მანძილზე განაგრძობდა არსებობას.

მიხეილ გედევანიშვილი გარდაიცვალა ქ. თბილისში 1922 წელს, იგი მოესწრო იმ ხანას, როდესაც საქართველოში საბჭოთა წყობილებამ გაიმარჯვა და ილიას სამშობლო — საქართველო თავის აწმყოს და მომავლის ბედნიერი მჭედელი გახდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1925 წლის მაისში, ჩვენს დედაქალაქში გასტროლებზე იყო მოსკოვის სამხატვრო თეატრი კ. სტანისლავსკის ხელმძღვანელობით.

კ. ს. სტანისლავსკი და სამხატვრო თეატრის მსახიობები: ი. მოსკვინი, ო. კნიპერ-ჩეხოვა, ვ. ლუუსკი, ნ. ალექსანდროვი, მ. ტარხანოვი, ფ. შევჩენკო, ნ. ლოტოვცევა, ა. სტეპანოვა იყვნენ მთაწმინდის პანთეონში. რუსული თეატრის ამ გამოჩენილ მოღვაწეთა ასვლა მთაწმინდაზე და ილიას საფლავის შემკობა გვირგვინებით ფოტოზე აღბეჭდა ფოტოგრაფმა ევტიხი ყვანიამ. საფლავთან ძეგლის მარცხნით დგას თვითონ კ. ს. სტანისლავსკი. კ. სტანისლავსკის გვერდით დგას რსფსრ დამსახურებული არტისტი ნ. ნ. ლოტოვცევა (ვ. კაჩალოვის მეუღლე, სამხატვრო თეატრის მსახიობი და რეჟისორი), შემდეგ ფ. შევჩენკო (სამხ. თეატრის მსახიობი, რსფსრ სახალხო არტისტი), სსრკ სახალხო არტისტი მ. მ. ტარხანოვი.

მარჯვნით დგანან — წინა პლანზე: სსრკ სახალხო არტისტი რ. ლ. კნიპერ-ჩეხოვა, უკან — რსფსრ დამსახურებული არტისტი ნ. გ. ალექსანდროვი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ვ. ლუუსკი (სამხატვრო თეატრის მსახიობი და რეჟისორი), სსრკ სახალხო არტისტი ი. მ. მოსკვინი, რსფსრ დამსახურებული არტისტი ა. ო. სტეპანოვა.

ფოტო იბეჭდება პირველად.

ილია ჭავჭავაძეზე არა ერთი კარიკატურა და შარჟი დაბეჭდილა მაშინდელ ქართულსა და რუსულ პრესაში. ეს შარჟი, რომელიც რუსულ ჟურნალ „ფალანგაში“ იყო გამოქვეყნებული წარწერით „ქართული ჟურნალისტიკის ძიძა“ ილიას წარმოგვიდგენს ქართველი ჟურნალისტების აღმზრდელად და მზრუნველად (ილია-ძიძას ხელში ჰყავს აყვანილი ორი „ურმა“ — ი. მაჩაბელი და ს. მესხი).



კლდეში გამოკვეთილი ქართული ძეგლები

სვიმონ გამსახურდია

ბამოქვაბულთა კლდეში გამოკვეთის სისტემა საქართველოს უძველესი ხანის ისტორიიდან არის ცნობილი. ისინი უშუალოდ საცხოვრებელი ადგილის ან დამხმარე ნაგებობების სახით წარმოგვიდგებიან და ხანდახან მთელ ქალაქად გვხვდება.

ქართველ მემატიანეს, ლეონტი მროველს, მოთხრობილი აქვს კლდეში გამოკვეთილი საცხოვრებლის არსებობის შესახებ უძველეს მცხეთაში.

ჩვენი წელთაღრიცხვით მე-6 საუკუნეში „სარკინე მთის" მიდამოებში ანტიოქიიდან ჩამოსულ ბერს — შიოს კლდეში გამოკვეთილი გამოქვაბული უპოვნია და შიგ დასადგურებულა. შიოსათვის სხვა ბერ-მონაზონებსაც მიუბაძავთ და საცხოვრებლად მღვიმეებში („ქვაბებში") დასახლებულან, ხოლო შემდეგ ახალი მღვიმეებიც გამოუკვეთიათ.

ეს საცხოვრებელი მღვიმეები დღეისთვის 100-მდეა აღნიშნულ მიდამოებში შემორჩენილი. მღვიმეები ისეა კლდეში გამოკვეთილი, რომ შიგ მყოფ ბერებს შემოსეულ მტრისაგან თავდაცვის საშუალება ჰქონდათ. ერთ მწკრივზე განლაგებული მღვიმეები ერთმანეთს აივნისებური გასასვლელებით უკავშირდებიან, ხოლო სართულიდან სართულში კი, როგორც შემორჩენილი ნაშთებით ჩანს, გვირაბები გადიოდა.

ალაგ-ალაგ მღვიმეების კედლებს მოხატულობის ფრაგმენტები შემორჩა.

კლდის კვეთის უფრო რთული სისტემაა წარმოდგენილი უფლისციხის ნაქალაქარში, რომელიც მთლიანად ქვიშნარივ ქვაშია გამოკვეთილი.

უფლისციხე, საქართველოში არსებულ კლდეში ნაკვეთ ნაგებობათა შორის, ერთ-ერთი უძველესთაგანია. მისი დაარსების შესახებ, საისტორიო წყაროებში, სამწუხაროდ, არავითარი ცნობა არაა დაცული და პირველად მას მატიანე ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეს მიაკუთვნებს.

როგორც არქიტექტურის ძეგლი, უფლისციხის ნაქალაქარი კლდეში გამოკვეთილ შენობათა რთულ კომპლექსს წარმოადგენს და მრავალ თავისებურებას შეიცავს. სადღეისოდ ძეგლის უმეტესი ნაწილი დანგრეულია. მაგრამ გარკვეულმა ნაწილმა იმდენად შემოინახა თავისი ფორმები, რომ მათი აღწერა-დათარიღების საშუალებასაც იძლევა. დარბაზები ნაირსახეობითაა გაფორმებული, რაც მიგვითითებს, რომ ისინი სხვადასხვა პერიოდში აუშენებიათ. მაგ., ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი ნიშნებით მორთული დარბაზიც გვხვდება და ფეოდალური ხანის ადრეული პერიოდისაც.

მრავალ შემთხვევაში ქალაქის არქიტექტურის შესწავლა მისი არსებობის ადრეულ პერიოდებზე მიუთითებს. ამის მიხედვით, უფლისციხე, როგორც კლდეში გამოკვეთილი ციხე-ქალაქის რთული კომპლექსი, ადრინდელი ხანის ციხე-ქალაქთა ისეთ ტიპს მიეკუთვნება, რომელიც ერთ დროს მცირე აზიაში იყო გავრცელებული.

თავისი გრანდიოზულობით საყურადღებოა ვარძიის კლდეში გამოკვეთილი ციხე-მონასტერი და დავით-გარეჯის უდაბნოს გამოქვაბულთა ვრცელი კომპლექსი.

ვარძიის ციხე-მონასტრის გამოკვეთას წინ უსწრებს დავით-გარეჯის მონასტრის დაარსება. მისი თავდაპირველი შენება მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში იწყება დავით გარეჯელის თაოსნობით. დავითი სირიიდან მონოფიზიტობისათვის დევნილ ქართველ მისიონერთა რიცხვს ეკუთვნის. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ამ ჯგუფს ქრისტიანობის გავრცელებისათვის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაუწყია მოღვაწეობა.

დავითმა ჯერ თბილისში მთაწმინდაზე დააარსა მონასტერი, ხოლო შემდეგ გარეჯის უდაბნოში გადავიდა და საფუძველი ჩაუყარა დიდ სამონასტრო მოღვაწეობას. აქედან ჭიიღო დავითმა გარეჯელის სახელწოდება და თვით უდაბნოსაც დავით-გარეჯი ეწოდა.

აღნიშნული მონასტერი გამოქვაბულთა რამდენიმე კომპლექსისაგან შედგება და დაახლოებით 25 კმ. სიგრძეზე ვრცელდება. გამოქვაბულთა ეს კომპლექსები თბილისიდან 60-70 კმ-ის მანძილზე მდებარეობენ, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, და ვამოკვეთილნი არიან შიშველ გორაკებში, რომლებიც მტკვრისა და იორის აუზებს შორის არიან მოქცეულნი.

ჟამთა ვითარებაში მონასტრების უმეტესი ნაწილი დაზიანდა. საბედნიეროდ, გარკვეული ნაწილი მონასტრისა, კერძოდ კი ტაძრების — დოდოს რქის, ბერთუბნის, უდაბნოს, მოწამეთისა და ნათლისმცემლის ეკლესიები და სხვათა გადარჩენილი ფრაგმენტები თუ მთლიანი ნაწილები თავისი წარსულის დიდებაზე მეტყველებენ.

კედლის მოხატულობის ის თავისებურება, რომელიც ბერთუბანში გვხვდება, განსაკუთრებული ინტერესის შემცველია და მთელი მონასტრის კომპლექსთან ერთად სათანადოდ შესწავლილი აკად. გიორგი ჩუბინიშვილის მიერ.

მე-13 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული ქვეყნის პოლიტიკური ვითარება გავლენას ახდენს დავით-გარეჯის მონასტრის ცხოვრებაზე. მონღოლთა შემოსევებით და, უფრო გვიან, ოსმალ-ყიზილბაშთა განუწყვეტელი თარეშით შეფერხდა ქართული ხელოვნების ყველა დარგის განვითარება. დავით-გარეჯი, როგორც ქართლის საზღვართან მდებარე მონასტერი, ამ შემოსევების პირველი მსხვერპლი ხდებოდა. იწყებოდა ადგილობრივ მკვიდრთა გახიზნვა და მონასტრის გაუკაცრიელება.

...მტრის შემოსევებისაგან თავდაცვა ისეთი ნაგებობების მონასტერსაც უჭირდა, როგორიცაა ვარძია. ასე რომ, სპარსელთა ერთ-ერთი შემოსევის შემდეგ მე-16 საუკუნეში მონასტერმა სრულიად შესწყვიტა კიდეც არსებობა.

...ვარძიის გამოქვაბულთა არქიტექტურული ანსამბლი მდებარეობს მესხეთში, დაბა ასპინძიდან 30 კმ-ის დაშორებით, მისი შენება მე-12 საუკუნეში (დაახლოებით 60-იან წლებში) დაიწყო გიორგი III, მაგრამ მას ვერ მოუსწრია მონასტრის შენების ბოლომდე მიყვანა და წამოწყებული საქმე მის შვილს თამარს დაუმთავრებია.

თუ რა მიზნით წამოიწყო თავდაპირველად გიორგი III ვარძიის გამოქვაბულთა კვეთა, ისტორიული წყაროების მიხედვით არ ჩანს, ის კი აშკარაა, რომ თამარ მეფის დროს მისი შენება, როგორც მონასტრისა, დამთავრდა.

კლდე, რომელშიც ვარძიის მონასტრის გამოქვაბულებია გამოკვეთილი, მტკვრის დონიდან 105 მ. სიმაღლისაა. თავის დროზე ეს კლდე მიუვალი იყო, ხოლო დროთა განმავლობაში ნამონასტრალის წინა ფასადის ჩამონგრევის შედეგად, მის ძირში ფერდობი შექმნილა და სადღეისოდ პირვანდელი სახე დაკარგული აქვს. კლდის შუა, რომელსაც გამოქვაბულთა კომპლექსი 500 მეტრის სიგრძეზე გასდევს და რვა სართულადაა დალაგებული, ტუფის ფენას წარმოადგენს და კლდის ძირიდან 50 მეტრით მაღლა მდებარეობს.

ტუფი შედარებით სხვა ფენასთან ადვილად საკვეთია და გლუვი ზედაპირის მიღების საშუალებასაც იძლევა. ამდენად ვარძიის მშენებელთ, გეოლოგიური თვალსაზრისით, გეგმაზომიერად შეურჩევიათ საამშენებლოდ კლდის შუა, ტუფის ფენა.

ამჟამად ვარძიის გამოქვაბულთა უმეტესი ნაწილი დანგრეულია. წინა ფასადი, სადაც ეზო-დერეფნები იყო მოთავსებული, მთლიანად ჩამოიქცა და დარჩენილია საცხოვრებელი ოთახები და დამხმარე სათავსოები. შედარებით კარგადაა შემონახული აღმოსავლეთით გამოკვეთილი გამოქვაბულები, სადაც „დარბაზი" და ე. წ. „თამარის ოთახიც" მდებარეობს. ცენტრალური ნაწილი, სადაც ტაძარი, სამალავი გვირაბი, ოთახი და კოშკი გამოკვეთილი, პირველი სართულის მარანი, „სალხინო" დარბაზი, დასავლეთით საჯინიბო და გვირაბი რომლის იატაკში წყლის მილების ფრაგმენტებია შემორჩენილი. ეს გვირაბი თავის დროზე გარედან შეუმჩნეველი იყო და კლდის შუა ზოლს მიყვებოდა 6 კმ-ის მანძილზე სოფელ ზედა ვარძიამდე, საიდანაც იღებდა წყალს და მონასტრის ვრცელ კომპლექსს ამარაგებდა. ყოველ შემთხვევისათვის სასმელი წყალი თვით გამოქვაბულთა კომპლექსშიც არსებობდა. მცირე მოცულობის აუზი, სადაც ეს წყალი დგას, ტაძრის უკანა გამოქვაბულშია გაკეთებული. აუზში წყალი მოჟონავს კლდიდან.

ცენტრალურ ნაწილში მოთავსებული ვარძიის ტაძარი საყურადღებოა კედლის მოხატულობის მხრივაც. ფერების ზოგან ჰარმონიული, ზოგან კი კონტრასტული შეხამება ოსტატის მაღალ გემოვნებას ადასტურებს. ტაძრის ჩრდილო კედელზე გიორგი მესამისა და თამარის პორტრეტებია გამოსახული. თამარის გამოსახვის ნიშნებით მტკიცდება, რომ იგი ჯერ კიდევ გაუთხოვარია წარმოდგენილი და, მაშასადამე, აღნიშნული მხატვრობა 1186 წლამდე (ე. ი. მის გათხოვებამდე) შესრულებულა. საქართველოში თამარ მეფის სახე ოთხ ფრესკზე შემორჩა დღემდე (ბეთანიაში, ბერთუბანში, ვარძიაში და ყინწვისში). აქედან თამარი ამგვარი სახით ზხოლოდ ვარძიის ტაძარშია გამოსახული.

მთელი თავისი სიმდიდრითა თუ შემკულობით ვარძიამ, როგორც მონასტერმა და ციხე-სიმაგრემ, თითქმის სამ საუკუნე ნახევარი იარსება. 1551 წელს სპარსეთის შაჰმა, თამაზმა შინაგამცემთა ღალატის მეოხებით მოახერხა გამოქვაბულში შეჭრა, შიგ შეხიზნული მესხი მოსახლეობა ამოხოცა და მონასტერი მთლიანად გაძარცვა. ამ დროიდან ვარძიამ, როგორც მონასტერმა, თავისი არსებობა შეწყვიტა.

მიუხედავად იმ დიდი ნგრევებისა, რაც უფლისციხის, შიომღვიმის, დავით-გარეჯის და ვარძიის ნაქალაქარმა განიცადა, დარჩენილი ნაწილი ამ მნიშვნელოვანი ძეგლებისა დიდი ინტერესის შემცველია, მათი გულდასმით შესწავლის საფუძველზე, როგორც მშენებლობის, ასევე ხელოვნების საკითხისათვის მრავალ ისეთ საინტერესო მომენტზე შეიძლება ყურადღების მიქცევა, როგორიცაა საამშენებლო ხელოვნების და ტექნიკის საკითხი, ქალაქის მშენებლობის ისტორიის საკითხის შესწავლა, საერთოდ, და კერძოდ ქართული საცხოვრებლისა, ხელოვნების საკითხები (ფრესკა, არქიტექტურა) და სხვ.

მატერიალური კულტურის ეს მნიშვნელოვანი ძეგლები დაცულია როგორც წარსულის ღირსშესანიშნავი განძი, რომლის სანახავად დიდის ინტერესით მოედინება ხალხის ნაკადი ჩვენი ქვეყნის მრავალი კუთხიდან.

ერთი სახლის თავგადასავალი

სოლომონ ცაიშვილი

ეს სახლი სამოცდაან წლებში ნაგები ქვიტკირის თეთრი შენობაა, რომელიც ბევრი საგულისხმო ფაქტისა და დასამახსოვრებელი მომენტის მოწმეა ჩვენი კულტურის წარსულიდან. ის ერთ დროს ეკუთვნოდა ცნობილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს იონა მეუნარგიას. იგი დღესაც დგას თავის ადგილას, სოფელ ცაიშში.

ამ ოჯახის შემქმნელი და დამაარსებელი პეპუ მეუნარგია ცნობილი მოქანდაკე, მხატვარი და ოქრომჭედელი იყო. პროფ. შ. ამირანაშვილის მონოგრაფიულ ნაშრომში („ლომისი" № 6, 7 1922 წ.) გარკვეულია მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. გრ. დადიანის (1814-1901) ცნობით ეს პეპუა მეუნარგია ალექსანდრე ჭავჭავაძეს ახლდა მის პატივსაცემად სპეციალურად გამართულ ნადირობაზე 1841 წ. როცა პოეტი თავის ქალსა და სიძეს ესტუმრა სამეგრელოში; სწორედ ამ ხანებშივე ასტუმრა გრ. დადიანმა (მწერლობაში კოლხიდელი), ამ წმინდა ხატების მქანდაკსა და ამომყვანს რუსი პოეტი ბარტდინსკი, რომელიც სამი წლის განმავლობაში ზუგდიდში იჯდა და რუსთაველის გენიალურ ქმნილებას თარგმნიდა რუსულ ენაზე. ეს ის პირველი თარგმანი იყო, რომლითაც რუსი მკითხველი გაეცნო რუსთაველის გენიას. ამ სოფელში და მის მიდამოებში მიღებული შთაბეჭდილება ი. ბარტდინსკის გრ. დადიანისადმი მიძღვნილ ლექსში აქვს ასახული.

1847 და 1848 წლებში ამ ოჯახის სტუმრები იყვნენ ცნობილი რუსი მოგზაური — არქეოლოგი ა. ნ. მურავიოვი და გამოჩენილი ქართველოლოგი მარი ბროსე. მათ ორივეს პეპუას უფროსი ვაჟი მიხეილი დახვდა გზამკვლევად და ცაიშის საკათედრო ტაძარში დაცულ სიძველეების, ადგილობრივი ძეგლებისა და არქეოლოგიური ნაშთების ამხსნელად.

ეს ოჯახი იყო მუდმივი მასპინძელი დავით და ეკატერინე დადიანებისა, რომელთაც 1841-1848 წლებში ოთხი მცირეწლოვანი შვილი დაკრძალეს ცაიშის კათედრალში, ხოლო ერთადერთი ასული, 1848 წ. დაბადებული სალომე (შემდეგ მიურატზე გათხოვილი), აღსაზრდელად მიხეილის დას მისცეს. ამ ძიძობას მოჰყვა ოჯახის კიდევ უფრო მეტად დაწინაურება. მიხეილი, როგორც მარტვილის სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებული, მღვდლად ეკურთხა და მალე ცაიშის საკრებულო ტაძრის დეკანოზი და სამთავრო კარის მოძღვარი გახდა.

ამგვარს ტრადიციულსა და გავლენიან სახლში, 1852 წ. დაიბადა იონა მეუნარგია, რომელიც აღზრდამ და მაღალმა განათლებამ ახალი იდეებით აღჭურვა. მას მოჰყვა ოჯახის გარდაქმნაც, ახალი მიმართულებითა და შინაარსით გამდიდრება. იგი ამ კუთხის ერთგვარი კულტურული კერა შეიქნა, საიდანაც ვრცელდებოდა წერა-კითხვა, ქართული ენა, კულტურა და სიყვარული ქართული მწერლობისადმი; ხშირად აქვე წყდებოდა ამ კუთხის სწავლა-განათლების საკითხებიც. ამ სახლის იშვიათი და საყვარელი სტუმარი იყო იმ ხანებში ზუგდიდის მაზრის უფროსი, გამოჩენილი ქართველი პოეტი რაფიელ ერისთავი, აქ ხშირად ყოფილა სენაკის მაზრის უფროსად ნამყოფი შესანიშნავი მემუარების — „სამეგრელო და სვანეთის" ავტორი კორნელი ბოროზდინი. აქვე დადიოდნენ კოლხიდელი (გრ. დადიანი), მისი ძმა კონსტანტინე, რომელიც ცაიშშივეა დაკრძალული, სალომე და ანილ მიურატები თავისი შვილებით, დავითისა და ეკატერინეს უფროსი ვაჟი ნიკოლოზი, რომელმაც იონა მეუნარგიასა და ვასილ მაჩაბლის რჩევით მამის დანატოვარი ქართული ხელნაწერების მდიდარი ბიბლიოთეკა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" შესწირა. ამ შემოწირულებას ქართველი საზოგადოება და მაშინდელი მოწინავე პრესა დიდი ზეიმითა და ღაღადით შეხვდა.

ეს მოხდა 1885 წლის გაზაფხულზე. ილია ჭავჭავაძემ, როგორც წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარემ, საჭიროდ სცნო თვითონვე ყოფილიყო მეთაური იმ კომისიისა, რომელსაც ამ საგანძურის ადგილზე ჩაბარება და თბილისში ჩამოტანა დაეკისრა. კომისიაში შედიოდნენ: ილია ჭავჭავაძე, დავით ერისთავი, იონა მეუნარგია, ვასილ მაჩაბელი, გიგა ყიფშიძე, სამსონ ყიფიანი და სიმონ ღოღობერიძე. კომისიამ პირველად ჩაიბარა გორდის საზაფხულო სასახლეში დაცული არქივი, რომლის სრული კატალოგი კომისიის ჩამოსვლამდე უკვე შეედგინა აკაკი წერეთელს. ამის შემდეგ კომისია ზუგდიდისაკენ გაემგზავრა იქაური კოლექციის ჩასაბარებლად. მუშაობის დასრულების შემდეგ კომისია და მასთან ილიას პატივსაცემად შემატებული პიროვნებანი მწერალი ნიკო დადიანი, მეჭი ფალავა და სხვ. იონა მეუნარგიამ თავის სახლში მიიწვია. მამა გაფრთხილებული ჰყოლია და ისეთი ნადიმი გაუმართეს სასურველ სტუმრებს, რომ აქაურ მკვიდრთ დღემდეც არ დავიწყებიათ ილია ჭავჭავაძის მოსვლა და არც ეს ნადიმი. თვითონ ი. მეუნარგია თავის მოგონებებში წერს: „1885 წ., როცა ილია წამოვიდა სამეგრელოს მთავრის ბიბლიოთეკის ჩასაბარებლად, ისე გამხიარულდა, რომ ბანძას, მეჭი ფალავასთან და ჩემთან ცაიშში სულ „ფარინა-ფარინა" იმღერა და ფერხულით გული იჯერაო".

ილიას ეს სიმღერა შემდეგ მთელ ამ მხარეში გავრცელებულა, მაგრამ უველაზე უფრო დიდი სახსოვარი, რომელიც ილიას ამ სტუმრობამ დაუტოვა აქაურ მკვიდრთ, ეს არის ნადიმის მეორე დღეს, გამოთხოვების წუთებში ილიასაგან ნათქვამი: „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახეო". იონას მამა მიხეილი მეტად აღფრთოვანებია ამ სიტყვებს და სტუმრების წასვლის შემდეგ ხალხისათვის მიუმართავს:

„დიდი ბრძენი და ჭკვიანი კაცია ილია, იცის, თუ სად რის თქმაა საჭირო. ეს სიტყვები ახლა ჩვენი კუთხისათვის მალამოაო".

სამი თვით ადრე ილიას სტუმრობამდე, ამ სახლში 4-5 თვე ისხდნენ ავსტრიელი მწერლები ცოლ-ქმარი ბერტა და არტურ სუტნერები და ფრანგი ჟურნალისტი-ორიენტალისტი ჟ. მურიე და უკანასკნელ რედაქციას უკეთებდნენ „ვეფხისტყაოსნის" ი. მეუნარგიასეულ ფრანგულ თარგმანს. აქ ისიც გასახსენებელია, რომ ამ პოემის თარგმნის იდეა მის მთარგმნელს ჯერ კიდევ 1877 წ. დაებადა, როცა ის დიდ ფრანგ მწერალ ვიქტორ ჰიუგოსთან დარბაზობდა, სადაც საუბარი ჰქონდათ „საქართველოზე, რუსთაველზე და მის „ვეფხისტყაოსანზე". ვ. ჰიუგოს მხოლოდ შორიდან გაუგონია რუსთაველი და მის პოემაზე კი წარმოდგენა არა ჰქონია, რამაც ახალგაზრდა ქართველ ლიტერატორს გული ატკინა და იქვე გადაწყვიტა, ისე დაუფლებოდა ფრანგულ ენას რომ შესძლებოდა რუსთაველის გენიალური ქმნილების თარგმნა ვ. ჰიუგოს ენაზე.

1881 წ. ქართველ მოღვაწეთაგან შემდგარ რუსთაველის პოემის ტექსტის დამდგენი რედაქციისა და პირადად მისი თავმჯდომარის ილია ჭავჭავაძის დავალებით ი. მეუნარგია შეუდგა ამ დიდი საქმის შესრულებას, რათა მხატვარ მ. ზიჩის მისთვის გასაგებ ენაზე წაეკითხა რუსთაველის ქმნილება. ზიჩის ილუსტრაციები დაერთო „ვეფხისტყაოსნის" 1888 წლის მდიდრულ გამოცემას. ამ სარედაქციო მუშაობის პროცესში დაუწყიათ სუტნერებს პოემის თარგმნა გერმანულ ენაზედაც. ამის შესახებ ერთ კერძო ბარათში ი. მეუნარგია სწერდა ნ. ნიკოლაძეს, რომ — გერმანულ ენაზე უფრო ადვილი სათარგმნი ყოფილა „ვეფხისტყაოსანი" ვიდრე ფრანგულზე, რადგან ქართული ფრაზა ფრანგულში იცვლება, და, გერმანულში კი პირდაპირ გადადის.

1882-83 წ. ამ სახლში იონას კონსულტაციით, მასალების მიწოდებით და უშუალო დახმარებით ჟ. მურიემ შეადგინა თავისი სქელტანიანი ნაშრომი „სამეგრელო", რომელიც 1884 წ. ოდესაში გამოიცა ფრანგულ ენაზე.

ამ სახლისა და ამ ოჯახის სასურველი სტუმარი იყო გიორგი წერეთელი, რომელმაც თავისი დიდი რომანის „გულქანის" პირველ თავში აღწერა ამ სახლის მიდამოები როგორც სოფლის შუაგული და რომანისათვის აუცილებელი ადგილები. ამ ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ ნიკო ნიკოლაძე, იაკობ ფანცხავა (ფხა), აქ ხშირად ყოფილან გაბრიელ ეპისკოპოსი, დიდებული მგოსანი აკაკი.

1914 წ. პოეტმა პაოლო იაშვილმა ამ ოჯახს აწვია გამოჩენილი რუსი პოეტი კ. ბალმონტი, რომელმაც იონას თხოვა მისგან ფრანგულ ენაზე გადათარგმნილი „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერი ეგზემპლარი, რათა გასაღებად გამოეყენებია თავის მიერ განზრახულ რუსული თარგმანისათვის. თავაზიანმა მასპინძელმა ეს გამოუცემელი და ერთადერთი ეგზემპლარი თავისი კოლოსალური ნაშრომისა უყოყმანოდ დაუთმო ძვირფას სტუმარს, ცხადია, დროებით, და განზრახული საქმის ბრწყინვალედ დაგვირგვინება უსურვა. ეს ხელნაწერი ამჟამად ბალმონტის არქივშია, იგი ავტორს არ დაბრუნებია.

1912-19 წლებში სხვადასხვა დროს ამ სახლის სტუმრები იყვნენ მთელი რიგი სამეცნიერო ექსპედიციების ხელმძღვანელები, რომელთაც კი ამ კუთხეში უმოგზაურნიათ. მაგალითად, ნიკო მარი, იოსებ ყიფშიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თედო სახოკია, მრავალი რუსი და უცხოური მოგზაური, 1912 წელს იონას ხანგრძლივი სტუმარი იყო ევროპელი მოგზაური რომანი, რომელმაც აღწერა იმდროინდელი სამეგრელო და პარიზში წიგნად გამოსცა. 1906 წ. ამ ოჯახის სასურველი სტუმარი იყო რევოლუციურ მოძრაობასთან დაკავშირებით ამ მხარეს ჩამოსული ალ. ყიფშიძე (ფრონტელი) — იონას სემინარიელი ამხანაგი და თანამოკალმე.

900-ანი წლების შემდეგ აქ სხვადასხვა დროს დადიოდნენ იონასთან ლიტერატურულ საქმიანობით დაკავშირებული მწერლები და მოღვაწეები. როგორც დათარიღებიდან ჩანს, აქ დაუწერია იონა მეუნარგიას თავისი მონოგრაფიების დიდი უმეტესობა; აქვე ამ მისამართზე, მოსდიოდა მას გამოჩენილ უცხოელ და ქართველ მწერალ-მოღვაწეთა ფრიად საინტერესო წერილები.

აღნიშნული სახლი დღემდე შენახულია მისი პირვანდელი სახით. ამჟამად ის სახლის დანიშნულებას არ ასრულებს, შიგ არავინ ცხოვრობს. კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ამ სიცოცხლით სავსე სახლს სიცარიელე და დუმილი დაუფლებია. მაგრამ ამგვარი წარსულის მქონე სახლისათვის სიცოცხლის კვლავ დაბრუნება და ისიც უფრო სხვაგვარი ფართო ხალხური [illegible]ოთხა, არც ისე მძიმე და განუზომრციელებელი რა[illegible] საზრუნველია; არც ის იქნება უსაფუძვლო თუკი ასეთი სურვილი დაიბადება. ამ ინფორმაციის შედეგებაც თავისთავად მოწმობს იმას, რომ ეს სურვილი სადღაც უკვე ჩასახულია და თუ მას განხორციელების შესაძლებლობაც დაჰყვება, უთუოდ დიდად სასარგებლო იქნებოდა საბჭოთა საქართველოს არა მარტო ამ კუთხისათვის, არამედ საერთოდ ქართული კულტურისათვისაც.

ხალხის სურვილია, რომ ეს სახლი მემორიალურ კერად და ნაკრძალად იქცეს — ატაროს მისი სახელი, ვინც აქ დაბადებულა, დავუჟაცებულა, მოქმედებდა ქართულ მწერლობაში, მოწინავე საზოგადოებაში და აქვე გარდაცვლილა და დაკრძალულა. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ლიტერატურისა და მწერალთა ცხოვრების მემატიანე, ქართველ პლუტარქად წოდებული — იონა მეუნარგია, უეჭველად, ღირსია ამ სახლოვარისა.

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი ზ. ლეჟავა | ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3—52—69, განყოფილებების — 3—95—38.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 3 მან. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოციინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/X-57 წ. გამომც. № 186. ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ტირაჟი — 15.000. შეკვეთის № 550. УЕ 04206.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

ხაგურამო. კაკლის ხე ილიას ეზოში. ფოტო რ. კოკოშაშვილისა

გარეკანის პირველ გვერდზე:
ილია ჭავჭავაძის პორტრეტი, შესრულებული საქართველოს სხრ ხახალხო მხატვარ უჩა ჯაფარიძის მიერ.
მეოთხე გვერდზე: შემოდგომა. ფოტოეტიუდი დ. სმირნოვისა